დანართი №2

NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;

"ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;

"ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

"საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;

"ადამიანური კაპიტალი და ციფრული ტრანსფორმაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

"ბიზნეს ანალიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;

"ბიზნეს ანალიტიკის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;

"მეწარმეობა და ინოვაციების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 2024 წლის 9-11 ოქტომბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი

20.12.2024

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მეთიუ კიჩინგი, ბაკინგემშირის ახალი უნივერსიტეტი, გაერთიანებული სამეფო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მერაბ ხოხობაია, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დევი შონია, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ზურაბ აზნაურაშვილი, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მიხეილ ბიჭია, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მარიამ მაჭავარიანი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3	პროგრამა 4	პროგრამა 5	პროგრამა 6	პროგრამა 7	პროგრამა 8
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება	ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)	ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)	საჯარო მმართველობა	ადამიანური კაპიტალი და ციფრული ტრანსფორმაცია	ბიზნეს ანალიტიკა	ბიზნეს ანალიტიკა (ინგლისურენოვანი)	მეწარმეობა და ინოვაციები (ინგლისურენოვანი)
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი	საჯარო მმართველობის ბაკალავრი	მენეჯმენტის მაგისტრი	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი	მენეჯმენტის მაგისტრი

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413/მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413/მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413/მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413/მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413/მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413/მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413/მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413/მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[1]	-	-	-	-	-	-	-	-
სწავლების ენა	ქართული	ინგლისური	ინგლისური	ქართული	ქართული	ქართული	ინგლისური	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 (ECTS) კრედიტი	240 (ECTS) კრედიტი	120 (ECTS) კრედიტი	240 (ECTS) კრედიტი	120 (ECTS) კრედიტი	240 (ECTS) კრედიტი	240 (ECTS) კრედიტი	120 (ECTS) კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების	აკრედიტებული	აკრედიტებული	აკრედიტებული	აკრედიტებული	აკრედიტებული	აკრედიტებული	აკრედიტებული	აკრედიტებული

1 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

მითითებით (ნომერი, თარიღი)								

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ[2]

კლასტერში დაჯგუფებულია 5 საბაკალავრო და 3 სამაგისტრო პროგრამა. "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამა (ხორციელდება ქართულ და ინგლისურ ენაზე), "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამა, "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო პროგრამა, "ადამიანური კაპიტალი და ციფრული ტრანსფორმაციის" სამაგისტრო პროგრამა, "ბიზნეს ანალიტიკის" საბაკალავრო პროგრამა და "მეწარმეობის და ინოვაციების" სამაგისტრო პროგრამა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის ოქტომბერში, უნივერსიტეტის კამპუსში, თბილისში. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს. ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა მატერიალურ - ტექნიკური ბაზა და რესურსები. ექსპერტთა ჯგუფს სურს მადლობა გადაუხადოს დაწესებულებას შეფასების პროცესში ღია და პროდუქტიული ჩართულობისთვის, მათ შორის ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრებების და ექსპერტთა ჯგუფის მიმართ გამოჩენილი განსაკუთრებული მასპინძლობისთვის.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტებთან შესაბამისობა დეტალურად არის განხილული წარმოდგენილი დასკვნის ბოლოს, თუმცა პროგრამების უმეტესობა ძირითადად სრულად შეესაბამება ან მეტწილად შეესაბამება სტანდარტებს.

რეკომენდაციები

კლასტერული

1. რეკომენდებულია, პროგრამის ფარგლებში გადაიხედოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რუკების შედგენის და შეფასების პროცესი იმისათის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი ყოვლისმომცველობა, სიზუსტე და მიზანშეწონილობა (1.2).
2. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამებში გაძლიერდეს სწავლება - სწავლის პრაქტიკული მიდგომების გამოყენება, მათ შორის სტაჟირების გამოყენებით (2.3).

[2] პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

3. რეკომენდებულია, პროგრამაში და სილაბუსებში სრულყოფილად და ზუსტად იყოს აღწერილი სწავლების მეთოდები და აქტივობები (2.3).
4. რეკომენდებულია, პროგრამების განხორციელებისთვის და განვითარებისთვის განსაზღვრული საჭირო ხარჯები დაიყოს საჭიროებების მიხედვით (4.5).
5. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამების განვითარების მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს პროგრამების "შემოწმების" და "დახვეწის" ეტაპებს (5.1).

6. რეკომენდებულია, გაძლიერდეს მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტები, როგორიცაა კითხვარები, სტუდენტებისგან და დამსაქმებლებისგან უფრო დეტალური უკუკავშირის შეგროვების მიზნით პროგრამების ხელმძღვანელობის ასპექტებთან დაკავშირებით (5.3).

პროგრამა 1. "ბიზნესის ადმინისტრირება" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამა, იმისათვის, რომ დადგინდეს თუ როგორ აკმაყოფილებს ის თავის მიზანს კურსდამთავრებულებისთვის საერთაშორისო კარიერის უზრუნველყოფის თვალსაზრისით (1.1).
2. რეკომენდებულია, განახლდეს საბოლოო საბაკალავრო პროექტის წინაპირობები და განისაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული ყველა სავალდებულო კურსი (1.4). (1.4)
3. რეკომენდებულია, განახლდეს პროგრამის ძირითადი საგნები მეწარმეობის და ინოვაციების მენეჯმენტთან დაკავშირებული კურსების დამატებით (1.4). (1.4)

პროგრამა 2. "ბიზნესის ადმინისტრირება" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. რეკომენდებულია, განახლდეს საბოლოო საბაკალავრო პროექტის წინაპირობები და განისაზღვროს ყველა სავალდებულო კურსი (1.4).
2. რეკომენდებულია, განახლდეს პროგრამის ძირითადი საგნები მეწარმეობის და ინოვაციების მენეჯმენტთან დაკავშირებული კურსების დამატებით (1.4).

პროგრამა 3. "ბიზნესის ადმინისტრირება" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. რეკომენდებულია, გადაიხედოს სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა და გათვალისწინებული იყოს საჭირო წინაპირობები (1.4).
2. რეკომენდებულია, შევიდეს ცვლილებები რეგულაციებში, იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილი იყოს როგორც ინდივიდუალური შეფასების კომპონენტი (2.4).

პროგრამა 4. "საჯარო მმართველობა" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. რეკომენდებულია სასწავლო პროგრამის გადახედვა იმ კურსების იდენტიფიცირებისა და ამოღების მიზნით, რომლებიც პირდაპირ არ უწყობს ხელს საჯარო მმართველობისთვის საჭირო ძირითადი კომპეტენციების განვითარებას, რითაც უზრუნველყოფილ იქნება რომ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი თითოეული საგანი ხელს შეუწყობს პროგრამის მიზნებს - მოამზადოს სტუდენტები საჯარო სექტორში მუშაობისთვის. შეიზღუდოს იმ კურსების რაოდენობა,

რომლებიც ფოკუსირებულია ფინანსურ საკითხებზე და უფრო მეტად რელევანტურია ბიზნესის ადმინისტრირებისთვის, ვიდრე საჯარო მმართველობისთვის, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს მეტი ყურადღება დაუთმონ საჯარო მმართველობის ძირითად შინაარსს.

2. რეკომენდებულია, სასწავლო გეგმაში შეტანილი იყოს საჯარო მმართველობის პრაქტიკული ქეისები კონკრეტული კურსების გადაკეთებით, იმისათვის, რომ აქცენტი გაკეთდეს საჯარო მმართველობისთვის სპეციფიკურ მაგალითებზე ზოგადი ფინანსური ან ბიზნესის საკითხების ნაცვლად, რომლებიც შესაძლოა პირდაპირ არ იყოს გამოყენებადი საჯარო სექტორის პოზიციებზე. (1.4)

პროგრამა 5. "ადამინაური კაპიტალი და ციფრული ტრანსფორმაცია" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. რეკომენდებულია, სწავლის შედეგები შესაბამისად მიუთითებდეს პროექტების მართვის და კვლევის უნარებს, რომლებსაც სტუდენტები შეიძენენ პროგრამის დასრულების შემდეგ (1.2).
2. რეკომენდებულია, განხორციელდეს "ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის" სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურის საფუძვლიანი გადახედვა, იმისათვის, რომ გათვალისწინებული იყოს მენეჯმენტის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნები. (1.4)
3. რეკომენდებულია, პროგრამა მოიცავდეს მენეჯმენტის სწავლებისთვის აუცილებელ სპეციფიკურ კურსებს (1.5).
4. რეკომენდებულია, შევიდეს ცვლილებები რეგულაციებში, იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილი იყოს როგორც ინდივიდუალური შეფასების კომპონენტი (2.4).

პროგრამა 6. "ბიზნეს ანალიტიკა" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. რეკომენდებულია, "ბიზნეს ანალიტიკის" ინგლისურენოვან პროგრამაში დაზუსტდეს ორი პროგრამის მახასიათებლების სტატუსი და ურთიერთკავშირი, რომლებიც ხელმისაწვდომია ონლაინ (1.2).
2. რეკომენდებულია, საბოლოო საბაკალავრო პროექტის წინაპირობად განისაზღვროს ყველა სავალდებულო კურსი (1.4).
3. რეკომენდებულია, გარე შეფასება ასახავდეს პროფესიული მნიშვნელობის კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომლებიც ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას (5.2).

პროგრამა 7. "ბიზნეს ანალიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. რეკომენდებულია, "ბიზნეს ანალიტიკის" ინგლისურენოვან პროგრამაში დაზუსტდეს ორი პროგრამის მახასიათებლების სტატუსი და ურთიერთკავშირი, რომლებიც ხელმისაწვდომია ონლაინ (1.2).
2. რეკომენდებულია, საბოლოო საბაკალავრო პროექტის წინაპირობად განისაზღვროს ყველა სავალდებულო კურსი (1.4).

პროგრამა 8. "მეწარმეობა და ინოვაციები" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. რეკომენდებულია, სასწავლო კურსში "კანონმდებლობა და რეგულაციები მეწარმეობაში და ინოვაციებში" განახლდეს სავალდებულო ქართულენოვანი ლიტერატურა (1.5).
2. რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო კურსებში განისაზღვროს შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური ზღვრები (2.4).
3. რეკომენდებულია, შევიდეს ცვლილებები რეგულაციებში, იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილი იყოს როგორც ინდივიდუალური შეფასების კომპონენტი (2.4).

- **რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

კლასტერული

1. სასურველია, პროგრამის მახასიათებლებში ჩამოყალიბდეს სწავლის შედეგების ფორმატის თანმიმდევრული მიდგომა (1.2).
2. სასურველია, გაუმჯობესდეს პროგრამის შეფასების მექანიზმი რეალურ დროში უკუკავშირის ციკლების დამატებით და ინდუსტრიის ტენდენციებზე უფრო პროაქტიული ადაპტირებით (1.3).
3. სასურველია, გაფართოვდეს პირდაპირი შეფასებები პრაქტიკული გამოყენებით და ინდუსტრიის ჩართულობით, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებთან სწავლის შედეგების რელევანტურობა და შესაბამისობა (1.3).
4. სასურველია, განავითაროთ პროგრამები უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტების და ბიზნეს ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფორმების უფრო მკაფიოდ განსაზღვრის თვალსაზრისით (2.2).
5. სასურველია, მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბება შრომის ბაზრის დამსაქმებლებთან. ასევე, განხორციელდეს შრომის ბაზრის დამსაქმებლებისგან და მოწვეული პერსონალისგან რეკომენდაციების აქტიურად მიღება (2.2).
6. სასურველია, გაფართოვდეს პარტნიორობა საერთაშორისო დაწესებულებებთან, ხელი შეეწყოს აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას და ერთობლივი კვლევის შესაძლებლობებს, იმისათვის, რომ ყველა პროგრამა სარგებლობდეს აკადემიური პერსონალის გლობალური სტანდარტების, ინოვაციური სწავლების პრაქტიკის და მათი დისციპლინებისთვის შესაბამისი თანამედროვე ინდუსტრიული ტენდენციებით. (4.3)
7. სასურველია, რეგულარულად ჩატარდეს ინტერდისციპლინური სამუშაო შეხვედრები და კონფერენციები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებს კლასტერში წარმოდგენილი ყველა პროგრამის აკადემიური პერსონალი, აღნიშნული უზრუნველყოფს ცოდნის გაზიარებას, ხელს შეუწყობს ინტერდისციპლინურ კვლევას და აკადემიურ პერსონალს დაეხმარება სწავლების პროცესში მრავალფეროვანი პერსპექტივების გამოყენებაში (4.3). (4.3)
8. სასურველია, გაძლიერდეს დამსაქმებლებთან თანამშრომლობა (5.2).

პროგრამა 4. "საჯარო მმართველობა" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. სასურველია, საჯარო მმართველობის პოზიციებისთვის საჭირო უნარების გაუმჯობესების მიზნით დაინერგოს სიმულაციაზე დაფუძნებული შეფასებები. (1.3)

2. სასურველია, ისეთ საგნებში, როგორიცაა ბიუჯეტირება და რესურსების განაწილება გამოყენებული იყოს საჯარო მმართველობის რეალური შემთხვევების შესწავლა, იმისათვის, რომ აჩვენოთ, თუ როგორ განსხვავებულად გამოიყენება ფინანსური კონცეფციები საჯარო სექტორში კერძო სექტორთან შედარებით. აღნიშნული დაეხმარება სტუდენტებს გაიგონ სახელმწიფო ფინანსების უნიკალური ასპექტები (1.4).
3. სასურველია, ფინანსური კურსები ჩანაცვლდეს საჯარო სექტორზე ორიენტირებული თემებით, როგორიცაა "საჯარო სექტორის ბიუჯეტირება", "საჯარო მმართველობის ფისკალური პოლიტიკა" ან "არაკომერციული ორგანიზაციების ფინანსური მართვა", იმისათვის, რომ ფინანსური უნარები უფრო მჭიდროდ შეესაბამებოდეს საჯარო სექტორის საჭიროებებს. (1.4)
4. სასურველია, პროგრამას დაემატოს და არარელევანტური საგნები ჩანაცვლდეს სპეციალიზებული კურსებით ისეთ თემებზე, როგორიცაა "ციფრული მმართველობა", "საჯარო სექტორის ეთიკა" ან "კრიზისების მართვა", რითიც სტუდენტები განივითარებენ გამოყენებად უნარებს. (1.4)

პროგრამა 6. "ბიზნეს ანალიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. სასურველია, დადგინდეს როგორ მოხდება კურსდამთავრებულების მომზადდება ქართული ენის გარდა სხვა უცხო ენაზე საერთაშორისო დონეზე სწავლისათვის და მუშაობისთვის (1.1).

პროგრამა 8. "მეწარმეობა და ინოვაციები" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. სასურველია, გარე შეფასება ასახავდეს პროფესიული მნიშვნელობის კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომლებიც ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას (5.2).

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[3]**

ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა პრაქტიკების სერია, რომლებიც აუმჯობესებდნენ დაწესებულების აკადემიურ საქმიანობას. აღნიშნული მოიცავდა: მაღალი დონის ინფრასტრუქტურას, ინოვაციურ სტარტაპ სივრცეს, რომელსაც იყენებენ მოქმედი სტუდენტები და კურსდამთავრებულები და გამოცდილი პროფესიონალი მოწვეული პერსონალის აყვანა. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე მიიჩნია, რომ ინგლისურენოვანი პროგრამების არსებობა წარმოადგენდა დადებით ფაქტორს, რომელიც აძლიერებდა კურსდამთავრებულების დასაქმების პერსპექტივას. ზოგადად, ინოვაციებზე და მეწარმეობაზე ორიენტირება, განსაკუთრებით ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის მეშვეობით პოზიტიური და იშვიათია ეროვნულ კონტექსტში და გააჩნია სტრატეგიული მნიშვნელობა. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა მტკიცებულებები საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო და ორმხრივი თანამშრომლობის და დაინტერესებული მხარეების (მათ შორის სტუდენტების და დამსაქმებლების) უკუკავშირზე რეაგირების შესახებ.

[3] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა უნივერსიტეტის დეტალური პასუხი დასკვნის პროექტთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფი აღიარებს, რომ ადგილი ჰქონდა ადმინისტრაციულ შეცდომას, რის გამოც ჯგუფმა თავდაპირველად ვერ მიიღო ზოგიერთი დოკუმენტაციის სწორი ვერსია. თუმცა, ადგილზე ვიზიტის დროს ჯგუფს ჰქონდა ამ დოკუმენტებზე წვდომა და შესაბამისად, დასკვნა ეყრდნობა მიმდინარე და განახლებულ დოკუმენტაციას. თავისი პასუხის სხვადასხვა ნაწილში დაწესებულება მიუთითებდა დოკუმენტაციაში შეტანილ ცვლილებებზე, რომლებიც განხორციელდა ვიზიტის შემდეგ შეცდომების გასასწორებლად. სამწუხაროდ, რადგან დასკვნა უნდა ეფუძნებოდეს ვიზიტამდე წარმოდგენილ დოკუმენტებს და ვიზიტის დროს მიღებულ ინფორმაციას, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეძლო გადახედილი დოკუმენტებისა და მასთან დაკავშირებული ცვლილებების გათვალისწინება პროცესის ამ ეტაპზე. საბოლოო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფს არ შეუძლია განიხილოს დოკუმენტები, რომლებიც მას არ მიეწოდა მისი მუშაობის პროცესში. იმ შემთხვევებში, სადაც ექსპერტთა ჯგუფს შეეძლო დაწესებულების პასუხის განხილვა, მან ძირითადად გადაწყვიტა თავისი მიგნებების შენარჩუნება. თუმცა, პირველ სტანდარტთან დაკავშირებით ჯგუფმა გაითვალისწინა უნივერსიტეტის პასუხის ნაწილი და ამოიღო და გააერთიანა რამდენიმე რეკომენდაცია 1.3 და 1.4 სტანდარტების ფარგლებში, რამაც საბოლოოდ შეცვალა მეოთხე პროგრამის შეფასება. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი აღიარებს, რომ რიგი სასწავლო კურსებისა ხელს უწყობს პრაქტიკული უნარების განვითარებას, ყველა კურსის სტუდენტებმა ჯგუფს აცნობა, რომ ეს არის ის, რისი გაძლიერებაც მათ სურთ თავიანთ პროგრამებში. ექსპერტთა ჯგუფს სურს შეაქოს დაწესებულება იმისთვის, რომ უნივერსიტეტის პასუხში აშკარად ჩანს, რომ უკვე მოგვარებული ან განხორციელებულია რიგი რეკომენდაციები.

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება
2. კლასტერული შეფასება

სტანდარტი / კომპონენტი	**შეფასების მიდგომები:**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტის შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსები	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ- ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისას და მისი მიზნების განსაზღვრისას იყენებს შიდა და გარე ორიენტირებს. აღნიშნული მოიცავს უნივერსიტეტის მისიას, რომელიც დაწესებულების საქმიანობას აღწერს შემდგენაირად: *"ჩვენი საქმიანობაა ცოდნის წარმოება და პიროვნების განათლება, რაშიც ვგულისხმობთ ადამიანში ლიბერალურ -ჰუმანური ღირებულებების გაღვივებას, და მის აღჭურვას კეთილსინდისიერი შრომით წარმატების მისაღწევად საჭირო ცოდნითა და უნარებით."* ორიენტირი ასევე მოიცავს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმას, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 და მე-7 დონეების შესაბამის მინიმალურ მოთხოვნებს და ბიზნესის და ადმინისტრირების დარგობრივ მახასიათებლებს. გარდა ამისა, სამუშაო პროცესში პროგრამების შედარების მიზნით, გაანალიზებულ იქნა საქართველოს და მსოფლიოს სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმატებული გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკა. პროგრამის განვითარების საბჭო პასუხისმგებელია პროგრამის მიზნების დამტკიცებაზე და განვითარებაზე.

დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს აცნობა, რომ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების მიზნები მკაფიო, რეალისტური და მიღწევადია. ისინი ასევე აღწერენ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს, რომლებსაც კურსდამთავრებული შეიძენს კონკრეტული პროგრამის ფარგლებში. კერძოდ, დაწესებულება აცხადებს, რომ თითოეული პროგრამა შემუშავებულია იმისათვის, რომ მოამზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, მარტივად ადაპტირებადი პიროვნება, რომელიც აღჭურვილი იქნება თანამედროვე დასაქმების ბაზრისთვის საჭირო კომპეტენციებით, ლიბერალური ღირებულებების და

პრინციპების მქონე თავისუფალი ადამიანი, რომელიც შეძლებს დასაქმდეს შესაბამის პროფესიულ სფეროში ან შეძენილი ცოდნის და უნარების საფუძველზე გააგრძელოს სწავლა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 და 2 ("ბიზნესის ადმინისტრირება" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები)

"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამების მიზნები იდენტურია განსხვავებული სწავლების ენის მიუხედავად. პროგრამების მიზანია, კურსდამთავრებულმა ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში შეიძინოს თანამედროვე და უახლეს ტენდენციებზე დაფუძნებული ცოდნა, ჩამოუყალიბდეს ძირითადი სამეწარმეო უნარები, გააცნობიეროს მართვის სტრატეგიული, საწარმოო, ფინანსური, ადმინისტრაციული, კულტურული, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები, განუვითარდეს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა და კორპორატიული ეთიკური ნორმების/ პრინციპების მნიშვნელობა, იმისათვის, რომ შეძლოს დასაქმდეს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებში საშუალო და დაბალ მენეჯერულ პოზიციებზე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო დასაქმება რთული მისაღწევია ქართულენოვანი პროგრამის ფარგლებში, ვინაიდან ნაკლებად მოსალოდნელია, რომ კურსდამთავრებულებს ეცოდინებათ მეორე საერთაშორისო ბიზნეს ენა, რაც მათ უფრო მიმზიდველს გახდის საერთაშორისო დამსაქმებლებისთვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3. ("ბიზნესის ადმინისტრირება" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულმა შეიძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში თანამედროვე და უახლეს ტენდენციებზე დაყრდნობით, გაიღრმავოს დამოუკიდებელი კვლევის ჩატარების უნარი აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების და სტანდარტების გამოყენებით, ხელი შეუწყოს საკუთარი ცოდნის და პრაქტიკული უნარების გაუმჯობესებას მენეჯერული გადაწყვეტილებების მისაღებად და გაიღრმავოს სოციალური პასუხისმგებლობის და კორპორატიული ეთიკის ნორმების / პრინციპების მნიშვნელობა იმისათვის, რომ შეძლოს დასაქმდეს საშუალო და მაღალ მენეჯერულ პოზიციაზე როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კომპანიებში.

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 4 ("საჯარო მმართველობა" სამაგისტრო საგანმანათლებლოი პროგრამა)

"საჯარო მმართველობის" საბაკალავრო პროგრამის მიზანია დემოკრატიული აზროვნების მქონე, კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი საჯარო მოხელეების მომზადება. პროგრამა შედგენილია საერთაშორისო გამოცდილების და საჯარო სექტორის დასაქმების ბაზარზე მოთხოვნის გათვალისწინებით. პროგრამა განკუთვნილია მათთვის, ვინც დაინტერესებულია საჯარო სამსახურში, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში წარმატებული კარიერით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5. ("ადამიანური კაპიტალი და ციფრული ტრანსფორმაცია" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

პროგრამის მიზანია კერძო და საჯარო ორგანიზაციები მათი ეფექტური ფუნქციონირების მიზნით უზრუნველყოს კვალიფიციური საშუალო და მაღალი დონის ადამიანური რესურსების მენეჯერებით, რომლებსაც ექნებათ ადამიანური კაპიტალის მართის ღრმა და სისტემური ცოდნა, ბიზნეს ხედვა, ადამიანური რესურსების მართვის სფეროში მონაცემების შეგროვების, დამუშავების და გამოყენების უნარები; შეძლებენ შექმნან პატივისცემაზე და მერიტოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული ორგანიზაციული კულტურა, მოახდინონ ეფექტური პროფესიული ურთიერთობების დემოსტრირება.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 და 7 ("ბიზნეს ანალიტიკა" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამები)

"ბიზნეს ანალიტიკის" საბაკალავრო პროგრამის მიზანია ბიზნეს პროცესებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების უნარების განვითარება. პროგრამა განავითარებს ბიზნეს პროცესების გაუმჯობესების და ოპტიმიზაციისთვის აუცილებელი ინოვაციური ინსტრუმენტების ცოდნას. შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, ინტერდისციპლინურ და პრაქტიკაზე ორიენტირებულ კომპონენტებზე დაყრდნობით, პროგრამა ამზადებს კონკურენტუნარიან პროფესიონალს, რომლებიც აღჭურვილნი არიან დარგის უახლესი ცოდნით, ეთიკური სტანდარტებით და პრინციპებით, რის შედეგადაც შეუძლიათ დასაქმდნენ კერძო, საჯარო და საერთაშორისო ორგანიზაციებში ისეთ პოზიციებზე, როგორიცაა: ბიზნესის მართვის ანალიტიკოსი და საინფორმაციო ტექნოლოგიების ბიზნეს ანალიტიკოსი. დაწესებულება აცხადებს, რომ პროგრამის კურსდამთავრებულებს ექნებათ შესაბამისი კომპეტენცია იმისათვის, რომ გააგრძელონ სწავლა და კვლევა მაგისტრატურის საფეხურზე, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. ისევე როგორც "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით, აღნიშნულ შემთხვევაშიც ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულებამ უნდა დაადგინოს, თუ როგორ იქნება უზრუნველყოფილი კურსდამთავრებულების მომზადება საერთაშორისო დონეზე სწავლისთვის და მუშაობისთვის ქართული ენის გარდა სხვა უცხო ენებზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8 ("მეწარმეობა და ინოვაციები" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

სამაგისტრო პროგრამის მიზანია ორგანიზაციული საქმიანობის თვალსაზრისით მეწარმე ინოვატორების ჩამოყალიბება, რომლებსაც გააჩნიათ ბიზნეს იდეის რეალურ გარემოში განხორციელების ყველა აუცილებელი უნარი. პროგრამა ასევე შექმნილია ისეთი მაგისტრანტების მოსამზადებლად, რომლებსაც შეეძლებათ შეიტანონ წვლილი ბაზარზე უკვე არსებული ბიზნესის განვითარებაში ინოვაციების და მტკიცებულებებზე დაფუძნებული წარმატებული ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღებით. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის მიზნები სათანადოა და თანხვედრაშია დარგში არსებული სხვა მსგავსი პროგრამების მიზნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის მისია;
- შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში (თითოეული პროგრამისთის);
- პროგრამების მახასიათებლები;

- შპს საქართველოს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა (2023-2030);

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული
კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 ("ბიზნესის ადმინისტრირება" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

რეკომენდაციები: რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამა, იმისათვის, რომ დადგინდეს თუ როგორ აკმაყოფილებს ის თავის მიზანს კურსდამთავრებულებისთვის საერთაშორისო კარიერის უზრუნველყოფის თვალსაზრისით (1.1).

რჩევები: არ არის მითითებული
პროგრამა 6. ("ბიზნეს ანალიტიკა" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: სასურველია, დადგინდეს როგორ მოხდება კურსდამთავრებულების მომზადდება ქართულის ენის გარდა სხვა უცხო ენაზე საერთაშორისო დონეზე სწავლისათვის და მუშაობისთვის (1.1).

შეფასება

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1. "ბიზნესის ადმინისტრირება" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	☐	☑	☐	☐
პროგრამა 2. "ბიზნესის ადმინიტრირება" ინგლიურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	☑	☐	☐	☐

პროგრამა 3. "ბიზნესის ადმინისტრირება" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 4. "საჯარო მმართველობა" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 5. "ადამიანური კაპიტალი და ციფრული ტრანსფორმაცია" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 6. "ბიზნეს ანალიტიკა" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 7. "ბიზნეს ანალიტიკა" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 8. "მეწარმეობა და ინოვაციები" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☑	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის "საგანმანათლებლო პროგრამის დებულებაში" აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც გაზომვადი კრიტერიუმებით აფასებს და უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების სათანადო ჩართულობას კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლების უზრუნველსაყოფად. უნივერსიტეტში სწავლის შედეგების შეფასების მთავარი მექანიზმია პროგრამის განვითარების საბჭო, რომელიც იქმნება თითოეული პროგრამისთვის ინდივიდუალურად. აღნიშნულის მისაღწევად დაწესებულება უზრუნველყოფს პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე კომპეტენციებზე ორიენტირებული სწავლის შედეგების შემუშავებას. აღნიშნული შედეგები შემდგომ ექვემდებარება ინსტიტუციურ შეფასებას და მუდმივ გაუმჯობესებას.

დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს აცნობა, რომ სწავლის შედეგები განისაზღვრება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის მიხედვით და მოიცავს 3 დონის კომპეტენციებს: ცოდნა - გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. სწავლის დონე განსაზღვრავს სწავლის შედეგების სირთულის დონეს. სწავლის შედეგები ასევე ითვალისწინებს დარგობრივ მახასიათებლებს, დამსაქმებლების გამოკითხვის ანალიზს, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური / მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგებს, კურსდამთავრებულების და სტუდენტების გამოკითხვების ანალიზს. სწავლის შედეგებში დარგის სპეციფიკის გათვალისწინების მიზნით, შემუშავების პროცესში მონაწილეობდნენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ სწავლის შედეგები ითვალისწინებს მსოფლიოში არსებულ "საუკეთესო პრაქტიკებს" მსგავსი პროგრამების ან დარგობრივი მახასიათებლების ანალიზის გზით. გარდა ამისა, შედეგები ჩამოყალიბებულია ბლუმის განახლებული ტაქსონომიის გამოყენებით, რაც იძლევა სირთულის დონის მიხედვით დალაგებული სწავლის შედეგების ჩამოყალიბების შესაძლებლობას.

თვითშეფასების ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური

და ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის მიზნებს, რაც ასახულია მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკებში. შესაბამისად, უნივერსიტეტს მიაჩნია, რომ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული პროგრამა შერჩეული სწავლის მეთოდების გამოყენებით უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მოდელის პრაქტიკაში განხორციელებას.

თუმცა, შფასების პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა გარკვეული ხარვეზები სწავლის შედეგების ინდივიდუალურ კურსებთან და შეფასებებთან რუკების შემუშავების პროცესებში. შესაბამისად, აღნიშნული საჭიროებს გადახედვას, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი ყოვლისმომცველობა, სიზუსტე და მიზანშეწონილობა. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე აღმოაჩინა, რომ პროგრამის მახაისათებლებში სწავლის შედეგები წარმოდგენილია განსხვავებული ფორმატით, ზოგიერთი უბრალოდ ჩამოთვლილია, ხოლო სხვები დაყოფილია ცოდნის, უნარების / შესაძლებლობების, პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ აღნიშნული უკანასკნელი მიდგომა უფრო სასარგებლოა სტუდენტებისთვის იმისათვის, რომ გააცნობიერონ სხვადასხვა სახის სწავლის შედეგები, რომლებსაც ისინი მიაღწევენ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 და 2 ("ბიზნესის ადმინისტრირება" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები)

სხვა შედეგებთან ერთად, პროგრამების სწავლის შედეგები მოიცავენ მოლოდინს, რომ სტუდენტი შეძლებს საფუძვლიანად და ყოვლისმომცველად განიხილოს ბიზნესის მართვის მრავალი ფუნქციური სფეროს თანამედროვე კონცეფციები, ტექნიკები, თეორიები და მოდელები. შედეგებში ასევე მითითებულია, რომ სტუდენტი დაეუფლება მარკეტინგის ძირითად კონცეფციებს და შეძლებს კრიტიკულად და დამაჯერებლად ახსნას კომპანიის სტრატეგიული და მარკეტინგული გეგმების მახასიათებლები. სტუდენტები ასევე შეძლებენ განახორციელონ დამოუკიდებელი კვლევა და დაიცვან აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები. გარდა ამისა, ისინი შეძლებენ თავისუფალი საბაზრო სისტემის პირობებში ბიზნესზე გავლენის მქონე რისკების ანალიზს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3. ("ბიზნესის ადმინისტრირება" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტები შეძლებენ სისტემურად და სიღრმისეულად განიხილონ ბიზნესის მართვის სხვადასხვა ფუნქციურ სფეროებთან დაკავშირებული თანამედროვე კონცეფციები, მიდგომები, თეორიები და მოდელები. ისინი ასევე, შეძლებენ გამოავლინონ და გააანალიზონ დინამიური გარემოდან წარმოქმნილი გამოწვევები, ასევე ორგანიზაციული პროცესების მართვის და ფუნქციური ბიზნეს გარემოს ფარგლებში, ჩამოაყალიბონ თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიები. დამოუკიდებელი მენეჯერული გადაწყვეტილებების მისაღებად, ისინი გაეცნობიან თანამედროვე ეკონომიკური თეორიების და მოდელების გამოყენებას. ასევე, შეძლებენ ეფექტურად წარადგინონ პრაქტიკული კვლევითი პროექტების შედეგები.

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 4 ("საჯარო მმართველობა" სამაგისტრო საგანმანათლებლოი პროგრამა)

"საჯარო მმართველობის" პროგრამის სტუდენტები განივითარებენ ცოდნას და გააცნობიერებენ საჯარო მმართველობის თეორიებს, სახელმწიფოს პოლიტიკური და

ადმინისტრაციული მოწყობის ფორმებს და პრინციპებს, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების სტრუქტურას და ფუნქციებს, მათ ფორმალურ ურთიერთქმედებებს და არაფორმალურ სამუშაო არხებს. ისინი ასევე, შეძლებენ საჯარო სერვისების მიწოდების და ინსტიტუციური განვითარების მართვის თავისებურებების გამოვლენას და კრიტიკულ განხილვას. სტუდენტები შეძლებენ სამართლებრივი დოკუმენტების დამუშავებას, კანონის და სასამართლო გადაწყვეტილებების განმარტებას და კვლევითი პროექტების განხორციელებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5. ("ადამიანური კაპიტალი და ციფრული ტრანსფორმაცია" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

"ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის" პროგრამას გააჩნია უფრო შეზღუდული რაოდენობის სწავლის შედეგები ვიდრე კლასტერში წარმოდგენილ სხვა პროგრამებს. სტუდენტები შეძლებენ პერსონალის შერჩევაში, შეფასებაში, განვითარებაში, ანაზღაურებაში და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნაში, ასევე ორგანიზაციული სტრუქტურის, როლების, ტრანსფორმაციის ხელშეწყობის, გუნდის ინტეგრაციის და გუნდის მართვის მეთოდოლოგიების საკითხებში კრიტიკულად განიხილონ სამუშაოს ანალიზის და დაგეგმვის როლი. სტუდენტები შეიძენენ ცოდნას ლიდერობის პრაქტიკის შესახებ და შეძლებენ შრომის ბაზრის გარემოში მიმდინარე ცვლილებების ანალიზს. მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსში წარმოდგენილია კვლევის მეთოდების და პროექტებთან დაკავშირებული კურსები, ისინი არ არის აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგებში. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი საჭიროებს გამოსწორებას.

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 6 და 7 ("ბიზნეს ანალიტიკა" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები)

"ბიზნეს ანალიტიკის" პროგრამის სწავლის შედეგებში აღნიშნულია, რომ სტუდენტები შეძლებენ აღწერონ ბიზნესის მართვის ძირითადი ფუნქციური სფეროები, ფუნქციურ სფეროებში მიმდინარე პროცესები, განიხილონ თანამედროვე ბიზნეს ანალიტიკის ფუნდამენტური კონცეფციები და სასიცოცხლო მნიშვნელობის ინსტრუმენტები. ისინი ასევე, შეძლებენ გააანალიზონ ორგანიზაციების საქმიანობა და დეტალურად აღწერონ ბიზნეს გარემო SWOT - ის და PESTEL ანალიზის გამოყენებით. სტუდენტები შეძლებენ ბიზნესის პრობლემების გადაჭრისას გამოიყენონ მათემატიკური, სტატისტიკური და ალბათობის ინსტრუმენტები, მათ შორის მონაცემთა ანალიზის მეთოდების და მონაცემთა ვიზუალიზაციის და შედეგების მოდელირების ინსტრუმენტები. სხვა შედეგებთან ერთად, სტუდენტები შეძლებენ კვლევის და პროექტის შემუშავებას და განხორციელებას და შედეგების წარმოდგენას შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით. ისინი ასევე, შეძლებენ გუნდში მუშაობისას დაიცვან ლიდერობის და თანამშრომლობის პრინციპები. ონლაინ ხელმისაწვდომია "ბიზნესი ანალიტიკის" ორი პროგრამის მახასიათებლები, აუცილებელია დაინტერესებული მხარეებისთვის დაზუსტდეს აღნიშნული მახასიათებლების სტატუსი და ურთიერთკავშირი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8 ("მეწარმეობა და ინოვაციები" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

პროგრამას გააჩნია 10 სწავლის შედეგი, რომელთა შორისაა ორგანიზაციების მართვის და პროცესში ჩართულ პირებთან ურთიერთობისას კომუნიკაციის და ლიდერობის უნარების გამოყენების შესაძლებლობა. სტუდენტები იღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას ინოვაციურ პროექტში პერსონალის აყვანაში და მართვაში. მათ ასევე, შეუძლიათ მეწარმეობაში კანონების და რეგულაციების ახსნა და ინოვაციური პროდუქტების და სერვისების პროცესების, საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგული სტრატეგიების სისტემური ცოდნის დემონსტრირება. სტუდენტები ასევე შეძლებენ მომხმარებელზე ორიენტირებული პროდუქტის დიზაინის შეფასებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამების მახასიათებლები;
- დაინტერესებული მხარეების კვლევის ანგარიში;
- ბიზნესის და ადმინისტრირების მეცნიერებათა სკოლის პირდაპირი და არაპირდაპირი ხარისხის შეფასების ინსტრუქცია;
- პროგრამის შედეგების მატრიცა;
- ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრებებ.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:
რეკომენდებულია, პროგრამის ფარგლებში გადაიხედოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რუკების შედგენის და შეფასების პროცესი იმისათის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი ყოვლისმომცველობა, სიზუსტე და მიზანშეწონილობა (1.2).

კლასტერის საერთო რჩევები:
სასურველია, პროგრამის მახასიათებლებში ჩამოყალიბდეს სწავლის შედეგების ფორმატის თანმიმდევრული მიდგომა (1.2).

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 5. "ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაცია" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაცები: რეკომენდებულია, სწავლის შედეგები შესაბამისად მიუთითებდეს პროექტების მართვის და კვლევის უნარებს, რომლებსაც სტუდენტები შეიძენენ პროგრამის დასრულების შემდეგ (1.2).
რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 7. "ბიზნეს ანალიტიკა" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები: რეკომენდებულია, "ბიზნეს ანალიტიკის" ინგლისურენოვან პროგრამაში დაზუსტდეს ორი პროგრამის მახასიათებლების სტატუსი და ურთიერთკავშირი, რომლებიც ხელმისაწვდომია ონლაინ (1.2).
რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1. "ბიზნესის ადმინისტრირება" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	☐	☑	☐	☐
პროგრამა 2. "ბიზნესის ადმინიტრირება" ინგლიურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	☐	☑	☐	☐
პროგრამა 3. "ბიზნესის ადმინისტრირება" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☐	☑	☐	☐
პროგრამა 4. "საჯარო მმართველობა" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	☐	☑	☐	☐
პროგრამა 5. "ადამიანური კაპიტალი და ციფრული ტრანსფორმაცია" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☐	☑	☐	☐
პროგრამა 6. "ბიზნეს ანალიტიკა" საბაკალავრო	☐	☑	☐	☐

საგანმანათლებლო პროგრამა				
პროგრამა 7. "ბიზნეს ანალიტიკა" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☐	☑	☐	☐
პროგრამა 8. "მეწარმეობა და ინოვაციები" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☐	☑	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

➢ განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.

➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები უმეტესწილად აკმაყოფილებს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებს სწავლის შედეგების შეფასების, აკადემიური პერსონალის განვითარების და ინდუსტრიის სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. თითოეული პროგრამა სწავლის შედეგების გასაზომად მოიცავს შეფასების მეთოდების ფართო სპექტრს, მათ შორის პირდაპირ (გამოცდები, პროექტები, შემთხვევების შესწავლა) და არაპირდაპირ შეფასებებს (სტუდენტთა გამოკითხვები, დამსაქმებელთა უკუკავშირი). აღნიშნული მრავალმხრივი მიდგომა საშუალებას აძლევს პროგრამებს მოერგონ აკადემიურ და ინდუსტრიის ცვალებად მოლოდინებს, რაც ხელს უწყობს მაღალი ხარისხის სასწავლო გამოცდილებას.

თითოეული პროგრამის შესაბამისობა გაძლიერებულია სტრუქტურირებული უკუკავშირის მექანიზმებით, ინდუსტრიასთან პარტნიორობით და აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების უწყვეტი შესაძლებლობებით. ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამები, როგორიცაა "მეწარმეობა და ინოვაციები" და "ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაცია" დემოსნტრირებენ ინდუსტრიის საჭიროებებთან მჭიდრო შესაბამისობას UC Berkeley - სთან და სხვა დაწესებულებებთან პარტნიორობის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს გლობალურ შესაბამისობას და სასწავლო გეგმის განახლებულ სტანდარტებს. გარდა ამისა, ისეთი პროგრამები, როგორიცაა "ბიზნეს ანალიტიკა" ხაზს უსვამენ ინტერდისციპლინურ უნარებს, რაც უზრუნველყოფს მათი შინაარსის ტექნოლოგიურ მიღწევებთან და მონაცემებზე დაფუძნებულ ბიზნეს პრაქტიკასთან შესაბამისობას.

თუმცა, არსებობს შესაბამისობის შემდგომი გაძლიერების შესაძლებლობები. პროგრამების მასშტაბით რეკომენდებულია რეალურ დროში შეფასებების სიხშირის გაზრდა, მეტი ყურადღების გამახვილება კომპეტენციებზე დაფუძნებულ საზომებზე და ინდუსტრიის წარმომადგენლებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობაზე, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს თითოეული პროგრამის რეაგირება როგორც სტუდენტთა საჭიროებებზე, ასევე ბაზრის მოთხოვნებზე. აღნიშნული სფეროების გაძლიერებით, პროგრამებს შეუძლიათ შემდგომში კიდევ უფრო მეტად უზრუნველყონ სწავლის შედეგების თანმიმდევრული მიღწევა და უმაღლეს აკადემიურ და პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობა, რაც გააძლიერებს მათ თანხვედრას სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ("ბიზნესის ადმინისტრირება" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

პროგრამაში სწავლის შედეგები ფასდება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდებით, როგორიცაა ტესტები, ესეები, გამოცდები და პრეზენტაციები. სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება რეგულარულად ყოველი სემესტრის ბოლოს და ხდება მათი შედარება წინასწარ განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებთან. შეფასების პროცესი მოიცავს მჭიდრო თანამშრომლობას აკადემიურ პერსონალს და პროგრამის ხელმძღვანელს შორის, რაც უზრუნველყოფს სასწავლო კურსის კომპონენტების დასახულ სწავლის შედეგებთან შესაბამისობას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2. ("ბიზნესის ადმინისტრირება" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

ქართულენოვანი პროგრამის მსგავსად, აღნიშნულ პროგრამაშიც სწავლის შედეგების კურსებთან შესაბამისობაში მოსაყვანად გამოყენებულია სტრუქტურირებული სასწავლო გეგმის რუკა. შეფასება მოიცავს პირდაპირ მეთოდებს, როგორიცაა გამოცდები და ესეები და არაპირდაპირ მეთოდებს, როგორიცაა დამსაქმებელთა უკუკავშირი და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები. შეფასების შედეგების ანალიზი ხელს უწყობს უწყვეტ გაუმჯობესებას, კორექტირებები კი ხორციელდება სამიზნე მიღწევების შედარების საფუძველზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3. ("ბიზნესის ადმინისტრირება" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

სამაგისტრო პროგრამაში გამოყენებულია შეფასების უფრო ძლიერი მექანიზმი, რომელიც თითოეული შედეგისთვის იყენებს სპეციფიკურ ნიშნულებს სტუდენტების მენეჯმენტის და კვლევის უფრო მაღალი დონის კომპეტენციების შესაფასებლად. შეფასების მეთოდები მოიცავს კვლევით პროექტებს და შემთხვევების შესწავლას, რაც ასახავს პროგრამის გამოყენებით ცოდნაზე ორიენტაციას. აღნიშნული შედეგების რეგულარული ანალიზი განაპირობებს სასწავლო გეგმის განახლებას ინდუსტრიის ცვალებად სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4. ("საჯარო მმართველობა" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

"საჯარო მმართველობის" პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია საჯარო სექტორის ცოდნის მყარი საფუძვლის შესაქმნელად, რომელიც მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა პოლიტიკის ანალიზი და საჯარო ეთიკა. სწავლის შედეგები განაწილებულია სასწავლო გეგმის ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების პროგრესიას საბაზისო ცოდნიდან გამოყენებით უნარებამდე. სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოიყენება პირდაპირი შეფასებები, მათ შორის გამოცდები და პოლიტიკის პროექტები, ასევე არაპირდაპირი შეფასებები, როგორიცაა კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა

უკუკავშირი. დარგობრივ მახასიათებლებთან რეგულარული შესაბამისობა და დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირი ხელს უწყობს პროგრამის უწყვეტ გაუმჯობესებას.

"საჯარო მმართველობის" პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება პერიოდული შეფასებებით და გარე დაინტერესებული მხარეების, მათ შორის საჯარო სექტორის დამსაქმებლების უკუკავშირის გამოყენებით. სასწავლო გეგმის რუკა განსაზღვრავს კურსებს, რომლებიც აძლიერებენ კონკრეტულ შედეგებს, ხოლო შეფასების შედეგები წარმართავს სასწავლო გეგმის დახვეწას საჯარო მმართველობის კომპეტენციების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მეთოდები ღირებულია, პროგრამის განხორციელების პროცესში უკუკავშირის შეგროვების უფრო პროაქტიული მიდგომა გააუმჯობესებდა სასწავლო გეგმის რეაგირებას. გარდა ამისა, სიმულაციების ან სცენარებზე დაფუძნებული შეფასებების შემოღება გააუმჯობესებდა სტუდენტების პრაქტიკულ უნარებს საჯარო მმართველობის პოზიციებისთვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5. ("ადამიანური კაპიტალი და ციფრული ტრანსფორმაცია" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

პროგრამა იყენებს T - ფორმის კომპეტენციის მოდელს, რომელიც ორიენტირებულია როგორც ადამიანური კაპიტალის მართვის, ასევე ციფრული ინტეგრაციის უნარებზე. სწავლის შედეგები სტრუქტურირებულია ოთხი კომპეტენციის დონით და ფასდება სიმულაციების, როლური თამაშების სავარჯიშოების და შემთხვევების შესწავლის კომბინაციის გამოყენებით. შედეგები ეფუძნება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დარგობრივ საუკეთესო პრაქტიკას, რაც უზრუნველყოფს მათ მიღწევადობას, რეალისტურობას და გაზომვადობას. მიმდინარე შეფასებები და უკუკავშირის ციკლები იძლევა პროგრამის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით გაუმჯობესების და განვითარების შესაძლებლობას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6. ("ბიზნეს ანალიტიკა" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგები ხაზს უსვამს მონაცემთა შესწავლას, ანალიტიკურ უნარებს და ბიზნეს მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებას. სასწავლო გეგმის რუკა შედგენილია კომპეტენციების შესავლის, გაღრმავების და განმტკიცების დონეების გასაძლიერებლად. შეფასების მეთოდები მოიცავს პირდაპირ დავალებებს, როგორიცაა მონაცემთა ანალიზის პროექტები და გამოცდები და არაპირდაპირ მეთოდებს, მათ შორის კურსდამთავრებულთა უკუკავშირს და დამსაქმებელთა შეფასებებს. ანალიტიკის სფეროში არსებული ინდუსტრიის მიმდინარე საჭიროებებთან შესაბამისობის შენარჩუნების მიზნით, პერიოდულად ხორციელდება პროგრამის შედეგების გადახედვა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7. ("ბიზნეს ანალიტიკა" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

აღნიშნული პროგრამა მიჰყვება სტრუქტურირებულ მიდგომას და იყენებს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს ანალიტიკაში სტუდენტების კომპეტენციის შესაფასებლად. პროგრამა ორიენტირებულია რეალურ გამოყენებაზე და

აფასებს სტუდენტებს პროექტების და ინდუსტრიასთან დაკავშირებული დავალებების მეშვეობით. გარე დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი მნიშვნელოვან როლს ასრულებს შედეგების შეფასებების ჩამოყალიბებაში, რაც უზრუნველყოფს გლობალურ ანალიტიკურ სტანდარტებთან შესაბამისობას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8. ("მეწარმეობა და ინოვაციები" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

პროგრამაში სწავლის შედეგები ფასდება ნიშნულების გამოყენებით, რომლებიც ზომავს ისეთ უნარებს, როგორიცაა შემოქმედებითობა, სტრატეგიული აზროვნება და პროექტების მართვა. შეფასებები მოიცავს პირდაპირ შეფასებებს, როგორიცაა ბიზნეს მოდელის განვითარება და არაპირდაპირ მეთოდებს, როგორიცაა ინდუსტრიის ექსპერტების უკუკავშირი. პროგრამის სამეწარმეო და ინოვაციურ ინდუსტრიულ საჭიროებებთან შესაბამისობის მიზნით პერიოდულად ხორციელდება აღნიშნული შეფასებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება;
- პროგრამის განვითარების საბჭოს ოქმი;
- კითხვარები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული
კლასტერის საერთო რჩევები:

სასურველია, გაუმჯობესდეს პროგრამის შეფასების მექანიზმი რეალურ დროში უკუკავშირის ციკლების დამატებით და ინდუსტრიის ტენდენციებზე უფრო პროაქტიული ადაპტირებით (1.3).

სასურველია, გაფართოვდეს პირდაპირი შეფასებები პრაქტიკული გამოყენებით და ინდუსტრიის ჩართულობით, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებთან სწავლის შედეგების რელევანტურობა და შესაბამისობა (1.3).

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 4. "საჯარო მმართველობა" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: სასურველია, საჯარო მმართველობის პოზიციებისთვის საჭირო უნარების გაუმჯობესების მიზნით დაინერგოს სიმულაციაზე დაფუძნებული შეფასებები. (1.3)

შეფასება

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1. "ბიზნესის ადმინისტრირება" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 2. "ბიზნესის ადმინიტრირება" ინგლიურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 3. "ბიზნესის ადმინისტრირება" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 4. "საჯარო მმართველობა" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 5. "ადამიანური კაპიტალი და ციფრული ტრანსფორმაცია" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 6. "ბიზნეს ანალიტიკა" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 7. "ბიზნეს ანალიტიკა" ინგლისურენოვანი სამაგისტრო	☑	☐	☐	☐

საგანმანათლებლო პროგრამა				
პროგრამა 8. "მეწარმეობა და ინოვაციები" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☑	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

➢ პროგრამა შედგენილია უსდ- ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები შექმნილია ეროვნული სტანდარტების, ბოლონიის პროცესის პრინციპების და ინსტიტუციური რეგულაციების გათვალისწინებით. აღნიშნული პროგრამების შემუშავება ხორციელდება დროულად, უზრუნველყოფილია მათი რეაგირება შრომის ბაზრის მოთხოვნებზე და შედარებითი ანალიზისთვის ეყრდნობა ადგილობრივ და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას. პროგრამების განახლება ეფუძნება უახლესი კვლევის შედეგებს და თანამედროვე ტენდენციებს. კომპლექსური მიდგომის უზრუნველსაყოფად, პროცესში აქტიურად მონაწილეობენ შესაბამისი დაინტერესებული მხარეები. ტრანსფერული კომპეტენციები ვითარდება იმის უზრუნველსაყოფად, რომ სტუდენტები აღჭურვილნი იქნებიან მათი სამიზნე სფეროებისთვის საჭირო კვალიფიკაციით. პროგრამები შექმნილია საგანმანათლებლო, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტების ინტეგრირებით, რაც ხელს უწყობს განათლების უფრო მაღალ საფეხურებზე გადასვლას. სტუდენტებს უვითარდებათ წარმატებული პროფესიული კარიერის მისაღწევად აუცილებელ ცოდნა, უნარები და კომპეტენციები.

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 1. "ბიზნესის ადმინისტრირება" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მარეგულირებელი წესების შესაბამისად. პროგრამის წინაპირობები და მიღების პროცესები შეესაბამება არსებულ სამართლებრივ სტანდარტებს. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება უმაღლესი განათლების საბაკალავრო საფეხურს. პროგრამა შეესაბამება ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემას (ECTS) და მოიცავს მინიმუმ 240 კრედიტს.

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამში 240 კრედიტი. აღნიშნული მოიცავს პროგრამის ძირითადი საგნების წარმატებით დასრულებას, რაც შეადგენს 156 კრედიტს. დამატებით, სტუდენტმა უნდა დააგროვოს 24 კრედიტი სავალდებულო არჩევითი ბლოკებიდან, მათ შორის 12 კრედიტი STEM ბლოკიდან და 12 კრედიტი ჰუმანიტარულ - სოციალური ბლოკიდან. დარჩენილი კრედიტები შეიძლება შესრულდეს საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში დამატებითი საგნების არჩევით. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სტრუქტურაში სასწავლო

კომპონენტის უდიდესი ნაწილი ითვალისწინებს წინაპირობებს. სპეციალობის სავალდებულო კურსები მიზნად ისახავენ ბინზესის სწავლების ძირითად სფეროებში სტუდენტების ცოდნის განვითარებას. კერძოდ, მარკეტინგის საფუძვლებში, ფინანსების საფუძვლებში, პროექტების მართვაში და ა.შ. პროგრამა სრულდება საბოლოო ნაშრომით, ბიზნეს პროექტით. უნდა აღინიშნოს, რომ საბოლოო საბაკალავრო პროექტისთვის წინაპირობად განსაზღვრულია რამდენიმე კურსი: სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები, სტატისტიკა, ფინანსების საფუძვლები, ბიზნეს ურთიერთობები, მარკეტინგის საფუძვლები. საბაკალავრო პროექტის სირთულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი გასცემს რეკომენდაციას საბოლოო საბაკალავრო პროექტის წინაპირობად განისაზღვროს ყველა სავალდებულო კურსი. ამასთან, საჭიროა განახლდეს სავალდებულო პროგრამული ბადე და მას დაემატოს მეწარმეობის და ინოვაციების მართვასთან დაკავშირებული კურსები.

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 2. "ბიზნესის ადმინისტრირება" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

"ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი მეტწილად არის "ბიზნესის ადმინისტრირების" ქართულენოვანი პროგრამის მსგავსი. პროგრამა შეესაბამება ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემას (ECTS) და მოიცავს მინიმუმ 240 კრედიტს. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამში 240 კრედიტი. აღნიშნული მოიცავს პროგრამის ძირითადი საგნების წარმატებით დასრულებას, რაც შეადგენს 156 კრედიტს და ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის დარჩენილი საგნებიდან 84 კრედიტის დაგროვებას. პროგრამა სრულდება საბოლოო ნაშრომით - ბიზნეს პროექტით, უნდა აღინიშნოს, რომ საბოლოო საბაკალავრო პროექტის წინაპირობად განსაზღვრულია რამდენიმე კურსი: ფინანსური აღრიცხვა I (საფუძვლები, ნაწილი I), მენეჯმენტის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები. ექსპერტთა ჯგუფი, საბაკალავრო პროექტის სირთულის გათვალისწინებით, გასცემს რეკომენდაციას საბაკალავრო პროექტის წინაპირობად განისაზღვროს ყველა სავალდებულო კურსი. ამასთან, საჭიროა განახლდეს სავალდებულო პროგრამული ბადე და მას დაემატოს მეწარმეობის და ინოვაციების მართვასთან დაკავშირებული კურსები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3. "ბიზნესის ადმინისტრირება" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობა 2 წელია, რომლის განმავლობაშიც სტუდენტებს მოეთხოვებათ ჯამში 120 კრედიტის დაგროვება. პროგრამის ძირითადი საგნების დასრულება მოითხოვს 84 კრედიტის წარმატებით დაგროვებას, დამატებით 36 კრედიტი მიიღება "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამის დამატებითი კურსებიდან. პროგრამა მოიცავს 30 კრედიტის მოცულობის სავალდებებულო სამაგისტრო ნაშრომს, რომელიც შექმნილია კვლევითი კომპეტენციების განვითარებისთვის და შეძენილი ცოდნის სტრუქტურირებული ორგანიზებისთვის. საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსები შეთავაზებულია წინაპირობების გარეშე. ექსპერტთა ჯგუფი პროგრამის განვითარების გუნდს აძლევს რეკომენდაციას, განახორციელონ სამაგისტრო პროგრამის

სტრუქტურის საფუძვლიანი გადახედვა და გაითვალისწინონ საჭირო წინაპირობების დამატება. აღნიშნულმა ცვლილებამ უნდა გააძლიეროს აკადემიური სიმკაცრე და უზრუნველყოს სტუდენტების მიერ როგორც კურსების, ასევე მთლიანი პროგრამის სწავლის შედეგების წარმატებით მიღწევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4. "საჯარო მმართველობა" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამაში წარმოდგენილია სტრუქტურირებული სასწავლო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს მმართველობით, პოლიტიკურ, სამართლებრივ და ეკონომიკურ განზომილებებში თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების კომბინაციით საჯარო მმართველობის კომპეტენციების განვითარებას. თუმცა, პროგრამის სტრუქტურასათან და შინაარსთან დაკავშირებით ფიქსირდება რამდენიმე კრიტიკული საკითხი. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ზედმეტი აქცენტი არის გაკეთებული ზოგად ცოდნაზე და შესაბამისად იკვეთება სპეციალიზაციის ნაკლებობა: პროგრამა მოიცავს მთელ რიგ საფუძვლების კურსებს, განსაკუთრებით პირველ სემესტრებში, მძიმე აქცენტით ისეთ ზოგად საგნებზე, როგორიცაა პოლიტიკა, ეკონომიკა და სამართალი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საგნები მნიშვნელოვანია, პროგრამას აკლია საჯარო მმართველობაში ადრეული სპეციალიზაცია, რამაც შეიძლება შეაფერხოს საჯარო მმართველობის ძირითად სფეროებში სტუდენტების ორიენტირებული უნარების განვითარება. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულებამ უნდა გადახედოს საგანმანათლებლო პროგრამას, რაც გამოიწვევს სასწავლო გეგმის ორიენტაციის გადატანას ზოგადი ბიზნეს თემებიდან საჯარო პოლიტიკის, მმართველობის და ადმინისტრაციული ლიდერობის საკითხებზე, ბიზნესთან დაკავშირებული კურსების შემცირებით და საჯარო სექტორის ფუნქციებთან და გამოწვევებთან პირდაპირ დაკავშირებული კურსების დამატებით.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე მიიჩნევს, რომ პროგრამაში არ არის წარმოდგენილი პრაქტიკული გამოყენების საკმარისი აქცენტი. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა მოიცავს სწავლების მოქმედებაზე ორიენტირებულ მეთოდებს (მაგ. პროექტზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევების შესწავლა), შეზღუდულია ემპირიული სწავლის შესაძლებლობები, როგორიცაა სტაჟირება ან საველე სამუშაო, განსაკუთრებით ადრეულ ეტაპებზე. პრაქტიკული გამოყენების ნაკლებობამ შეიძლება ხელი შეუშალოს სტუდენტებს რეალური სამყაროს შესახებ ცოდნის და საჯარო მმართველობის პოზიციებისთვის პრაქტიკული გამოცდილების მიღებაში, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია სფეროში დასაქმებისთვის მომზადებისას.

ასევე არასაკმარისად არის წარმოდგენილი თანამედროვე საჯარო სექტორის გამოწვევები. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა მოიცავს საჯარო მმართველობის ძირითად კონცეფციებს, მინიმალური აქცენტი კეთდება თანამედროვე საკითხებზე, როგორიცაა ციფრული მმართველობა, საჯარო სექტორის ინოვაცია და პოლიტიკის ანალიზის ტექნოლოგიები, რომლებიც სულ უფრო აქტუალურია თანამედროვე საჯარო მმართველობაში. აღნიშნულმა ხარვეზმა შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ კურსდამთავრებულები არ იქნებიან სათანადოდ მომზადებულები საჯარო სექტორის განვითარებად გამოწვევებთან გასამკლავებლად. საჯარო მმართველობა სულ უფრო მეტად

მოითხოვს ინტერდისციპლინურ მიდგომას, რომელიც მოიცავს ისეთი სფეროების ცოდნას, როგორიცაა ტექნოლოგია, მონაცემთა ანალიტიკა და გარემოსდაცვითი პოლიტიკა. არსებულ სასწავლო გეგმაში შეზღუდულია აღნიშნული ინტერდისციპლინური ელემენტები, მაგრამ დიდი რაოდენობით არის მოცული ფინანსური მიმართულებები, რამაც შეიძლება შეზღუდოს სტუდენტების უნარი გამოიყენონ ჰოლისტური მიდგომები მმართველობაში და პოლიტიკის შემუშავებაში.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ფარგლებში შეზღუდულია გლობალურ და შედარებით პერსპექტივებზე ორიენტაცია. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში ნახსენებია საჯარო მმართველობის საერთაშორისო ჩარჩოები, მას აკლია ძლიერი შედარებითი კომპონენტი, რომელიც სისტემატურად შეისწავლის საჯარო მმართველობის სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ პრაქტიკას. აღნიშნულმა შეიძლება შეზღუდოს სტუდენტების გაგება იმის შესახებ, თუ როგორ უმკლავდებიან სხვა ქვეყნები მმართველობის გამოწვევებს, რაც მნიშვნელოვანია საჯარო მმართველობის გლობალური პერსპექტივის განვითარებისთვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5. "ადამიანური კაპიტალი და ციფრული ტრანსფორმაცია" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, "ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის" სამაგისტრო პროგრამა მოიცავს ძირითად საგნებს და ითვალისწინებს 78 კრედიტის წარმატებით დაგროვებას და დამატებით 42 კრედიტს, რომელიც მიიღება პროგრამის არჩევითი საგნებით. "ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის" სამაგისტრო პროგრამის მიზანია კერძო და საჯარო ორგანიზაციების უზრუნველყოფა მათი ეფექტური ფუნქციონირებისთვის საჭირო კვალიფიციური საშუალო და მაღალი დონის ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერებით. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, რომ პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის მენეჯმენტის მაგისტრი. აღნიშნულის გათვალისწინებით, რეკომენდებულია, საფუძვლიანად გადაიხედოს "ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის" სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იყოს მენეჯმენტის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინება .

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 6. "ბიზნეს ანალიტიკა" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ბიზნეს ანალიტიკაში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად, სტუდენტებს მოეთხოვებათ ჯამში 240 კრედიტის დაგროვება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თვითშეფასების ანგარიშში და პროგრამის აღწერილობის დოკუმენტში ფიქსირდება შეუსაბამობები კრედიტების განაწილებასთან დაკავშირებით. პროგრამა მოიცავს კურსებს, რომლებიც ორიენტირებულია კვლევისთვის და ანალიზისთვის საჭირო თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. საბაკალავრო პროგრამა სტუდენტებს უზრუნველყოფს არჩევითი კომპონენტებით. პროგრამის წინაპირობები და მიღების პროცესები შეესაბამება არსებულ სამართლებრივ სტანდარტებს, ხოლო პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება უმაღლესი განათლების საბაკალავრო

საფეხურს. პროგრამა ითვალისწინებს დარგში განხორციელებულ ახალი კვლევების შედეგებს და თანამედროვე მიღწევებს. პროგრამა სრულდება საბაკალავრო პროექტით ბიზნეს ანალიტიკაში, რომელიც შეთავაზებულია წინაპირობის გარეშე. ექსპერტთა ჯგუფი, საბაკალავრო პროექტის სირთულის გათვალისწინებით, გასცემს რეკომენდაციას საბაკალავრო პროექტის წინაპირობად განისაზღვროს ყველა სავალდებულო კურსი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7. "ბიზნეს ანალიტიკა" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

"ბიზნეს ანალიტიკის" ინგლისურენოვანი პროგრამა წარმოადგენს ქართულენოვანი პროგრამის ანალოგს. "ბიზნეს ანალიტიკის" საბაკალავრო პროგრამა ამზადებს კურსდამთავრებულებს იმისათვის, რომ მიიღონ დასაბუთებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ეფუძნება ბიზნეს პროცესებს და მონაცემთა ანალიტიკას ციფრული ეპოქის კონტექსტში. აღნიშნული პროგრამა ორიენტირებულია იმ მნიშვნელოვანი უნარების განვითარებაზე, რომლებიც გადამწყვეტია თანამედროვე ბიზნეს გარემოში არსებულ სირთულეებში მოქმედებისთვის. პროგრამა მოიცავს კურსებს, რომლებიც ორიენტირებულია კვლევისთვის და ანალიზისთვის საჭირო თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. პროგრამა ასევე უზრუნველყოფს სტუდენტებს არჩევითი კომპონენტებით და არჩევის შესაძლებლობებით. პროგრამის წინაპირობები და მიღების პროცესები შეესაბამება არსებულ სამართლებრივ სტანდარტებს. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება უმაღლესი განათლების საბაკალავრო საფეხურს. პროგრამა ითვალისწინებს დარგში განხორციელებული ახალი კვლევების შედეგებს და თანამედროვე მიღწევებს და სრულდება საბაკალავრო პროექტით ბიზნეს ანალიტიკაში, რომელიც შეთავაზებულია წინაპირობის გარეშე. ექსპერტთა ჯგუფი, საბაკალავრო პროექტის სირთულის გათვალისწინებით, გასცემს რეკომენდაციას საბაკალავრო პროექტის წინაპირობად განისაზღვროს ყველა სავალდებულო კურსი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8. "მეწარმეობა და ინოვაციები" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

"მეწარმეობის და ინოვაციების" სამაგისტრო პროგრამის მიზანია აღჭურვოს სტუდენტები მაღალი დონის მენეჯერულ პოზიციებზე საქმიანობისთვის აუცილებელი კომპეტენციებით. კურსდამთავრებულები მზად იქნებიან მიიღონ დამოუკიდებელი და დასაბუთებული ბიზნეს გადაწყვეტილებები მეწარმეობის, ინოვაციების და მენეჯმენტის სფეროებში. აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი, საიდანაც 110 კრედიტი წარმოადგენს სავალდებულო კომპონენტს. აღნიშნული კომპონენტი შედგება 70 კრედიტის მოცულობის სასწავლო კურსებისგან, 10 კრედიტის მოცულობის პრაქტიკული გამოცდილებისგან და 30 კრედიტის მოცულობის სამაგისტრო ნაშრომისგან. დარჩენილი 10 კრედიტი უნდა შესრულდეს პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული არჩევითი საგნების მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- "ბიზნეს ადმინსტრირების" საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები;

- "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები;
- "ადამიანურიკაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის" სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები;
- "ბიზნესის ანალიტიკის" პროგრამები და სილაბუსები;
- "მეწარმეობის და ინოვაციის" ინგლისურენოვანი პროგრამა და სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული
კლასტერის ზოგადი რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. "ბიზნესის ადმინისტრირება" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:
- რეკომენდებულია, განახლდეს საბოლოო საბაკალავრო პროექტის წინაპირობები და განისაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული ყველა სავალდებულო კურსი (1.4)

- რეკომენდებულია, განახლდეს პროგრამის ძირითადი საგნები მეწარმეობის და ინოვაციების მენეჯმენტთან დაკავშირებული კურსების დამატებით (1.4)

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 2. "ბიზნესის ადმინიტრირება" ინგლიურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:
- რეკომენდებულია, განახლდეს საბოლოო საბაკალავრო პროექტის წინაპირობები და განისაზღვროს ყველა სავალდებულო კურსი (1.4).

- რეკომენდებულია, განახლდეს პროგრამის ძირითადი საგნები მეწარმეობის და ინოვაციების მენეჯმენტთან დაკავშირებული კურსების დამატებით (1.4).

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 3. "ბიზნესის ადმინისტრირება" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები: რეკომენდებულია, გადაიხედოს სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა და გათვალისწინებული იყოს საჭირო წინაპირობები (1.4).
რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 4. "საჯარო მმართველობა" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სასწავლო პროგრამის გადახედვა იმ კურსების იდენტიფიცირებისა და ამოღების მიზნით, რომლებიც პირდაპირ არ უწყობს ხელს საჯარო მმართველობისთვის საჭირო ძირითადი კომპეტენციების განვითარებას, რითაც უზრუნველყოფილ იქნება რომ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი თითოეული საგანი ხელს შეუწყობს პროგრამის მიზნებს - მოამზადოს სტუდენტები საჯარო სექტორში მუშაობისთვის. შეიზღუდოს იმ კურსების რაოდენობა, რომლებიც ფოკუსირებულია ფინანსურ საკითხებზე და უფრო მეტად რელევანტურია ბიზნესის ადმინისტრირებისთვის, ვიდრე საჯარო მმართველობისთვის, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს მეტი ყურადღება დაუთმონ საჯარო მმართველობის ძირითად შინაარსს.

- რეკომენდებულია, სასწავლო გეგმაში შეტანილი იყოს საჯარო მმართველობის პრაქტიკული ქეისები კონკრეტული კურსების გადაკეთებით, იმისათვის, რომ აქცენტი გაკეთდეს საჯარო მმართველობისთვის სპეციფიკურ მაგალითებზე ზოგადი ფინანსური ან ბიზნესის საკითხების ნაცვლად, რომლებიც შესაძლოა პირდაპირ არ იყოს გამოყენებადი საჯარო სექტორის პოზიციებზე. (1.4)

რჩევები:

- სასურველია, ისეთ საგნებში, როგორიცაა ბიუჯეტირება და რესურსების განაწილება გამოყენებული იყოს საჯარო მმართველობის რეალური შემთხვევების შესწავლა, იმისათვის, რომ აჩვენოთ, თუ როგორ განსხვავებულად გამოიყენება ფინანსური კონცეფციები საჯარო სექტორში კერძო სექტორთან შედარებით. აღნიშნული დაეხმარება სტუდენტებს გაიგონ სახელმწიფო ფინანსების უნიკალური ასპექტები (1.4).
- სასურველია, ფინანსური კურსები ჩანაცვლდეს საჯარო სექტორზე ორიენტირებული თემებით, როგორიცაა "საჯარო სექტორის ბიუჯეტირება", "საჯარო მმართველობის ფისკალური პოლიტიკა" ან "არაკომერციული ორგანიზაციების ფინანსური მართვა", იმისათვის, რომ ფინანსური უნარები უფრო მჭიდროდ შეესაბამებოდეს საჯარო სექტორის საჭიროებებს. (1.4)
- სასურველია, პროგრამას დაემატოს და არარელევანტური საგნები ჩანაცვლდეს სპეციალიზებული კურსებით ისეთ თემებზე, როგორიცაა "ციფრული მმართველობა", "საჯარო სექტორის ეთიკა" ან "კრიზისების მართვა", რითაც სტუდენტები განივითარებენ გამოყენებად უნარ-ჩვევებს. (1.4)

პროგრამა 5. "ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაცია" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, განხორციელდეს "ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის" სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურის საფუძვლიანი გადახედვა, იმისათვის, რომ გათვალისწინებული იყოს მენეჯმენტის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნები. (1.4)

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 6. "ბიზნეს ანალიტიკა" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, საბოლოო საბაკალავრო პროექტის წინაპირობად განისაზღვროს ყველა სავალდებულო კურსი (1.4).

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 7. "ბიზნეს ანალიტიკა" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, საბოლოო საბაკალავრო პროექტის წინაპირობად განისაზღვროს ყველა სავალდებულო კურსი (1.4).

რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1. "ბიზნესის ადმინისტრირება" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	☐	☑	☐	☐
პროგრამა 2. "ბიზნესის ადმინიტრირება" ინგლიურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	☐	☑	☐	☐
პროგრამა 3. "ბიზნესის ადმინისტრირება" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☐	☑	☐	☐
პროგრამა 4. "საჯარო მმართველობა" საბაკალავრო	☐	☐	☑	☐

საგანმანათლებლო პროგრამა				
პროგრამა 5. "ადამიანური კაპიტალი და ციფრული ტრანსფორმაცია" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☐	☐	☑	☐
პროგრამა 6. "ბიზნეს ანალიტიკა" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	☐	☑	☐	☐
პროგრამა 7. "ბიზნეს ანალიტიკა" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☐	☑	☐	☐
პროგრამა 8. "მეწარმეობა და ინოვაციები" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☑	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კურსის შინაარსი და შესაბამისი კრედიტების გადანაწილება იმგვარად არის შედგენილი, რათა მიიღწეს აღნიშნულ კურსთან დაკავშირებული სწავლის შედეგები. გარდა ამისა, ძირითადი სპეციალობის ფარგლებში სასწავლო გეგმა და სწავლის შედეგები უზრუნველყოფენ, რომ პროგრამის საერთო სასწავლო მიზნები წარმატებით იყოს მიღწეული. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის ბალანსი შეესაბამება თითოეული კურსის უნიკალურ მახასიათებლებს. საკონტაქტო საათების რაოდენობა თანხვედრაშია კურსის შინაარსსა და განსაზღვრულ შედეგებთან. გარდა ამისა, კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების კურსების სილაბუსები ორგანიზებულია გასაგებად და დეტალურად აღწერს თითოეულ კომპონენტს.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 1 („ბიზნესის ადმინისტრირება“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაში (ბაკალავრიატი) თითოეული კურსის სილაბუსი მოიცავს ინფორმაციას კურსის მიზნების, სწავლების მეთოდოლოგიებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების შესახებ. გარდა ამისა, სილაბუსი შეიცავს ყოველკვირეული თემატიკის დეტალურ აღწერას, შესაბამისი ლიტერატურას, ინდივიდუალურ დავალებებსა და თითოეული კომპონენტის შეფასების მეთოდებს. ასევე, სილაბუსი ასახავს მკაფიო კრიტერიუმებს, რომლებიც სტუდენტების მიღწევებს შეფასების სკალას უკავშირებს. პროგრამა შედგება როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი კურსებისგან. სპეციალობის სავალდებულო კურსები სტუდენტებს ცოდნას უღრმავებს ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი მიმართულებების ფუნდამენტურ კონცეფციებში. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები შეესაბამება კურსის/საგნის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სავალდებულო კურსში „ბიზნესის ეთიკური და იურიდიული გარემო“, ძირითად ლიტერატურაში მითითებულია 2011 და 2015 წლებში გამოცემული ნაშრომები. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, აუცილებელია სავალდებულო ლიტერატურის განახლება. მაგალითად, ხელმისაწვდომია შემდეგი ნაშრომები: ა. ხარაიშვილი „საქართველოს ბიზნესის სამართალი“, თბილისი, 2022 და ვ. ხიზანიშვილი, „ბიზნესის ეთიკა“ (სახელმძღვანელო), თბილისი, 2018.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 2 („ბიზნესის ადმინისტრირება“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

პროგრამა შეესაბამება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას (ECTS) და მოიცავს მინიმუმ 240 კრედიტს. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხის მისაღებად, სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 ECTS კრედიტი. აქედან 156 კრედიტის მიღება პროგრამის ძირითადი საგნების წარმატებით დასრულებით ხდება, ხოლო დარჩენილი 84 კრედიტი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სხვა საგნებზეა გადანაწილებული. „პროგრამის სწავლის შედეგების რუკა“ მიუთითებს, თუ რომელი კურსები ან პროგრამის კომპონენტები უწყობს ხელს პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევას. ზოგადად, კურსის სწავლის შედეგები (CLO) ნათლად არის ჩამოყალიბებული და მხარს უჭერს პროგრამის სწავლის შედეგებს.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 3 („ბიზნესის ადმინისტრირება“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობა ორი წელია, რომლის განმავლობაშიც მაგისტრანტებმა უნდა დააგროვონ 120 კრედიტი. პროგრამის ძირითადი საგნების დასრულება მოიცავს 84 ECTS კრედიტის წარმატებით დაგროვებას, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის დანარჩენი კურსებიდან დასაგროვებელ 84 ECTS კრედიტთან ერთად. პროგრამა მოიცავს სავალდებულო 30-კრედიტიან სამაგისტრო ნაშრომს, რომელიც განკუთვნილია კვლევითი უნარების განვითარებისა და დაგროვილი ცოდნის სტრუქტურირებულად ორგანიზებისთვის. თითოეული კურსი შეიცავს საგნის დეტალურ აღწერას, რომელიც ორგანიზებულია კურსის სილაბუსებში. სილაბუსები ასახავს ძირითადი ინფორმაციას, როგორიცაა კურსის მიზნები, სწავლების მეთოდები და სწავლის შედეგები. ასევე, სილაბუსში მოცემულია ყოველკვირეული თემატიკის დეტალური აღწერა, შესაბამისი ლიტერატურა, ინდივიდუალური დავალებები და თითოეული კომპონენტის შეფასების მეთოდები. დამატებით, განსაზღვრულია მკაფიო კრიტერიუმები, რომლებიც სტუდენტების მიღწევებს მათ შეფასებასთან აკავშირებს.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 4 („საჯარო მმართველობა“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

საჯარო მმართველობის პროგრამის ძირითადი საგნები, როგორიცაა „საჯარო მმართველობის შესავალი,“ „საჯარო პოლიტიკის პროცესები,“ და „ადგილობრივი პოლიტიკა და მმართველობა,“ თანხვედრაშია სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს ფუნდამენტური ცოდნისა და უნარების განვითარებას. აღნიშნული საგნებისთვის კრედიტების გადანაწილება, როგორც წესი, ასახავს სიღრმის იმ დონეს, რომელიც საჭიროა განსაზღვრული შედეგების მისაღწევად, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, ჩამოიყალიბონ მყარი წარმოდგენა საჯარო სექტორის ოპერაციების, პოლიტიკის შემუშავებისა და მმართველობის შესახებ. ზოგიერთ, განსაკუთრებით ბიზნესზე ორიენტირებულ საგანს, (მაგ., „ფინანსების საფუძვლები“ და „ფინანსური აღრიცხვა“), კრედიტების შედარებით მაღალი დატვირთვა აქვს, მიუხედავად იმისა, რომ მათ შეზღუდული პირდაპირი კავშირი აქვთ საჯარო სექტორზე ორიენტირებულ სწავლის შედეგებთან. ამ თემებზე დახარჯული დრო შესაძლოა ამცირებდეს შესაძლებლობას, რომ შეისწავლონ საჯარო მმართველობისთვის უფრო რელევანტური უნარები, როგორიცაა

საჯარო ბიუჯეტირება, რეგულირების საკითხები ან ციფრული მმართველობა, რაც უკეთ შეუწყობდა ხელს საჯარო მმართველობისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის ძირითადი სპეციალობის საგნები, როგორიცაა „ადმინისტრაციული ლიდერობა და ეთიკა," „საჯარო პოლიტიკის ანალიზი," და „ადამიანური რესურსების მმართველობა საჯარო ორგანიზაციებში," შეესაბამება პროგრამის ზოგად მიზნებს, როგორიცაა ეთიკური საჯარო მმართველების ჩამოყალიბება, სამთავრობო სტრუქტურების გაგება და ლიდერული პოზიციებისათვის მომზადება. ეს კურსები კოლექტიურად უწყობს ხელს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, რაც ეფექტური საჯარო მმართველობისთვის საჭირო კომპეტენციების განვითარებას გულისხმობს. პროგრამას შეუძლია გააძლიეროს ყურადღება ისეთ თანამედროვე სფეროებზე, როგორიცაა ციფრული მმართველობა, საჯარო სექტორის ინოვაციები და მდგრადი პოლიტიკის შემუშავება, რაც მნიშვნელოვანია თანამედროვე საჯარო მმართველობისთვის. ამან შეიძლება კურსის შინაარსი უფრო შესაბამისი გახადოს თანამედროვე მმართველობის გამოწვევებისთან და უზრუნველყოს, რომ სწავლის შედეგები, ასახავდეს დღევანდელი საჯარო სექტორის დინამიურ საჭიროებებს. ასევე, მეტი ინტერდისციპლინური თემატიკის ჩართვა სტუდენტებს დაეხმარება საჯარო მმართველობის რთული და მრავალმხრივი საკითხების გადაწყვეტაში.

საჯარო მმართველობის ძირითადი კურსების სილაბუსები, როგორც წესი, მოიცავს ფუნდამენტურ ტექსტებს, შემთხვევების შესწავლასა და აკადემიურ სტატიებს, რომლებიც სთავაზობენ სიღრმისეულ წიაღსვლებს საჯარო სექტორში. სასწავლო მასალები, განსაკუთრებით ისეთ კურსებში, როგორიცაა „საჯარო პოლიტიკის პროცესები" და „ადმინისტრაციული სამართალი," თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოყენებებს აერთიანებს, რაც ეხმარება სტუდენტებს საჯარო მმართველობის რეალური გამოწვევების გააზრებასა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში. პროგრამას შეუძლია სარგებელი მიიღოს სასწავლო მასალების რეგულარული განახლებით და უფრო ახალი პუბლიკაციების მითითებით, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა ელექტრონული მმართველობა, საჯარო სექტორის ტექნოლოგიები და კრიზისების მართვა. აღნიშნული უზრუნველყოფდა, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა საჯარო მმართველობის განვითარების უახლეს ტენდენციებსა და კვლევებზე, რაც მათ უკეთ მოამზადებს სფეროს თანამედროვე მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ასევე, შესასწავლი შემთხვევების ინტეგრირება მრავალფეროვანი გეოპოლიტიკური კონტექსტებიდან სტუდენტებს შესთავაზებს უფრო გლობალურ პერსპექტივას, რაც მათ საშუალებას მისცემს, საჯარო მმართველობა საერთაშორისო კუთხითაც გაიაზრონ.

ექსპერტთა ჯგუფს ასევე ჰქონდა კონკრეტული მიგნებები ინდივიდუალური კურსების მიმართ. მაგალითად, „დაზღვევის საფუძვლები" პროგრამაში წარმოდგენილია, როგორც არჩევითი კურსი. ამ კურსისთვის სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია მხოლოდ ერთი ნაშრომი, რომელიც ინგლისურენოვანია. საბაკალავრო დონის სწავლებისთვის აუცილებლად საჭიროა, რომ ქართული სადაზღვევო კანონმდებლობაც იყოს მოცული საერთო საფუძვლებთან და პრინციპებთან ერთად, რათა სტუდენტებმა ეროვნულ დონეზე გაიაზრონ დაზღვევის რეგულირების საფუძვლები. მით უფრო, რომ სილაბუსის შინაარსი ცხადად აერთიანებს სადაზღვევო რეგულირების იურიდიულ საფუძვლებს. შესაბამისად, „დაზღვევის საფუძვლების" კურსის სავალდებულო ლიტერატურაში უნდა შედიოდეს მინიმუმ დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონი და საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ასევე საჭიროებისამებრ სხვა შესაბამისი კანონები. დამატებით, არსებობს საჭიროება, რომ სავალდებულო ლიტერატურაში წარმოდგენილი

იყოს ქართული კანონმდებლობის შესახებ თეორიული ნაშრომები. ასეთი ნაშრომებია: ტორტორანო პ., მარიკონდა კ., სინიორინი ე., ციცქაძე და სხვების „კომენტარი საქართველოს კანონზე დაზღვევის შესახებ: 3 ტომად. ტომი 1, დაზღვევა (799–819 მუხლები)“ / რედაქტორი ა. ბორონი, თბილისი, 2022; ხურციძე თ., „დაზღვევის სამართალი: თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული გამოცდილება [სახელმძღვანელო],“ თბილისი, 2019; კ. კოკაია, „დაზღვევა საქართველოში,“ თბილისი, 2012.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 5 (ადამიანური კაპიტალი და ციფრული ტრანსფორმაცია, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

ადამიანური კაპიტალის მართვისა და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამაში ძირითადი საგნების დასრულება მოიცავს 78 ECTS კრედიტის წარმატებით დაგროვებას, ამასთან ერთად კი პროგრამის არჩევითი საგნებიდან დამატებით 42 ECTS კრედიტის მიღებასაც. თითოეული კურსი შეიცავს საგნის დეტალურ აღწერას, რომელიც სილაბუსებში ცხადად არის წარმოდგენილი. ეს სილაბუსები მოიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას კურსის მიზნების, სწავლების მიდგომებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების შესახებ. როგორც 1.4 სტანდარტში არის აღნიშნული, მნიშვნელოვანია დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული მოთხოვნების მოცვა. ამ კუთხით, პროგრამაში უნდა შედიოდეს მენეჯმენტის სწავლებებისთვის აუცილებელი კურსები.

კონკრეტულად, „ადამიანური კაპიტალის მართვისა და ციფრული ტრანსფორმაციის“ სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, „შრომითი კანონმდებლობის სამართლებრივი ჩარჩოები“ წარმოდგენილია როგორც ძირითადი საგანი. მისი სავალდებულო ლიტერატურა მოიცავს „საქართველოს შრომის სამართალსა და საერთაშორისო შრომის სტანდარტებს,“ რომელიც გამოცემულია 2017 წელს, თუმცა ავტორები მითითებული არ არის. აუცილებელია ამ ნაშრომის დაზუსტება შესაბამისი მონაცემებით, მაგალითად: „შველიძე ზ., ბოდონე კ., თოდრია თ., ხაჟომია თ., გუჯაბიძე ნ., მესხიშვილი კ., საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები (სახელმძღვანელო მოსამართლეებისათვის, ადვოკატებისა და სამართლის მასწავლებლებისთვის), შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გამოცემა, თბილისი, 2017.“ ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასურველია ამ საგნის სავალდებულო ლიტერატურაში შედიოდეს უახლესი ნაშრომები, ხოლო ძველი კვლევები გადავიდეს დამატებითი ლიტერატურის განყოფილებაში. მაგალითად, უახლეს ნაშრომებს შორის აღსანიშნავია: ქარდავა ე., გასიტაშვილი ე., ბაქაქური ნ., კარტოზია მ., ლიპარტია ნ., „მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრაქტიკა და საქართველოს შრომის სამართალი (მეორე ნაწილი),“ თბილისი, 2020; თაკაშვილი ს., ხვედელიძე მ., შენგელია ე., „შრომის სამართალი: პრაქტიკული გზამკვლევი,“ თბილისი, 2021; გასიტაშვილი ე., ბაქაქური ნ., ქარდავა ე., კარტოზია მ., ლიპარტია ნ., „მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრაქტიკა და საქართველოს შრომის სამართალი,“ თბილისი, 2019. სასურველია, კურსის ხელმძღვანელმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს სავალდებულო ლიტერატურაში უახლესი ნაშრომების ჩართვაზე.

გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამაში გარკვეული კურსების შინაარსი მნიშვნელოვნად ემთხვევა ერთმანეთს. კონკრეტულად, კვლევის მეთოდების, ეთიკისა და ლიტერატურის მიმოხილვის საკითხები ერთდროულადაა წარმოდგენილი რამდენიმე კურსში და ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ საჭიროა შინაარსის ცხადი და ცალსახა გამიჯვნა.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 6 და 7 ("ბიზნეს ანალიტიკა" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამები)

ბიზნეს ანალიტიკის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად, სტუდენტებმა უნდა დააგროვონ 240 ECTS კრედიტი. პროგრამა მოიცავს კურსებს, რომლებიც ორიენტირებულია კვლევისა და ანალიზისათვის საჭირო თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს არჩევითი კომპონენტების გავლის საშუალებას. პროგრამის წინაპირობები და მიღების პროცესები შესაბამისობაშია არსებულ საკანონმდებლო ნორმებთან. ბიზნეს ანალიტიკის (ინგლისურენოვანი) პროგრამა მჭიდროდ არის დაკავშირებული მის ქართულენოვან ეკვივალენტთან. აღნიშნული საბაკალავრო პროგრამა ამზადებს კურსდამთავრებულებს, რათა მათ შეძლონ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება ბიზნეს პროცესებისა და მონაცემთა ანალიტიკის საფუძველზე ციფრული ეპოქის კონტექსტში. პროგრამა ყურადღებას ამახვილებს ისეთი ძირითადი უნარების განვითარებაზე, რომლებიც თანამედროვე ბიზნეს გარემოს სირთულეების ეფექტურად მართვისთვის არის აუცილებელი. პროგრამის კურსების სილაბუსები ასახავს ძირითად ინფორმაციას, როგორიცაა კურსის მიზნები, სწავლების მეთოდები და სწავლის შედეგები. ასევე, სილაბუსები შეიცავს ყოველკვირეული თემატიკის დეტალურ აღწერას, შესაბამის ლიტერატურასა და ინდივიდუალური დავალებების ჩამონათვალს.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 8 („მეწარმეობა და ინოვაცია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, სტუდენტებმა უნდა დააგროვონ 120 კრედიტი. ამ კრედიტებიდან 110 ECTS კლასიფიცირდება როგორც სავალდებულო. სავალდებულო კომპონენტი მოიცავს: 70 კრედიტს სასწავლო კურსებზე, 10 კრედიტს პრაქტიკული გამოცდილებისთვის და 30 კრედიტს სამაგისტრო პროექტისთვის. დარჩენილი 10 კრედიტი სტუდენტებმა უნდა აირჩიონ პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული არჩევითი საგნებიდან. თითოეული კურსი შეიცავს საგნის დეტალურ აღწერას, რომელიც ორგანიზებულია კურსის სილაბუსებში. სილაბუსები ასახავს ძირითადი ინფორმაციას, როგორიცაა კურსის მიზნები, სწავლების მეთოდები და სწავლის შედეგები. ასევე, სილაბუსებში მოცემულია ყოველკვირეული თემატიკისა და შესაბამისი ლიტერატურის დეტალური აღწერა.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასურველია, პროგრამის კურსში „მეწარმეობისა და ინოვაციის კანონმდებლობა და რეგულაციები“ - განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა. მიუხედავად იმისა, რომ კურსში მოცემულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონი და ლექტორის

სასწავლო მასალები, აუცილებელია არსებული თეორიული წყაროების გამოყენებაც. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მეწარმეთა შესახებ ახალი კანონი და მიდგომები ძალაში შევიდა 2022 წელს. ქართულ სივრცეში არსებობს აღნიშნული ტანამედროვე ნაშრომები (სახელმძღვანელოები): ხარაიშვილი ა., „საქართველოს ბიზნესის სამართალი," თბილისი, 2022; ბურდული ი., მახარობლიშვილი გ., თოხაძე ა., ზუბიტაშვილი ნ., ალადაშვილი გ., მაღრაძე გ., ეგნატაშვილი დ., „კორპორაციული სამართალი," თბილისი, 2022.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
- ბიზნეს ადმინსტრირების საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- ბიზნეს ადმინსტრირების სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები;
- საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები;
- ადამიანური კაპიტალის მართვისა და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები
- ბიზნეს-ანალიტიკის პროგრამა და სილაბუსები;
- მეწარმეობისა და ინოვაციის (ინგლისურენოვანი) პროგრამა და სილაბუსები;
- პროგრამა "მეწარმეობა და ინოვაციები"
- პროგრამა "ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაცია"
- პროგრამა "საჯარო მმართველობა"
- პროგრამა "ბიზნესი და ადმინისტრირება"
- თვითშეფასების ანგარიში;
- სილაბუსები;
- გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 5 ადამიანური კაპიტალი და ციფრული ტრანსფორმაცია

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამა მოიცავდეს მენეჯმენტის სწავლებისთვის აუცილებელ სპეციფიკურ კურსებს (1.5.)

პროგრამა 8: მეწარმეობისა და ინოვაციის სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსში "კანონმდებლობა და რეგულაციები მეწარმეობაში და ინოვაციებში" განახლდეს სავალდებულო ქართულენოვანი ლიტერატურა

შეფასება

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 4 საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 5- ადამიანური კაპიტალის მართვისა და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამა	☐	☐	☑	☐
პროგრამა 6 - ბიზნეს-ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 7 - ბიზნეს-ანალიტიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 8 - მეწარმეობისა და	☐	☑	☐	☐

ინოვაციის
ინგლისურენოვანი
სამაგისტრო პროგრამა

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა	☐	☑	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	☐	☑	☐	☐
პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა	☐	☑	☐	☐
პროგრამა 4 საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა	☐	☑	☐	☐
პროგრამა 5- ადამიანური კაპიტალის მართვისა და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამა	☐	☐	☑	☐
პროგრამა 6 - ბიზნეს-ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამა	☐	☑	☐	☐
პროგრამა 7 - ბიზნეს-ანალიტიკის	☐	☑	☐	☐

ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა				
პროგრამა 8 - მეწარმეობისა და ინოვაციის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა	☐	☑	☐	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ- ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულება მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტის პროგრამებზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფს იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე აპლიკანტების ჩარიცხვას, რომლებიც აუცილებელია პროგრამის წარმატებით დასაძლევად. კლასტერში მოცემულ ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად. წინაპირობების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებგვერდზე.

კლასტერში მოცემულ ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვა ხდება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი აკმაყოფილებს ინგლისური ენის ცოდნის (B1 დონე, მინიმუმ 70%) და სხვა სამართლებრივ მოთხოვნებს. 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად. კერძოდ, საქართველოს მოქალაქეებმა უნდა გაიარონ ერთიანი ეროვნული გამოცდები. უცხოელი აპლიკანტები, რომლებმაც სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება მიიღეს საზღვარგარეთ და/ან სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში, ან ბოლო ორი ან მეტი წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ უცხო ქვეყანაში და სწავლობენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებიც აღიარებულია მასპინძელი ქვეყნის კანონმდებლობით, შეძლებენ პროგრამაში ჩარიცხვას ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინგლისური ენის ცოდნის დონის დასადასტურებლად მიიღება შემდეგი საერთაშორისო სერთიფიკატები:

- TOEFL IBT – მინიმალური ქულა 70
- IELTS – მინიმალური ქულა 4.5
- PTE General – მინიმალური დონე B1
- FCE – მინიმალური დონე B
- CPE – ჩათვლა
- CAE – ჩათვლა

სტუდენტებისთვის, რომელთაც არ აქვთ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი, საქართველოს უნივერსიტეტი ჩაატარებს შესაბამის B1 დონის ტესტს, სადაც ტესტის 70%-ის წარმატებით ჩაბარება ჩაითვლება კომპეტენციის დადასტურებად.

კლასტერში მოცემულ ქართულენოვან სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვა ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად, ინგლისური ენის (წერითი) გამოცდის წარმატებით ჩაბარებით, ზეპირი გასაუბრებით, ადმინისტრაციული რეგისტრაციით და პრეზიდენტის ბრძანებით. ინგლისური ენის ცოდნის დონის დასადასტურებლად მიიღება შემდეგი საერთაშორისო სერთიფიკატები:

TOEFL IBT – მინიმალური ქულა 80

IELTS – მინიმალური ქულა 6.5

PTE General – მინიმალური დონე B2

FCE – მინიმალური დონე B

CPE – ჩაბარებული

CAE – ჩაბარებული

საბაკალავრო პროგრამების მსგავსად, იმ აპლიკანტების ჩარიცხვა, რომელთაც არ აქვთ სერტიფიკატი, მოხდება B2 დონის ტესტში 70%-იანი შედეგის საფუძველზე.

ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამებზე მიღებისათვის სტუდენტებმა უნდა დააკმაყოფილონ ინგლისური ენის ცოდნის (B2 დონე) და სხვა სამართლებრივი მოთხოვნები. კერძოდ, საქართველოს მოქალაქეებმა უნდა ჩააბარონ საერთო სამაგისტრო გამოცდები. უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომელთაც მიიღეს ბაკალავრის ხარისხი ან მასთან გათანაბრებული განათლება საზღვარგარეთ და/ან ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ ან ცხოვრობდნენ საზღვარგარეთ, შეძლებენ პროგრამაზე ჩარიცხვას ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად. ინგლისური ენის ცოდნის დონის დასადასტურებლად მიიღება საერთაშორისო სერთიფიკატები, და შეფასების კრიტერიუმები იგივეა, რაც ქართულენოვან სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვისთვის.

აღწერა და ანალიზი პროგრამა 1(„ ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა დაშვება ხორციელდება კანონით დადგენილი წესების შესაბამისად. კერძოდ, უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (საბაკალავრო) პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 („ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა)

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება კანონით დადგენილი წესების შესაბამისად. კერძოდ, უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (საბაკალავრო) პროგრამებზე ჩარიცხვა ხდება შემდეგი წესების მიხედვით: პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ინგლისური ენის ცოდნა (B1 დონე 70%) და სხვა სამართლებრივი მოთხოვნები. კერძოდ, საქართველოს მოქალაქეებმა წარმატებით უნდა ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 („ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა)

პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა ინგლისური ენის ცოდნა (B2 დონე) და სხვა სამართლებრივი მოთხოვნები. კერძოდ, საქართველოს მოქალაქეებმა წარმატებით უნდა ჩააბარონ საერთო სამაგისტრო გამოცდები. უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებმაც მიიღეს ბაკალავრი ხარისხი ან მასთან გათანაბრებული ხარისხი საზღვარგარეთ და/ან ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ საზღვარგარეთ, ან ბოლო ორი ან მეტი წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ უცხო ქვეყანაში და სწავლობენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში,
რომელიც აღიარებულია მასპინძელი ქვეყნის კანონმდებლობით, შეძლებენ პროგრამაზე ჩარიცხვას ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად. სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ შესაბამისი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს ინგლისური ენის B2 დონის კომპეტენციას.

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 4 („საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო პროგრამა)

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების, ადმინისტრაციული რეგისტრაციისა და შესაბამისი ბრძანების საფუძველზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5- („ადამიანური კაპიტალი და ციფრული ტრანსფორმაციის“ სამაგისტრო პროგრამა)

სტუდენტთა დაშვება ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად, ინგლისური ენის (წერითი) გამოცდის წარმატებით ჩაბარების, ზეპირი გასაუბრების, ადმინისტრაციული რეგისტრაციისა და პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე. სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ ინგლისური ენის B2 დონის კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 და 7 ("ბიზნეს ანალიტიკა" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები)

ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება კანონით დადგენილი წესების შესაბამისად. კერძოდ, კერძოდ, უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (საბაკალავრო) პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციისა და შესაბამისი ბრძანების საფუძველზე.

პროგრამა 8 - მეწარმეობისა და ინოვაციის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე აპლიკანტებს. ჩარიცხვა ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და უნივერსიტეტის შიდა გამოცდების შედეგების საფუძველზე. სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ რეზიუმე და გაიარონ გასაუბრება შერჩევის კომიტეტთან, დარგობრივი კომპეტენციების შესახებ. შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის (გასაუბრების) თემატიკა გამოქვეყნდება ვებგვერდზე ერთი თვით ადრე. საერთო სამაგისტრო გამოცდისა და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის (გასაუბრების) გარდა, აპლიკანტმა უნდა დაადასტუროს ინგლისური ენის B2 დონის კომპეტენცია. მას ამის დადასტურება შეუძლია ინგლისური ენის ტესტის საშუალებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის მახასიათებლები
- ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაცია (https://www.ug.edu.ge/ge/programmes/1)
- ბაკალავრიატის დებულება
- მაგისტრატურის დებულება
- საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ"

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 4 საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 5- ადამიანური კაპიტალი და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 6 - ბიზნეს-ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 7 - ბიზნეს-ანალიტიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 8 - მეწარმეობისა და ინოვაციის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა	☑	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული მტკიცებულებებისა და აკრედიტაციის ვიზიტის საფუძველზე, პროგრამები სწავლის შედეგების მეშვეობით უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი, შემოქმედებითი/საშემსრულბლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას, მათ შორის კვლევით პროექტებში მონაწილეობით.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსი ლოგიკურია და შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას. პრაქტიკული/შემოქმედებითი/საშემსრულებლო კომპონენტი სწავლების დონისთვის ადეკვატურია. პროგრამების მიზნები თავსებადია სწავლების შედეგებთან და აქცენტს აკეთებს ტრანსფერული უნარების განვითარებაზე.

საგანმანათლებლო პროგრამები ითვალისწინებს საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას, რომელიც აღრმავბს და აჯამებს კვლევით და პრაქტიკულ უნარებს. ნაშრომი აჩვენებს სტუდენტის სწავლის, კვლევით და შემოქმედებით უნარებს, ეთიკურ ქცევასა და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარს.

საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტების კვლევითი მუშაობა ავითარებს მათ უნარს პრაქტიკულად განახორციელონ კვლევა, მოიძიონ და დაამუშაონ ინფორმაცია, გააანალიზონ შედეგები და ჩამოაყალიბონ დასკვნები. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის სტუდენტების კვლევითი ნაშრომის შესრულება რეგულირდება შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტებით და ექვემდებარება ორიგინალობისა და პლაგიატის ხარისხის დაცვას.

სტუდენტების კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით, საქართველოს უნივერსიტეტი თანამშრომლობს სხვადასხვა სფეროში მოქმედ საჯარო და კერძო ორგანიზაციებთან.

უნივერსიტეტში მოქმედებს სამეცნიერო ჟურნალი „კავკასიის სოციალურ მეცნიერებათა ჟურნალი“, სადაც საქართველოს უნივერსიტეტის სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის სტუდენტებისათვის სტატიების გამოქვეყნება უფასოა.

პრაქტიკული, კვლევითი და სამეწარმეო უნარების განვითარების მიზნით, საქართველოს უნივერსიტეტი თანამშრომლობს საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსთან (GITA) სტაჟირების პროგრამის ფარგლებში. სტუდენტები ჩართულნი არიან

GITA-ს მიერ დაფინანსებული სტარტაპების საკონსულტაციო პროცესში და უზრუნველყოფენ სტარტაპებისთვის HR კონსულტირებას.

საქართველოს უნივერსიტეტში ფუნქციონირებს „სტარტაპ ფაბრიკა," რომელიც ატარებს სტარტაპულ საუბრებს. ასევე მოქმედებს „ტექნოლოგიების ტრანსფერის" პროგრამა, რომლის ფარგლებში ქართული ბიზნესის წარმომადგენლები „სტარტაპ ფაბრიკას" მიმართავენ კონკრეტული პრობლემით, ხოლო სტუდენტები ერთვებიან რეალური შემთხვევების გადაჭრის პროცესში

ბიზნესისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლა მონაწილეობს „ევროპული ინოვაციების აკადემიის" საზაფხულო პროგრამაში.

უნივერსიტეტი ასევე ხელს უწყობს ტრანსფერული უნარების და ექსტრაკურიკულარული ინიციატივების განვითარებას, რაც გამოიხატება იმაში, რომ პროფესორ-მასწავლებლების ხელმძღვანელობით, სხვადასხვა აქტივობებისათვის, სტუდენტებს შეუძლიათ შექმნან მოხალისეობრივი სტუდენტური კლუბები წესდებით,

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები
- კურიკულუმი
- სტუდენტური ღონისძიებების მასალები
- პრორამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
- შესაბამისი შეთახნმებები და მემორანდუმები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, განავითაროთ პროგრამები უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტების და ბიზნეს ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფორმების უფრო მკაფიოდ განსაზღვრის თვალსაზრისით (2.2).
- სასურველია, მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბება შრომის ბაზრის დამსაქმებლებთან. ასევე, განხორციელდეს შრომის ბაზრის დამსაქმებლებისგან და მოწვეული პერსონალისგან რეკომენდაციების აქტიურად მიღება (2.2).

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 4 საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 5- ადამიანური კაპიტალი და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 6 - ბიზნეს-ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 7 - ბიზნეს-ანალიტიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 8 - მეწარმეობისა და ინოვაციის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა	☑	☐	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება- წავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში წარმოდგენილი პროგრამები იყენებენ სწავლება-სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს. ეს მოიცავს ლექციებსა და სემინარებს, რომლებიც იყენებს განმარტებით/დიდაქტიკურ მეთოდებს, დემონსტრირებას, აქტიური სწავლის მიდგომებს, ახალი ამბების ანალიზს, დისკუსიებსა და დებატებს, გუნდურ მუშაობას და შემთხვევის შესწავლას. დაწესებულება ხაზს უსვამს მის მრავალფეროვან პედაგოგიურ სტრატეგიას, რომელიც ასევე მოიცავს პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას, მოქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას და პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას.

სწავლების მეთოდებისა და სტრატეგიების ეფექტიანობის შეფასება ხორციელდება ორ ძირითად ინდიკატორზე დაყრდნობით: სტუდენტთა კვლევითი ანგარიში და აკადემიური პერსონალის კვლევითი ანგარიში, რომლებიც აჩვენებს, რამდენად ეფექტურად გამოიყენება ეს მეთოდები. საქართველოს უნივერსიტეტმა აცნობა ექსპერტთა ჯგუფს, რომ ის მუდმივად განიხილავს და განაახლებს სწავლის მეთოდებს, იზიარებს და ახორციელებს საუკეთესო პრაქტიკებსა და მიღწევებს პერსონალის ბაზაზე. ამისთვის ტარდება ტრენინგები პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალისთვის, რათა მათ გაიძლიერონ ცოდნა სხვადასხვა სწავლის მეთოდებზე და პრაქტიკაში გამოიყენონ ისინი. პერსონალმა ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა უწყვეტი პროფესიული განვითარების რამდენიმე მაგალითი, რომლებიც მიმართულია სწავლება-სწავლის მეთოდების მხარდასაჭერად.

ამ პროფესიული განვითარების პროცესში შედის საქართველოს უნივერსიტეტის მონაწილეობა რამდენიმე მიმდინარე პროექტში, მათ შორის "Modern Competences of Academic Teachers - the Key to Modern HEI (MOCAT)." აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური და მოწვეული პერსონალის ტრენინგს, სწავლების თანამედროვე მეთოდების სახელმძღვანელოს შექმნას, შესაბამისი ვიდეოლექციების მომზადებას და ცოდნის დისემინაციას. ასევე, დაწესებულების პერსონალი ჩართული იყო Erasmus+ პროექტში „მდგრადი, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება - უმაღლესი დონის რესურსი" საქართველოსა და ჩინეთისთვის (STAR), რომლის მიზანია პროფესორ-მასწავლებლებისთვის, საუნივერსიტეტო სივრცეში, სწავლის ინოვაციური, სტუდენტზე ორიენტირებული მიღწევების გაცნობა. პროექტის ფარგლებში შეიქმნა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სახელმძღვანელო.

უნივერსიტეტი ასევე უზრუნველყოფს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ტრენინგს სწავლებისა და სწავლის თანამედროვე მეთოდებში. ბიზნესისა და ადმინისტრაციული მეცნიერებების სკოლის პერსონალს ჩაუტარდათ ტრენინგები, ხელოვნური ინტელექტის

სწავლების პროცესში ინტეგრაციის მიმართულებით. პერსონალს ასევე ჩაუტარდა ტრენინგები პროექტზე დაფუძნებული და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის კუთხით, რომელსაც კვალიფიციური ტრენერები უძღვებოდნენ.

დაწესებულებამ ასევე აცნობა ექსპერტთა ჯგუფს, რომ სწავლებისა და სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს თითოეული სასწავლო კურსის შედეგების მიღწევას. აღნიშნული მეთოდები დეტალურად არის ასახული კურსის სილაბუსებში და შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და შედეგებს. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, შესაძლებელია ზოგიერთი კურსის გაუმჯობესება პრაქტიკული მიდგომების უფრო ფართო გამოყენებით, მათ შორის სტაჟირებებით. სტუდენტებმა ყველა პროგრამიდან აღნიშნეს, რომ ისურვებდნენ უფრ მეტ ასეთი ტიპის სწავლებისა და სწავლის დანერგვას. როდესაც ეს საკითხი დაისვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის პერსონალთან, პერსონალმა განმარტა, რომ აღნიშნული უნარები ნაწილობრივ ჩაშენებულია რეალური შემთხვევების შესწავლის პროცესში. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ეს მიდგომა სტუდენტებს არ აძლევს პრაქტიკული უნარების განვითარების შესაძლებლობას, არამედ უფრო ცოდნას აძლევს პოტენციური მიდგომების ან სხვების მიერ სიტუაციების მართვის შესახებ. ასევე, ექსპერტთა ჯგუფის შეხედულებით, სწავლების მეთოდები და აქტივობები უფრო დეტალურად და მკაფიოდ უნდა იყოს ასახული სილაბუსებსა და პროგრამის აღწერებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის სპეციფიკაციები
- შესაბამისი კომპონენტების სილაბუსები (თითოეულ პროგრამასთან მიმართებით)
- სწავლების მეთოდების სახელმძღვანელო
- ტრენინგების დასწრების აღრიცხვა და ფოტო-მასალა

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამებში გაძლიერდეს სწავლება - სწავლის პრაქტიკული მიდგომების გამოყენება, მათ შორის სტაჟირების გამოყენებით (2.3).
- რეკომენდებულია, პროგრამაში და სილაბუსებში სრულყოფილად და ზუსტად იყოს აღწერილი სწავლების მეთოდები და აქტივობები (2.3).

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა	☐	☑	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	☐	☑	☐	☐
პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა	☐	☑	☐	☐
პროგრამა 4 საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა	☐	☑	☐	☐
პროგრამა 5- ადამიანური კაპიტალი და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამა	☐	☑	☐	☐
პროგრამა 6 - ბიზნეს-ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამა	☐	☑	☐	☐
პროგრამა 7 - ბიზნეს-ანალიტიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	☐	☑	☐	☐
პროგრამა 8 - მეწარმეობისა და ინოვაციის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა	☐	☑	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის, თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის დროს მოპოვებული მონაცემების საფუძველზე, კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებას „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“.

შეფასების სისტემა და პროცედურები სამართლიანი და გამჭვირვალეა. სტუდენტთა შეფასება ხორციელდება 100-ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს შუალედურ და საბოლოო შეფასებებს. თითოეული კურსის ფარგლებში კრედიტის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 51 ქულა. სტუდენტთა შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, გამოიყენება სამართლიანად ყველა სტუდენტთან მიმართებით, სანდოა და შეესაბამება მარეგულირებელ დოკუმენტებს.

ლექტორი სტუდენტებს კურსის დასაწყისში აცნობს შეფასების კრიტერიუმებსა და კომპონენტებს, ხოლო სილაბუსი ხელმისაწვდომია სემესტრის განმავლობაში ელექტრონული პლატფორმა „My UG“-ის მეშვეობით. ეს პლატფორმა საშუალებას აძლევს სტუდენტებს გაეცნონ შეფასების კომპონენტებს, კრიტერიუმებსა და მიღებულ ქულებს. ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, მათ შორის, ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე.

ფინალური გამოცდები ტარდება საგამოცდო ცენტრის მიერ, კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს, რომ თითოეულ სტუდენტს მიეცეს ინდივიდუალური საგამოცდო ბილეთი. სისტემა ავტომატურად ამოწმებს დახურული ტიპის შეკითხვებს, ხოლო ღია შეკითხვებს ლექტორი ელექტრონულად ამოწმებს, რაც უზრუნველყოფს ანონიმურობას; ლექტორი ვერ აიდენტიფიცრებს საგამოცდო ნამუშევრის ავტორს.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის, მათ შორის ინტერვიუების საფუძველზე, ასევე დადასტურდა, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, მათ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე. წერითი გამოცდებისა და შეფასებების შემთხვევაში, კურსის ლექტორები უკუკავშირს აბრნებენ კომენტარების სახით. რაც შეეხება ფინალურ გამოცდას, ღია შეკითხვებზე გაიცემა ინდივიდუალური უკუკავშირი. ლექტორების უკუკავშირი სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია „My UG“-ის ელექტრონულ პორტალზე შეფასების შედეგებთან ერთად. ლექტორები ასევე იძლევიან დამატებით განმარტებებს ლექციების დროს.

თითოეული კომპონენტისთვის განსაზღვრულია მინიმალური ზღვარი, რომელიც მითითებულია სილაბუსში. მაგალითად, ზოგიერთი კურსისთვის საბოლოო გამოცდის მინიმალური ზღვარი არის 20 ქულა (40-დან), ხოლო სხვა კურსებისთვის - 21 ქულა (35-დან). მინიმალური ზღვარი განსხვავდება საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურისა და კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით. თუმცა, სამაგისტრო პროგრამაში „მეწარმეობა და ინოვაციები“ სილაბუსებში არცერთ კურსზე არ არის განსაზღვრული მინიმალური ზღვარი. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ ამ პროგრამის კურსებისათვის განისაზღვროს შუალედური და საბოლოო შეფასებების მინიმალური ზღვარი.

რაც შეეხება სამაგისტრო პროგრამებს „ბიზნესის ადმინისტრირება“ და „ადამიანური კაპიტალი და ციფრული ტრანსფორმაცია“, „სამაგისტრო ნაშრომის ინსტრუქციაში“ მითითებულია, რომ სტუდენტებს შეუძლიათ იმუშაონ ჯგუფურ სამაგისტრო ნაშრომზე, თუმცა გაურკვეველია, როგორ ხდება თითოეული სტუდენტის მუშაობის შეფასება. როგორც ადგილზე ვიზიტის დროს ხელმძღვანელებთან იყო განხილული, ჯგუფურ ნაშრომში თითოეულ სტუდენტს აქვს საკუთარი პასუხისმგებლობები და გეგმა, რათა სამუშაო თეორიულად თანაბრად გადანაწილდეს. ასევე, სამაგისტრო ნაშრომის ინსტრუქციის მიხედვით, თუ ნაშრომზე ჯგუფურად მუშაობენ სტუდენტები, ნაშრომის სავალდებულო ტექსტის მოცულობა იზრდება (ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე: სიტყვების რაოდენობა ითვლება შემდეგნაირად: 8000 სიტყვა + ჯგუფში ჩართული სტუდენტების რაოდენობა X 2000 სიტყვა; „ადამიანური კაპიტალი და ციფრული ტრანსფორმაცია“ პროგრამაზე: სიტყვების რაოდენობა = 13,000 სიტყვა + ჯგუფში ჩართული სტუდენტების რაოდენობა X 1000 სიტყვა). თუმცა გაურკვეველია, როგორ განისაზღვრება, აქვს თუ არა თითოეულ სტუდენტს თანაბარი სამუშაო დატვირთვა, აღწევენ თუ არა ისინი ერთნაირ შედეგებს და ფასდებიან თუ არა შესაბამისი დატვირთვის გათვალისწინებით. დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გაურკვეველია, როგორ უნდა განხორციელდეს აღნიშნული პრაქტიკაში, და ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეძლო დაედგინა, შეესაბამება თუ არა აღნიშნული მიდგომა დარგობრივ მახასიათებელს, რომელიც მოითხოვს, რომ სტუდენტმა „დამოუკიდებლად ჩაატაროს კვლევა (სამაგისტრო პროექტი/დისერტაცია ან კვლევითი პროექტი/დისერტაცია)“. შესაბამისად, რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომი იყოს ინდივიდუალური, რათა თითოეულ სტუდენტს ჩამოუყალიბდეს ერთნაირი ცოდნა და უნარები, დამოუკიდებლად ჩაატაროს კვლევა და შესაბამისად შეფასდეს.

კურსის სილაბუსები დეტალურად აღწერენ შეფასების კომპონენტებს და შესაბამისი რუბრიკების წანამძღვრებით. თუმცა, უმეტეს კურსებში შეფასების სისტემა და კომპონენტები საკმაოდ მსგავსია, და გაურკვეველია, რა განსხვავებაა შეფასების კომპონენტებს შორის სხვადასხვა კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ შეფასების კომპონენტები იყოს შესაბამისობაში კურსის სპეციფიკასთან.

პროგრამების თვითშეფასების ანგარიშის, დამატებითი დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის დროს გამართული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ უნივერსიტეტს აქვს პლაგიატის აღმოჩენის, პრევენციისა და მასზე რეაგირების ეფექტური მექანიზმი. „Turnitin“-ის პროგრამა გამოიყენება როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო ნაშრომებზე (და სხვა წერითი ნაშრომების) დამთხვევების შემოწმებისათვის, ხოლო პლაგიატთან დაკავშირებით არსებული მკაფიო წესები უზრუნველყოფს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვას.

ადგილზე ვიზიტის დროს ასევე დადასტურდა, რომ სტუდენტები ინფორმირებული არიან გასაჩივრების პროცედურებთან დაკავშირებული შესაბამისი წესებისა და რეგულაციების შესახებ, რომლებიც უნივერსიტეტის მიერ რეგულირდება. გასაჩივრების პროცედურა მკაცრი და ობიექტურია. სტუდენტებს შეუძლიათ საჩივარი წარადგინონ ელექტრონული პლატფორმის „My UG"-ის მეშვეობით წერილობითი განცხადების სახით. შეფასების შედეგები განიხილება საჩივრების კომისიის მიერ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში პროცესში ერთვებიან დამატებითი შემფასებლები.

უნივერსიტეტს ასევე აქვს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტთა შეფასების ანალიზს და ამ შედეგების გამოყენებას სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. პროგრამის შედეგების შეფასება მოიცავს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მეთოდებს. პროგრამის შედეგების პირდაპირი შეფასება ხორციელდება იმის ანალიზით, მიაღწიეს თუ არა სტუდენტებმა პროგრამის კურსებისთვის განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. შედეგები განიხილება პროგრამის სწავლის შედეგების კომპეტენციების და სწავლების მეთოდების დახვეწისა და განვითარების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის კურიკულუმი
- კურსის სილაბუსები;
- ბაკლავრიატის დებულება
- მაგისტრატურის დებულება
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგები
- მატერიალური/ტექნიკური ბაზა.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა
რეკომენდაციები: რეკომენდებულია, შევიდეს ცვლილებები რეგულაციებში, იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილი იყოს როგორც ინდივიდუალური შეფასების კომპონენტი (2.4.)

პროგრამა 5 - ადამიანური კაპიტალი და ციფრული ტრანსფორმაციების სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები: რეკომენდებულია, შევიდეს ცვლილებები რეგულაციებში, იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილი იყოს როგორც ინდივიდუალური შეფასების კომპონენტი (2.4.)

პროგრამა 8 - მეწარმეობისა და ინოვაციების სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო კურსებში განისაზღვროს შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური ზღვრები (2.4).
- რეკომენდებულია, შევიდეს ცვლილებები რეგულაციებში, იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილი იყოს როგორც ინდივიდუალური შეფასების კომპონენტი (2.4).

შეფასება

კომპონენტი 2.4. - სტუდენტის შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა	☐	☑	☐	☐
პროგრამა 4 საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 5- ადამიანური კაპიტალის მართვისა და ციფრული	☐	☑	☐	☐

ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამა				
პროგრამა 6 - ბიზნეს-ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 7 - ბიზნეს-ანალიტიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 8 - მეწარმეობისა და ინოვაციის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა	☐	☑	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა	☐	☑	☐	☐
პროგრამა 4 - საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 5 - ადამიანური კაპიტალი და ციფრული	☐	☑	☐	☐

ტრანსფორმაციების სამაგისტრო პროგრამა				
პროგრამა 6 - ბიზნეს-ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 7 - ბიზნეს ანალიტიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 8 - მეწარმეობისა და ინოვაციების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა	☐	☑	☐	☐

1. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ჩარიცხვის ეტაპზე, სტუდენტები შემდეგ იღებენ ადმინისტრაციული პერსონალის კონსულტაციებს, უნივერსიტეტში ინტეგრირების, სწავლისა და აქტივობების დაგეგმვის ხელშესაწყობად. გარდა ამისა, ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტების ადგილზე კონსულტირებას მათი სასწავლო პროცესის შესახებ, საჭიროებებიდან გამომდინარე. უნივერსიტეტის პორტალი „My UG“ სტუდენტებისთვის კომფორტული და მოსახერხებელია, სადაც მათ შეუძლიათ დაწერონ განცხადებები საჭირო დოკუმენტებისა და ინფორმაციის მოთხოვნაზე. სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა, პირდაპირ დაამყარონ კომუნიკაცია და მიიღონ საჭირო ინფორმაცია უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს ეფექტურ კომუნიკაციას სტუდენტებსა და ლექტორებს შორის. უნივერსიტეტი ადგენს განრიგს, სადაც მითითებულია კონკრეტული საკონტაქტო დრო და ადგილი, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ დამატებითი კონსულტაციების მიღება ლექტორებისგან.

სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა უზრუნველყოფილია და სტუდენტები რეგულარულად იღებენ ინფორმაციას უნივერსიტეტიდან საკუთარი სასწავლო პროცესის, დასაქმების, გაცვლით პროგრამებში, კონფერენციებსა და პროექტებში მონაწილეობისათვის. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ გაწევრიანდნენ ან ჩამოაყალიბონ სტუდენტური კლუბები, დაწერონ საკუთარი პროექტები და ჩაერთონ სხვაუნივერსიტეტს გააჩნია სტუდენტურ საქმეთა ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების ჩართულობას სხვადასხვა არაფორმალურ აქტივობებში, და სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი, რომელიც მხარს უჭერს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერულ წინსვლას და პროფესიულ განვითარებას.დასხვა აქტივობებში. უნივერსიტეტს გააჩნია სტუდენტურ საქმეთა ცენტრი,

რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების ჩართულობას სხვადასხვა არაფორმალურ აქტივობებში, და სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი, რომელიც მხარს უჭერს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერულ წინსვლას და პროფესიულ განვითარებას.

უსდ-ს პარტნიორობა აქვს სხვადასხვა უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და მონაწილეობს Erasmus+ გაცვლით პროგრამებში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების ზოგიერთი სტუდენტი (როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო დონეზე) მონაწილეობს Erasmus+ გაცვლით პროგრამებში.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი სემესტრის დასრულების შემდეგ ატარებს კვლევებს, რათა მიიღოს უკუკავშირი სტუდენტებისა და ლექტორებისაგან. დაწესებულების ხარისხის მენეჯერები აანალიზებენ ამ კვლევების შედეგებს და განიხილავენ პროგრამის განვითარების საბჭოს წევრებთან, რათა განსაზღვრონ, რა შეიძლება გაუმჯობესდეს უკუკავშირის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. ასევე ტარდება კვლევები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, კურსების, ლექტორებისა და სასწავლო პროცესით სტუდენტთა კმაყოფილების შესაფასებლად. კვლევების შედეგების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს შესაბამისი ზომების მიღების შესახებ. ადგილზე ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ სტუდენტების უკუკავშირი გათვალისწინებულია და კლასტერში წარმოდგენილ პროგრამებში გარკვეული ცვლილებები განხორციელდა. მაგალითად, შეიცვალა ზოგიერთი კურსის წინაპირობები, გაიზარდა საკონტაქტო საათები, ხოლო „ბიზნესის ადმინისტრირების“ პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების უკუკავშირიდან გამომდინარე, შემცირდა არჩევითი კურსების რაოდენობა (სტუდენტებს არ მოსწონდათ არჩევით კურსებში მცირე რაოდენობით სტუდენტების მონაწილეობა), რადგან ისინი თვლიდნენ, რომ ზედმეტად ბევრი არჩევითი კურსი იყო შემოთავაზებული.

უნივერსიტეტს სხვადასხვა აქტივობა აქვს, რომელიც საერთაშორისო სტუდენტების საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართულობის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად. მულტიკულტურალიზმთან გასამკლავებლად, სტუდენტები აწყობენ სხვადასხვა ქვეყნის დღეებს. როგორც სტუდენტები ადასტურებენ, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი დამხმარე და ყურადღებიანია. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასურველია უნივერსიტეტმა გააძლიეროს მუშაობა საერთაშორისო სტუდენტებთან, მათი ჩართულობის გასაზრდელად, ასევე იმისათვის რომ ისინი მეტად დაუკავშირდნენ ერთმანეთს და ადგილობრივ სტუდენტებთანაც მეტად მყარი ურთიერთობები ჩამოაყალიბონ.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულება ცდილობს კურსდამთავრებულებთან კავშირების შენარჩუნებას და ისინი ჩართული არიან პროგრამების განვითარებაში, ხშირად საქმდებიან ლექტორებად და ზოგჯერ თავად ხდებიან სტუდენტების დამსაქმებლები. უნივერსიტეტი გეგმავს კურსდამთავრებულთა ჩართულობის კიდევ უფრო გაძლიერებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბბრების შედეგები

- მემორანდუმები;
- შეფასების ფორმები
- მატერიალურ/ტექნიკური ბაზა.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 3.1 - სტუდენტთა კონსულტირება და მათი მხარდაჭერის სერვისები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 4 საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 5- ადამიანური კაპიტალის მართვისა და ციფრული	☑	☐	☐	☐

ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამა				
პროგრამა 6 - ბიზნეს-ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 7 - ბიზნეს-ანალიტიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 8 - მეწარმეობისა და ინოვაციის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა	☑	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტანდარტის მოცემული კომპონენტის ფარგლებში განხილულია შემდეგი სამაგისტრო პროგრამები:

- „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- „მეწარმეობისა და ინოვაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- „ადამიანური კაპიტალისა და ციფრული ტრანსფორმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

თვითშეფასების ანგარიშსა და დამატებით დოკუმენტებში მოცემულ და ასევე ადგილზე ვიზიტის საფუძველზე შეგროვებული ინფორმაციის თანახმად, უნივერსიტეტს გააჩნია მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის უფლებებსა და ვალდებულებებს. ხელმძღვანელის როლი მოიცავს სტუდენტის კონსულტირებას კვლევითი პროცესის დროს, შესაბამისი რეკომენდაციების მიცემას სამუშაოს თითოეული ეტაპისთვის და პლაგიატისა და მსგავსების შემოწმებას „Turnitin“-ის პროგრამის გამოყენებით. სტუდენტის ნაშრომის აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდართან და შეფასების კრიტერიუმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის შემდეგ, ხელმძღვანელი ვალდებულია დაწეროს ანგარიში, რომელიც სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა.

წერითი ნაშრომებისათვის (საბაკალავრო ნაშრომები, ესეები და კვლევითი პროექტები) აკადემიური სტილის განსაზღვრა ხდება APA-ს სტანდარტით. რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომებს, აკადემიური სტილის შესაბამისობას ამოწმებს ნაშრომის ხელმძღვანელი.

გარდა ამისა, დადგენილია, რომ ხელმძღვანელის ვალდებულებაა რეგულარული კონსულტაციების ჩატარება სტუდენტთან და როგორც ადგილზე ვიზიტის დროს დადასტურდა, სტუდენტები რეგულარულად ხვდებიან თავიანთ ხელმძღვანელებს.

წესი ადგენს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შერჩევას, რომელიც შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ან მოწვეული სპეციალისტი, რომელიც ფლობს კვლევით გამოცდილებას და გამოქვეყნებულ ნაშრომებს სამეცნიერო სფეროში, რომელიც ნაშრომის თემას უკავშირდება.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, პროგრამების მაგისტრანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ნაშრომზე

მუშაობის პროცესში. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ ხელმძღვანელები სტუდენტებს ეხმარებიან როგორც სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევაში, ასევე საჭირო ინფორმაციის, სტატიებისა და სხვა რესურსების მოძიებაში.

სამაგისტრო პროგრამის ბოლო სემესტრის დაწყებამდე, წინა სემესტრის ბოლოს, განისაზღვრება ზოგადი თემატიკა/კვლევის მიმართულებები და ხელმძღვანელები, ხოლო სტუდენტებს შეუძლიათ მათი არჩევა საკუთარი ინტერესების შესაბამისად. თუ სტუდენტის ინტერესები სიაში მოცემულ თემებს სცდება, მას შეუძლია აირჩიოს სხვა თემა და მოიწვიოს თანახელმძღვანელი სხვა უნივერსიტეტიდან. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- სამაგისტრო ნაშრომზე/პროექტზე აკადემიური რეგისტრაცია;
- სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის სათაურის წარდგენა;
- სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კონცეფციის პრეზენტაცია და დაცვა;
- სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის წინასწარი განაცხადის წარდგენა და დაცვა;
- სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის პრეზენტაცია და დაცვა.

ადგილზე ვიზიტის დროს ასევე დადასტურდა, რომ სტუდენტები ინფორმირებული არიან და აქტიურად იყენებენ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში.

მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	22
//სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	არ ეხება
მაგისტრანტების რაოდენობა	82
დოქტორანტთა რაოდენობა	არ ეხება
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	0,27
სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების/დოქტორანტების თანაფარდობა	არ ეხება

მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები **პროგრამა 5 (ადამიანური კაპიტალის მართვისა და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამა**	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	11
//სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	არ ეხება
მაგისტრანტების რაოდენობა	5
//დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა	არ ეხება
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	2,20
სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების/დოქტორანტების თანაფარდობა	არ ეხება

მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები **პროგრამა 8 - მეწარმოებისა და ინოვაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	6
//სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	არ ეხება
მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	5
//დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა	არ ეხება

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	1,20
სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების/დოქტორანტების თანაფარდობა	არ ეხება

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- თვითშეფასების ანგარიშის დანართები (ინფორმაცია რაოდენობრივ მონაცემებზე)
- "სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ინტრუქციები" - სამაგისტრო პროგრამის დოკუმენტები
- მაგისტრატურის დებულება
- ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 5- ადამიანური კაპიტალი და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 8 - მეწარმეობისა და ინოვაციის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა	☑	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	☑	☐	☐	☐

პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 4 საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 5- ადამიანური კაპიტალი და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 6 - ბიზნეს-ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 7 - ბიზნეს-ანალიტიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	☑	☐	☐	☐
პროგრამა 8 - მეწარმეობისა და ინოვაციის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა	☑	☐	☐	☐

4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსები

➢ პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიციური პირებისგან, რომლებსაც გააჩნიათ აუცილებელი კომპეტენციები, რათა დაეხმარონ სტუდენტებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში.

➢ პროგრამის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული

ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

➢პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელ ცოდნასა და გამოცდილებას, ასევე სათანადო კომპეტენციებს პროგრამის სწავლის სფეროში. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

➢ პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულებას გააჩნია პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმასა და მისიაში ასახული ღირებულებებიდან და პრინციპებიდან გამომდინარეობს. ეს პრინციპებია თავისუფლება, ჰუმანურობა და სრულყოფილება. პერსონალის აფილირებასა და პირობებთან დაკავშირებით რეგულაციები ასევე ჩამოყალიბებულია უნივერსიტეტის პერსონალის დებულებაში.

დაწესებულება აქტიურად მუშაობს ISO 9001:2015 აკრედიტაციის უზრუნველსაყოფად და ახორციელებს პერსონალის მართვის პროცედურებს ამ სტანდარტების შესაბამისად. დაწესებულება მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტის იდენტიფიკაციის, შერჩევის, მიღების, ორიენტაციის, კვალიფიკაციის ამაღლების, რისკების შეფასების და შეფასების პროცედურები შესაბამისობაშია მენეჯმენტის საერთაშორისო სტანდარტებთან.

პერსონალმა გასცა მკაფიო და შესაბამისი პასუხები იმის დემონსტრირებით, რომ ისინი დაინიშნენ ღია კონკურსით და დაექვემდებარენ ფორმალურ და ეფექტურ ორიენტირებას, რაც მოიცავს სწავლება-სწავლის მიმართ დაწესებულების მიდგომისა და მათი ფუნქციების შესასრულებლად აუცილებელი სისტემების გაცნობას.

უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ დაკომპლექტებულია ოპტიმალური რაოდენობის პერსონალით, რომელსაც აქვს თავისი საქმიანობისათვის შესაბამისი განათლება, გამოცდილება და უნარ-ჩვევები. უნივერსიტეტში სრულ განაკვეთზე მყოფი აკადემიური პერსონალი დასაქმებულია კვირაში 40 საათი (დღეში 8 საათი). უნივერსიტეტში ნახევარ განაკვეთზე მყოფი თანამშრომლები დასაქმებული არიან საათობრივ საფუძველზე და საათობრივი ანაზღაურებით. შესაძლებელია ნახევარ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლებთან ექსკლუზიური ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც კრძალავს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებას. აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა ვრცელდება ნახევარ განაკვეთზე დასაქმებულ პერსონალზე მითი დატვირთვის პროპორციულად. გარდა აკადემიური დატვირთვისა, პერსონალი, სკოლის დირექტორთან და/ან დეპარტამენტის უფროსთან შეთანხმებით, ვალდებულია გამოყოს ყოველკვირეული საკონსულტაციო საათები და მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის ღონისძიებებში.

დაწესებულება ასევე მიიჩნევს, რომ პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ პროგრამის შემუშავებისათვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდ არიან ჩართულნი მის განხორციელებაში. ჯგუფმა დაადგინა, რომ პერსონალის CV-ები და ადგილზე ვიზიტის

ინტერვიუები ადასტურებს, რომ კლასტერის აკადემიური პროგრამები მხარდაჭერილია საკმარისი ადამიანური რესურსით და რომ პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება თავიანთი მოვალეობების შესასრულებლად.

პერსონალის ვალდებულებები ჩამოყალიბებულია დებულებებში და ცალკეულ სამუშაო აღწერილობებში. პერსონალმა შეძლო ეჩვენებინა, რომ ისინი დეტალურად არიან გათვითცნობიერებულნი მათი როლისა და მოვალეობების თაობაზე. პერსონალისაგან მოელიან, რომ სწავლების, სწავლისა და კვლევის პასუხისმგებლობის გარდა ისინი შეასრულებენ ადმინისტრაციულ დავალებებსაც.

დაახლოებით 250 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი მხარს უჭერს პროგრამების განხორციელებას. ეს მოიცავს ადმინისტრაციული პერსონალის ყოვლისმომცველ დიაპაზონს, რომლებიც მუშაობენ დეპარტამენტებში, მათ შორის ადმინისტრაციულ სამსახურში, ბიბლიოთეკაში, სკოლაში (პროგრამის განხორციელების სტრუქტურული ერთეული), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, ადამიანური კაპიტალის, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურებში, სტუდენტურ საქმეთა ცენტრში, იურიდიული სამსახურში და IT სერვისში. დაწესებულება, თავისი საქმიანობის ფარგლებში, რეკრუტირებს კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვან რაოდენობას, მათ შორის 14 თანამშრომელი ამჟამად დასაქმებულია სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურში, 6 თანამშრომელი ბიბლიოთეკაში, 4 თანამშრომელი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, 7 თანამშრომელი საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურში და 2 თანამშრომელი სტუდენტურ საქმეთა ცენტრში.

სამსახურში აყვანის გარდა, დაწესებულებას აქვს ტრენინგისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ვრცელი პროგრამა, როგორც ეს დეტალურადაა აღწერილი ამ ანგარიშში. ტრენინგი ტარდება პედაგოგიური და კვლევითი საგნების ფართო სპექტრზე, მათ შორის თანამედროვე საკითხებზე, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტის აქტუალობა და გავლენა.

2013 წლიდან საქართველოს უნივერსიტეტი ატარებს თანამშრომლების კმაყოფილების კვლევას მინესოტას მეთოდოლოგიის (MSQ) საფუძველზე და დაწესებულება აცხადებს, რომ პერსონალი კმაყოფილი, ან ძალიან კმაყოფილია სამუშაოს ისეთი ელემენტებით, როგორიცაა: სამუშაო გარემო, შინაარსი და სამუშაოს მრავალფეროვნება, უშუალო ხელმძღვანელთან ურთიერთობა, მიდგომის სამართლიანობა, კოლეგებთან ურთიერთობა და საკუთარი სამუშაოს მართვა. პერსონალის ბრუნვა შედარებით დაბალია - 15%, რაც, ადგილზე ვიზიტის დროს მიღებული პერსონალის გამოხმაურებასთან ერთად, ხელს უწყობს თანამშრომლების კმაყოფილების მაღალ დონეს.

აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვა განისაზღვრება სასწავლო წლის დატვირთვის სქემით, რომელსაც დასამტკიცებლად სკოლის საბჭოს წარუდგენს კათედრის ხელმძღვანელი ან სკოლის/დეპარტამენტის ბაზაზე არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი. სრული დატვირთვა არის 1760 საათი წელიწადში (40 საათი კვირაში, 44 კვირის განმავლობაში) და მოიცავს დავალებების ფართო სპექტრს. სრულ განაკვეთზე დასაქმებული აკადემიური პერსონალის დატვირთვა, რომელსაც არ უკავია სამეცნიერო თანამდებობა, უნდა მოიცავდეს სასწავლო საკონსულტაციო საქმიანობას კვირაში არანაკლებ 28 საათის ოდენობით. უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის დატვირთვა უნდა მოიცავდეს არანაკლებ 35 საათის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და არანაკლებ 4 საათს საგანმანათლებლო აქტივობას კვირაში. მეცნიერებსა და უმცროს მეცნიერ თანამშრომლებს შედარებით ნაკლები საათი აქვთ სამეცნიერო

კვლევებისათვის და ოდნავ გაზრდილი პასუხისმგებლობა საგანმანათლებლო საქმიანობაზე. საერთო ჯამში, შრომის ეს დანაწილება კარგად აქვს გაცნობიერებული აკადემიურ პერსონალს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 („ბიზნესის ადმინისტრირება“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)[4][11]				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	დარგობრივი მიმართულებით გამოცდილების მქონე პერსონალის ჩათვლით[5][12]	დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის ჩათვლით[6][13]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	70			
- პროფესორი	18			
- ასოცირებული პროფესორი	16			
- ასისტენტ–პროფესორი				
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	35			–
სამეცნიერო პერსონალი				–

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 („ბიზნესის ადმინისტრირება“ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა)

---

[4][11] აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

[5][12] ძირითადი სასწავლო დარგის შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[6][13] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაში ჩართულ 52 თანამშრომელს გააჩნია შესაბამისი გამოცდილების ფართო სპექტრი. 31 მათგანი ფლობს დოქტორის ხარისხის ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკის, ფსიქოლოგიური მეცნიერებების და სხვა დარგებში. პერსონალს აქვს საერთაშორისო გამოცდილება ირანში, დიდ ბრიტანეთსა და ჩეხეთში . ისინი წარმოადგენენ პროგრამის კომპეტენტურ აკადემიურ პერსონალს.

პროგრამა 2(ბიზნესის ადმინისტრირება, ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა)[7][14]				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	დარგობრივი გამოცდილების მქონე პერსონალის ჩათვლით [8][15]	დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის ჩათვლით[9][16]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	52			
- პროფესორი	13			
- ასოცირებული პროფესორი	15			
- ასისტენტ–პროფესორი				
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	23			–
სამეცნიერო პერსონალი				–

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 („ბიზნესის ადმინისტრირება“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

პროგრამაში ჩართული 51 თანამშრომელი ფლობს შესაბამისი დიაპაზონის კვალიფიკაციასა და სწავლებისა და კვლევის გამოცდილებას. საერთო ჯამში 26 ფლობს დოქტორის ხარისხი მასობრივი კომუნიკაციის, ბიზნესის ადმინისტრირებისა და ეკონომიკის დისციპლინებში.

---

[7][14] აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

[8][15] ძირითადი სასწავლო დარგის შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[9][16] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

მნიშვნელოვანი ნაწილი ასევე ფლობს მოწინავე ხარისხებს ბიზნესსა და მათემატიკაში. პერსონალს გააჩნია საკომუნიკაციო კომპანიებში, საბანკო და ფინანსურ ინსტიტუტებში და სამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობის პროფესიონალური და ინდუსტრიული გამოცდილება.

პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირება, ინგლისურენოვანი მაგისტრატურა)[10][17]				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	დარგობრივი გამოცდილების მქონე პერსონალის ჩათვლით [11][18]	დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის ჩათვლით[12][19]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	52			
- პროფესორი	9			
- ასოცირებული პროფესორი	12			
- ასისტენტ–პროფესორი				
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	30			–
სამეცნიერო პერსონალი				–

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 („საჯარო მმართველობა“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის აკადემიური პერსონალი წარმოადგენს ახალი და გამოცდილი აკადემიური პერსონალის ერთობას - სამართლის, ბიზნესის, პოლიტიკის, ფიზიკისა და მათემატიკის, უსაფრთხოების კვლევებისა და ფინანსების კვალიფიკაციით. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამას ასევე ასწავლის პერსონალი,

[10][17] აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

[11][18] ძირითადი სასწავლო დარგის შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[12][19] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

რომელსაც აქვს თავდაცვაში, პოლიტიკასა და დიპლომატიაში საჯარო ადმინისტრატორის როლებში მუშაობის გამოცდილების, მათ არა აქვთ აკადემიური ხარისხები საჯარო მმართველობაში.

პროგრამა 4 (საჯარო მმართველობა, საბაკალავრო პროგრამა)[13][20]				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	დარგობრივი გამოცდილების მქონე პერსონალის ჩათვლით [14][21]	დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის ჩათვლით[15][22]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	54			
- პროფესორი	13			
- ასოცირებული პროფესორი	14			1
- ასისტენტ–პროფესორი				
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	27			–
სამეცნიერო პერსონალი				–

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 („ადამიანური კაპიტალი და ციფრული ტრანსფორმაცია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

პროგრამის ხელმძღვანელს აქვს დოქტორის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში, შესაბამისი სპეციალობით ადამიანურ რესურსებში. პროგრამის სხვა პერსონალს ასევე აქვს მნიშვნელოვანი გამოცდილება დაკავშირებულ სფეროებში, მათ შორის ფინანსური მენეჯმენტის, ტექნოლოგიების, ბიზნეს ფსიქოლოგიის და დავების გადაწყვეტის ჩათვლით. პერსონალი მუშაობდა მთელ რიგ კერძო და საჯარო დაწესებულებებში, აქვს

[13][20] აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

[14][21] ძირითადი სასწავლო დარგის შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[15][22] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

საერთაშორისო სწავლების გამოცდილება და რიგს მათგანს აქვს აქტიური კვლევითი პროფილი.

პროგრამა 5 („ადამიანური კაპიტალის და ციფრული ტრანსფორმაცია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)[16][23]				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	დარგობრივი გამოცდილების მქონე პერსონალის ჩათვლით[17][24]	დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის ჩათვლით[18][25]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	27			
- პროფესორი	4			
- ასოცირებული პროფესორი	6			
- ასისტენტ–პროფესორი				
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	16			–
სამეცნიერო პერსონალი				–

აღწერა და ანალიზი - პროგრამები 6 და 7 („ბიზნეს ანალიტიკის – ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამები)

მნიშვნელოვანი გადაფარვაა ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამების ქართულ და ინგლისურ ვერსიებზე დასაქმებულ აკადემიური პერსონალში. პერსონალს, რომელიც ამ პროგრამებს ასწავლის, აქვს დისციპლინური კვალიფიკაციის ფართო სპექტრი, რომელიც მოიცავს მათემატიკას, ბიზნესის ადმინისტრირებას, ეკონომიკას, სამართალს და საერთაშორისო ურთიერთობებს.

[16][23] აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

[17][24] ძირითადი სასწავლო დარგის შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[18][25] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

პროგრამა 6 (ბიზნეს ანალიტიკა, საბაკალავრო პროგრამა)[19][26]				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	დარგობრივი გამოცდილების მქონე პერსონალის ჩათვლით [20][27]	დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის ჩათვლით [21][28]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	51			
- პროფესორი	13			
- ასოცირებული პროფესორი	11			1
- ასისტენტ–პროფესორი				
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	26			–
სამეცნიერო პერსონალი				–

პროგრამა 7 („ბიზნეს ანალიტიკის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა)[22][29]				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	დარგობრივი გამოცდილების მქონე პერსონალის ჩათვლით[23][30]	დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის ჩათვლით[24][31]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი

[19][26] აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

[20][27] ძირითადი სასწავლო დარგის შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[21][28] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

[22][29] აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

[23][30] ძირითადი სასწავლო დარგის შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[24][31] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

სულ აკადემიური პერსონალი	40			
- პროფესორი	9			
- ასოცირებული პროფესორი	9			2
- ასისტენტ–პროფესორი				
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	21			–
სამეცნიერო პერსონალი				–

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8 (მეწარმეობა და ინოვაცია)

პერსონალის დიდი ნაწილი, რომელიც ასწავლის მეწარმეობისა და ინოვაციების სამაგისტრო პროგრამას, ასევე ასწავლის კლასტერში არსებულ სხვა პროგრამებზეც. გარდა იმისა, რომ გააჩნიათ კვალიფიკაცია და გამოცდილება ბიზნესის ადმინისტრირებაში, მენეჯმენტში, ფინანსებში და სხვა დისციპლინებში, პერსონალს ასევე აქვს საკუთარი საკონსულტაციო ფირმებისა და სხვა ბიზნესების მართვის გამოცდილება. ეს ხელს უწყობს პრაქტიკულ გამოცდილებასთან დაკავშირებული ცოდნის გადაცემას.

პროგრამა 8 (მეწარმეობა და ინოვაციების, ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)[25][32]				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	დარგობრივი გამოცდილების მქონე პერსონალის ჩათვლით[26][33]	დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის ჩათვლით [27][34]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	21			
- პროფესორი	4			

[25][32] აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

[26][33] ძირითადი სასწავლო დარგის შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[27][34] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

- ასოცირებული პროფესორი	2			
- ასისტენტ–პროფესორი				
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	15			–
სამეცნიერო პერსონალი				–

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შესაბამისი სამუშაოს აღწერილობები
- პერსონალის პირადი საქმეები (თითოეული პროგრამისათვის)
- პერსონალის დებულება
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება
- სასწავლო დოკუმენტები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება (ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირება	☑	☐	☐	☐

(ინგლისურენოვანი მაგისტრატურა)				
პროგრამა 4 საჯარო მმართველობა (ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 5 ადამიანური კაპიტალის და ციფრული ტრანსფორმაცია (მაგისტრატურა)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 6 ბიზნეს ანალიტიკა (ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 7 ბიზნეს ანალიტიკა (ინგლისურენოვანი ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 8 მეწარმეობა და ინოვაცია (ინგლისურენოვანი მაგისტრატურა)	☑	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, პერსონალის CV-ების, თანდართული დოკუმენტაციისა და უნივერსიტეტის თანამშრომლებთან ინტერვიუების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ სამაგისტრო პროგრამების განმახორციელებელი პირები პროგრამაში არიან ჩართულნი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესაბამისად. საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედებს მაგისტრატურის დებულება, რომელიც დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N 50/20 ოქმით.

სამივე სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ პროგრამის წარმართვისთვის საჭირო კვალიფიკაცია. ხელმძღვანელების აკადემიური და პრაქტიკული გამოცდილება უზრუნველყოფს სამაგისტრო ნაშრომის შესაბამისობას დარგის სტანდარტებთან და ბაზრის განვითარების ტენდენციებთან. პროგრამის სტუდენტებს აქვთ წვდომა კომპეტენტურ ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება მათ ფუნქციებს, რაც ხელს უწყობს პროგრამის ეფექტურ მართვას და სტუდენტთა ხელმძღვანელობას.

პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სწორად წარმართვას და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების შესრულებას. აკადემიური/კვლევითი/მოწვეული პერსონალის რაოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამა 1 (სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "ბიზნესის ადმინისტრირება", მეორე საფეხური)			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელების ჩათვლით[28][35]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი

[28][35] ნაშრომის ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**52**	**40**	**17**
- პროფესორი	8	8	8
- ასოცირებული პროფესორი	9	9	9
- ასისტენტ–პროფესორი	35		
მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი			–

პროგრამა 2 (სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "ადამიანური კაპიტალი და ციფრული ტრანსფორმაცია", მეორე საფეხური)			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელების ჩათვლით[29][36]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**16**	**14**	**-**
- პროფესორი	-		
- ასოცირებული პროფესორი	-		
- ასისტენტ–პროფესორი			
მოწვეული პერსონალი	16		–
სამეცნიერო პერსონალი			–

[29][36] ნაშრომის ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი.

პროგრამა 3 (სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "მეწარმეობა და ინოვაცია", მეორე საფეხური)			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელების ჩათვლით[30][37]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**21**	**17**	**6**
- პროფესორი	4	4	4
- ასოცირებული პროფესორი	2	2	2
- ასისტენტ–პროფესორი			
მოწვეული პერსონალი	15		–
სამეცნიერო პერსონალი			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამაგისტრო პროგრამების აკადემიური პერსონალის CV-ები;
- სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა პუბლიკაციები საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში და პროფესიული გამოცდილება;
- სამაგისტრო ნაშრომის ნუსხა;
- უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულება, დამტკიცებული რექტორის საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N50/20 ოქმით;
- უნივერსიტეტის ვებ-საიტი;
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

[30][37] ნაშრომის ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი.

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი მაგისტრატურა)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 5 ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაცია (მაგისტრატურა)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 8 მეწარმეობა და ინოვაცია (ინგლისურენოვანი მაგისტრატურა)	☑	☐	☐	☐

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

➢ უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.

➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. უფრო მეტიც, ხელს უწყობს მათ სამეცნიერო და კვლევით მუშაობას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტი ხელს უწყობს თავისი აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას სტრუქტურირებული სემინარების, ტრენინგების და საერთაშორისო სტანდარტებთან ჩართვის შესაძლებლობების მეშვეობით. საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა, როგორიცაა AACSB და CEEMAN, ხელს უწყობს აკადემიურ პერსონალს ბიზნესის განათლების გლობალურ ტენდენციებთან დაკავშირებაში, პროფესიული განვითარებაში.

პროგრამა, სტრუქტურირებული განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფით, საერთაშორისო სტანდარტების დაცვით და დინამიური სასწავლო გარემოს ხელშეწყობით, აჩვენებს სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობას. ეს ინიციატივები ემთხვევა აკადემიური პერსონალის აღჭურვას იმ უნარებით, რაც აუცილებელია მაღალი ხარისხის განათლების მისაწოდებლად. ეს სტრუქტურა ასევე საშუალებას აძლევს უნივერსიტეტს დააკმაყოფილოს აკრედიტაციის მოთხოვნები სწავლების ეფექტიანობის გაზრდით, აკადემიური პერსონალის მუდმივი გაუმჯობესების მეშვეობით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ("ბიზნესის ადმინისტრირება" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

ბიზნესისა და ადმინისტრირების მეცნიერებათა სკოლის აკადემიური პერსონალის წევრები სარგებელს იღებენ საერთაშორისო პარტნიორობიდან. უნივერსიტეტი არის CEEMAN-ისა და AACSB-ის წევრი, რაც საშუალებას აძლევს პერსონალს მონაწილეობა მიიღოს გლობალურ კონფერენციებსა და სემინარებში. ეს ასოციაციები საშუალებას აძლევს პერსონალს მისდიონ ტენდენციებს ბიზნესის ადმინისტრირებაში და მოიტანონ საუკეთესო პრაქტიკა მათ სწავლებაში.

უნივერსიტეტი სთავაზობს მიმდინარე ტრენინგებს სწავლების მეთოდოლოგიების გაუმჯობესებისათვის, სტუდენტზე ორიენტირებული ინოვაციური მიდგომების ჩათვლით. ეს ძალისხმევა მხარდაჭერილია ისეთი პროექტებით, როგორიცაა Erasmus-ის მიერ დაფინანსებული STAR პროექტი, რომელიც ფოკუსირებულია სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლის ტექნიკასა და თანამედროვე პედაგოგიურ პრაქტიკაზე. ტრენინგის დამატებითი შესაძლებლობები მოიცავს სამეცნიერო კვლევის უნარებს, ტექნოლოგიების გამოყენებას მეცნიერებაში და ხელოვნური ინტელექტის აპლიკაციებს,

რაც ეხმარება აკადემიურ პერსონალს მოერგოს თანამედროვე საგანმანათლებლო და კვლევით მოთხოვნებს.

სპეციალური სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი უზრუნველყოფს რესურსებს აკადემიური პერსონალის კვლევებისათვის, მათ შორის კონფერენციაზე დასწრების დაფინანსებას, პროექტის მენეჯმენტის მხარდაჭერას და დაჯილდოების სისტემას რეფერირებული ჟურნალებში გამოქვეყნებისათვის. ინიციატივები, როგორიცაა „სამეცნიერო ოთხშაბათები“ საშუალებას აძლევს აკადემიურ პერსონალს წარმოადგინონ თავიანთი კვლევები, რაც ხელს უწყობს კოლეგებს შორის უწყვეტი სწავლისა და ცოდნის გაზიარების კულტურას.

უნივერსიტეტი მხარს უჭერს აკადემიური პერსონალის მონაწილეობას Erasmus+ მობილობის პროგრამებში, რაც ხელს უწყობს ევროპის მასშტაბით პარტნიორ დაწესებულებებში სასწავლო გამოცდილების გაცვლას. ეს შესაძლებლობები შექმნილია აკადემიური პერსონალის პერსპექტივების გაფართოებისათვის, კულტურათაშორისი კომპეტენციების გაძლიერებისა და გლობალური შეხედულებების ადგილობრივ სასწავლო გეგმაში ინტეგრირებისათვის.

პროგრამა დემონსტრირებს პროფესიული განვითარების სტანდარტებთან ძლიერ შესაბამისობას სისტემატური შეფასებით და მისი აკადემიური პერსონალის ზრდაში ინვესტირებით. საერთაშორისო ექსპოზიციის წახალისებითა და ტრენინგების მთელი რიგი პროგრამების შეთავაზებით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რომ მისმა აკადემიურმა პერსონალმა შეინარჩუნოს მაღალკვალიფიციურობა და გლობალურ ტენდენციებთან მწყობრში ყოფნა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირება"ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა)

ინგლისურენოვანი პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და პრაქტიკას, რაც ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას გლობალური აკადემიური და ინდუსტრიის მიზნობრივი ნიშნულების მიმართულებით. ინგლისურენოვანი პროგრამა სპეციალურად იზიდავს ინგლისური ენის მცოდნე აკადემიურ პერსონალს, რასაც ხშირად მივყავართ საერთაშორისო ან საერთაშორისო გამოცდილების მქონე ინსტრუქტორების დიდ რაოდენობასთან. ეს პროგრამას ერთ რიგში აყენებს უფრო გლობალურად ორიენტირებულ პედაგოგიურ მიდგომასთან, ქართულენოვან პროგრამასთან შედარებით, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს უფრო ადგილობრივი აკადემიური ორიენტაცია.

ინგლისურენოვანი პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი უშუალოდ სარგებლობს უნივერსიტეტის საერთაშორისო პარტნიორობით ისეთ ორგანიზაციებთან, როგორიცაა AACSB და CEEMAN, რადგან ეს კავშირები ხშირად სთავაზობენ რესურსებსა და ღონისძიებებს ინგლისურ ენაზე, რაც ხელს უწყობს მათზე ინგლისურ ენაზე სწავლების ინსტრუქტორების უფრო ფართო წვდომას.

ინგლისურენოვანი პროგრამა ხაზს უსვამს აკადემიური პერსონალის კვლევით პუბლიკაციებს საერთაშორისო, ინგლისურენოვან ჟურნალებში, რაც ხელს უწყობს გლობალურ აკადემიურ საზოგადოებაში მათ ხილვადობასა და გამოცდილების

გაზიარებას. ამ ხაზგასმამ შეიძლება გამოიწვიოს ინგლისურენოვანი აკადემიური პერსონალის მხრიდან უფრო მაღალი მოლოდინი, რომ ქართულენოვან კოლეგებთან შედარებით, აწარმოებენ საერთაშორისოდ აღიარებულ კვლევის შედეგებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირება" ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა)

სამაგისტრო პროგრამა ხაზს უსვამს უფრო ღრმა კვლევით ჩართულობას, მოლოდინს, რომ აკადემიური პერსონალი უხელმძღვანელებს მოწინავე კვლევით პროექტებს, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომებს. ეს მოთხოვნა ზრდის აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების აუცილებლობას კვლევის მეთოდოლოგიებში, აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტებსა და გამოქვეყნების კომპეტენციებში, უფრო მეტად ვიდრე მოსალოდნელია საბაკალავრო პროგრამებში.

პროგრამა ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის ჩართულობას კვლევით საქმიანობაში, რადგან მაგისტრატურის დონის სასწავლო გეგმა მოიცავს მოწინავე კვლევით კომპონენტებს. აკადემიური პერსონალი წახალისებულია რომ აწარმოოს კვლევის შედეგები, რომლებიც შეესაბამება აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტებს და თანამედროვე ბიზნეს გარემოს, რაც მხარს უჭერს მათ უწყვეტ პროფესიულ ზრდას და აკადემიურ წვლილს.

სამაგისტრო პროგრამის მოწინავე ხასიათის გათვალისწინებით, ისეთი საგნების პედაგოგები, როგორიცაა საერთაშორისო ბიზნეს ტრანზაქციები, სტრატეგიული მენეჯმენტი და ფინანსური მენეჯმენტი, სავარაუდოდ გაივლიან ტრენინგს, რათა საჭირო დონეზე ასწავლონ სპეციალიზებული თემები. ეს აქცენტი უახლეს ცოდნაზე კონკრეტულ სფეროებში უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის კარგად აღჭურვას, რათა მაგისტრანტებს მიაწოდოს თემების რთული და სპეციალიზირებული შინაარსი.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი ექვემდებარება შეფასებას, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის ნაწილი, მათ შორის სტუდენტების გამოხმაურებას და ადმინისტრაციულ შემოწმებებს. შეფასების ეს პროცესი საშუალებას აძლევსაკადემიურ პერსონალს მიიღოს სტრუქტურირებული გამოხმაურება მათ სწავლებაზე, რაც გზამკვლევობას გაუწევს მათ პროფესიულ განვითარებას და ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 ("საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

საჯარო მმართველობის პროგრამის პერსონალი ექვემდებარება სისტემატურ შეფასებას როგორც ადმინისტრაციის, ისე სტუდენტების მიერ. ეს პროცესი, რომელსაც მართავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის გუნდი და პროგრამის ხელმძღვანელობა, უზრუნველყოფს სტრუქტურირებულ გამოხმაურებას აკადემიური პერსონალის მუშაობაზე. შეფასებები განსაზღვრავს ძლიერ მხარეებს და გასაუმჯობესებელ სფეროებს, გზამკვლევობას უწევს პროფესიულ ზრდასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში წვდომის შეთავაზებით უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის კვლევით საქმიანობას. ეს ინსტიტუტი მხარს უჭერს აკადემიური პერსონალის პროექტებს, პუბლიკაციების დაფინანსებას და კონფერენციებში

მონაწილეობას. გარდა ამისა, აკადემიურ პერსონალს ეძლევათ საშუალება გამოაქვეყნონ ნაშრომები უნივერსიტეტის აკადემიურ ჟურნალში „კავკასიის სოციალურ მეცნიერებათა ჟურნალი“. ასევე, წახალისდებიან ბონუსებით რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციებისთვის.

საჯარო მმართველობის პროგრამის პერსონალი მონაწილეობს ვორქშოფებში, რომლებიც ორიენტირებულია თანამედროვე პედაგოგიურ ტექნიკაზე, აძლიერებს მათ შესაძლებლობას ჩაატარონ საინტერესო და ეფექტური ინსტრუქტაჟები. „სამეცნიერო ოთხშაბათის“ ინიციატივა საშუალებას აძლევს აკადემიურ პერსონალს ჩაერთოს კოლეგებთან რეგულარულ სამეცნიერო დისკუსიებში. ეს პროექტი აძლიერებს კვლევით უნარებს და ხელს უწყობს თანამშრომლობითი აკადემიური გარემოს შექმნას. უნივერსიტეტი ასევე აფინანსებს პროფესიული განვითარების კურსებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა საჯარო გამოსვლა, ტექნოლოგიების გამოყენება და კლასის მენეჯმენტი.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორიცაა CEEMAN და Erasmus+ პროგრამა, პარტნიორობის საფუძველზე, უნივერსიტეტი თავის პერსონალს აძლევს საზღვარგარეთ პროფესიული ზრდის შესაძლებლობებს. აკადემიურ პერსონალს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კონფერენციებში, ტრენინგ სესიებსა და გაცვლით ლექციებში, რაც მათ საშუალებას აძლევს შეისწავლონ საჯარო მმართველობის გლობალური საუკეთესო პრაქტიკა. ბოლო წლებში რამდენიმე აკადემიურ პერსონალს მიენიჭა გრანტები ევროპის უნივერსიტეტებში სწავლებისა და თანამშრომლობისათვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 ("ადამიანური კაპიტალის და ციფრული ტრანსფორმაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

პროგრამა სტრუქტურირებულია ინოვაციური ადამიანური რესურსების აკადემიის (AIHR) მიერ შემუშავებული T- ფორმის კომპეტენციის მოდელის ირგვლივ. ეს აფილირება უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის ხელმისაწვდომობას ადამიანური კაპიტალის მენეჯმენტის მიმდინარე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკაზე, რაც უზრუნველყოფს პერსონალისათვის HR და ციფრული ტრანსფორმაციის გლობალურ ტენდენციებზე წვდომას. აკადემიურ პერსონალს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სემინარებში, კონფერენციებსა და ვორქშოფებში, რაც აძლიერებს უახლესი შინაარსის მიწოდების უნარს.

აკადემიური პერსონალი წახალისებულია, რომ ჩაერთონ ადამიანურ კაპიტალთან და ციფრულ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული კვლევებში, აკადემიური პროექტებისათვის უზრუნველყოფილი სპეციალური რესურსებით, მონაწილეობა მიიღონ კონფერენციებში და მხარდაჭერილნი იქნენ პუბლიკაციებში. პროგრამა ასევე ხაზს უსვამს სწავლების ინოვაციურ მეთოდებს, როგორიცაა შემთხვევის შესწავლა, სიმულაციები და როლური თამაშები, რაც მოითხოვს პერსონალის მუდმივ პროფესიულ განვითარებას სწავლების ეფექტურად განსახორციელებლად.

პროგრამა მოიცავს სწავლებისადმი პრაქტიკულ მიდგომებს, როგორიცაა პროექტების შექმნა, სიმულაციების კონსულტირება და ციფრული ინტეგრაცია. აკადემიური პერსონალი იღებს მხარდაჭერას, რათა გააუმჯობესოს თავისი უნარები ამ სფეროებში, რაც საშუალებას აძლევს მათ ხელი შეუწყონ სტუდენტების მიერ პრაქტიკული ცოდნის მიღებას. ეს ტრენინგი უზრუნველყოფს იმას, რომ პერსონალი იყოს კომპეტენტური დარგის შესაბამისი უნარების მიწოდებაში.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი გადის რეგულარულ შეფასებას სტუდენტების გამოხმაურებისა და პროგრამის ადმინისტრაციის მიერ შემოწმების მეშვეობით. ეს შეფასებები იძლევა კონსტრუქციულ გამოხმაურებას, რომელიც წარმართავს პროფესიული განვითარების აქტივობებს, ფოკუსირებულია გაუმჯობესებისა და სწავლების ხარისხის ამაღლების სფეროებზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 ("ბიზნეს ანალიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

აკადემიური პერსონალი წახალისებულია, რომ ჩაერთოს ინტერდისციპლინურ სწავლებაში, რომელიც აერთიანებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს, ბიზნესის ადმინისტრირებასა და მათემატიკურ მეთოდებს. ეს სტრუქტურა საშუალებას აძლევს პერსონალს განუწყვეტლივ განაახლოს ცოდნა ამ მრავალფეროვან სფეროებში, ხელი შეუწყოს პროფესიულ გარემოს, რომელიც შეესაბამება ბიზნეს ანალიტიკის სფეროს განვითარებად მოთხოვნებს.

პროგრამა მოიცავს უამრავ პრაქტიკულ და დარგზე ორიენტირებულ სწავლების მეთოდებს, როგორიცაა სიმულაციები, პროექტზე დაფუძნებული სწავლა და შემთხვევის შესწავლა. პერსონალი იღებს ტრენინგს და რესურსებს ამ მეთოდების ეფექტურად განსახორციელებლად, რაც ხელს უწყობს პრაქტიკული სწავლისადმი მიდგომას, რომელიც ამზადებს სტუდენტებს ანალიტიკოსის როლისათვის რეალურ სამყაროში. ეს აქცენტი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის ინფორმირებულობას ბიზნეს ანალიტიკური განათლების საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და პრაქტიკული კომპეტენციების შენარჩუნებას, რომლებიც შეესაბამება ინდუსტრიის საჭიროებებს.

პერსონალს აქვს წვდომა რესურსებზე, რომლებიც მხარს უჭერენ კვლევებს მონაცემთა ანალიზის, სტატისტიკური მოდელირებისა და ანალიტიკური ტექნოლოგიების - ბიზნეს ანალიტიკისათვის უმნიშვნელოვანეს სფეროებში. ამ კვლევების მხარდაჭერა აძლიერებს მათ გამოცდილებას და საშუალებას აძლევს ჩართონ მოწინავე ანალიტიკური მეთოდები სწავლებაში, რასაც სარგებელი მოაქვს როგორც პერსონალის განვითარებისათვის, ასევე სტუდენტების სწავლის შედეგებისათვის.

აკადემიური პერსონალი რეგულარულად ფასდება სტუდენტებისა და პროგრამის ადმინისტრაციის გამოხმაურებით. გამოხმაურების ეს სისტემა განსაზღვრავს ზრდის სფეროებს, რაც უზრუნველყოფს პერსონალის განვითარების აქტივობების შესაბამისობას პროგრამის მიზნებთან და სწავლების ხარისხის მოთხოვნებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 ("ბიზნეს ანალიტიკის" ინგისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

უნივერსიტეტის წევრობა AACSB-სა და CEEMAN-ში აკადემიურ პერსონალს აძლევს წვდომას საერთაშორისო რესურსებზე, ტრენინგებსა და კონფერენციებზე. ეს ჩართულობა საშუალებას აძლევს ინსტრუქტორებს აითვისონ გლობალური საუკეთესო პრაქტიკა და იყვნენ ინფორმირებულნი ბიზნეს ანალიტიკის განვითარებადი ტენდენციების შესახებ.

პერსონალი წახალისებულია, რომ განახორციელოს კვლევები მონაცემთა ანალიზის, რაოდენობრივი მოდელირებისა და ტექნოლოგიების - ბიზნეს ანალიტიკის სასწავლო გეგმის განუყოფელ კომპონენტებში. პროგრამა მხარს უჭერს პერსონალს კვლევითი უნარების განვითარებაში, რაც, თავის მხრივ, ზრდის სასწავლო გეგმის სიღრმესა და ხარისხს და ხელს უწყობს კვლევაზე ორიენტირებულ აკადემიურ გარემოს ჩამოყალიბებას.

პერსონალის განვითარება მოიცავს ტრენინგს ინსტრუმენტებში, რომლებიც გამოიყენება მონაცემთა ანალიზისათვის, ვიზუალიზაციისა და გადაწყვეტილების მოდელირებისათვის, როგორებიცაა MS Excel, MS SQL და პროგრამირება Python-ში. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ ინსტრუქტორები ფლობდნენ თანამედროვე ბიზნეს ანალიტიკისთვის საჭირო ინსტრუმენტებს, რაც მათ აღჭურავს სტუდენტებისათვის პრაქტიკული სწავლის გამოცდილების გადასაცემად.

პერსონალის მუშაობის რეგულარული შეფასებები ტარდება სტუდენტების გამოხმაურებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის შიდა მიმოხილვების მეშვეობით. ეს მექანიზმები საშუალებას აძლევს პერსონალს მიიღოს კონსტრუქციული გამოხმაურება, რაც ეხმარება მათ მუდმივ პროფესიულ განვითარებას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლების ხარისხის შესაბამისობას მაღალ სტანდარტებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8 ("მეწარმეობისა და ინოვაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

პროგრამა შემუშავდა კალიფორნიის უნივერსიტეტთან, ბერკლისთან, კონკრეტულად მის სტარჯას მეწარმეობისა და ტექნოლოგიების ცენტრთან (SCET) პარტნიორობით. ამ თანამშრომლობამ საშუალება მისცა აკადემიურ პერსონალს ჩართულიყო ბერკლის ცნობილ სწავლების მეთოდოლოგიებში და ქსელში გლობალურ ექსპერტებთან. აკადემიური პერსონალი სარგებელს იღებს მოწინავე მეწარმეობის განათლებისა და ინოვაციების მენეჯმენტის ტექნიკის გაცნობიდან, რაც ხელს უწყობს უწყვეტ პროფესიულ ზრდას და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ინტეგრაციას.

პროგრამა იყენებს ინოვაციურ პედაგოგიურ ტექნიკას, მათ შორის პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას და შემთხვევის შესწავლას, რაც მოითხოვს აკადემიური პერსონალის სპეციალიზებულ ტრენინგს. თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომებზე ეს აქცენტი უხამებს პერსონალის სწავლების

მეთოდებს სამეწარმეო განათლების მიმდინარე ტენდენციებს, აძლიერებს მათი სწავლების ეფექტიანობას.

პერსონალი წახალისებულია, რომ ჩაატაროს კვლევები მეწარმეობასთან, ტექნოლოგიების ტენდენციებთან და ინოვაციების მენეჯმენტთან დაკავშირებულ სფეროებში. ეს მხარდაჭერა ეხმარება პერსონალს რომ დარჩეს აკადემიური და ინდუსტრიის განვითარების წინა პლანზე, რაც სტუდენტებს აძლევს ცოდნას ბიზნესის განვითარებადი ტენდენციების შესახებ და ხელს უწყობს კვლევებით მდიდარი სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას.

აკადემიური პერსონალი რეგულარულად ფასდება სტრუქტურირებული გამოხმაურების მექანიზმით, რომელიც მოიცავს სტუდენტების შეფასებას და ადმინისტრაციულ შემოწმებას. ეს გამოხმაურება საშუალებას აძლევს აკადემიურ პერსონალს დახვეწოს სწავლებისადმი მიდგომები, უზრუნველყოს პროგრამის მიზნებთან და სტუდენტთა საჭიროებებთან მათი შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პერსონალის დებულება
- სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულება
- თვითშეფასების ანგარიში.
- პროგრამის სპეციფიკაციები
- გასაუბრება ადგილზე ვიზიტის დროს

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, გაფართოვდეს პარტნიორობა საერთაშორისო დაწესებულებებთან, ხელი შეეწყოს აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას და ერთობლივი კვლევის შესაძლებლობებს, იმისათვის, რომ ყველა პროგრამა სარგებლობდეს აკადემიური პერსონალის გლობალური სტანდარტების, ინოვაციური სწავლების პრაქტიკის და მათი დისციპლინებისთვის შესაბამისი თანამედროვე ინდუსტრიული ტენდენციებით. (4.3)
- სასურველია, რეგულარულად ჩატარდეს ინტერდისციპლინური სამუშაო შეხვედრები და კონფერენციები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებს კლასტერში წარმოდგენილი ყველა პროგრამის აკადემიური პერსონალი, აღნიშნული უზრუნველყოფს ცოდნის გაზიარებას, ხელს შეუწყობს ინტერდისციპლინურ კვლევას და აკადემიურ პერსონალს დაეხმარება სწავლების პროცესში მრავალფეროვანი პერსპექტივების გამოყენებაში (4.3).

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება (ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი მაგისტრატურა)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 4 საჯარო მმართველობა (ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 5 ადამიანური კაპიტალი და ციფრული ტრანსფორმაცია (მაგისტრატურა)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 6 ბიზნეს ანალიტიკა (ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 7 ბიზნეს ანალიტიკა (ინგლისურენოვანი ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 8 მეწარმეობა და ინოვაცია (ინგლისურენოვანი მაგისტრატურა)	☑	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფილია საჭირო ინფრასტრუქტურით, მათ შორის საბიბლიოთეკო, მატერიალური, ლაბორატორიული, საინფორმაციო და ციფრული რესურსებით, რაც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამაში/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამების ბიბლიოთეკის, მატერიალური, საინფორმაციო და ციფრული რესურსების მუდმივ განახლებას. თავად ბიბლიოთეკა შეიცავს სილაბუსებით განსაზღვრულ სავალდებულო ლიტერატურას და სხვა საგანმანათლებლო მასალებს (მათ შორის ელექტრონულ რესურსებს), რომლებიც უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

არსებული მატერიალური, ლაბორატორიული, საინფორმაციო და ციფრული რესურსები თავისუფლად არის ხელმისაწვდომი სტუდენტებისა და პერსონალისთვის. სტუდენტები და პერსონალი ინფორმირებულია არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობისა და გამოყენების წესების შესახებ და ორივე ჯგუფმა დაუდასტურა ექსპერტებს, რომ ეს საკმარისი და სასარგებლოა სტუდენტური გამოცდილების მხარდასაჭერად. კარგად აღჭურვილი საკლასო ოთახების გარდა, უნივერსიტეტს აქვს კომპიუტერებით უზრუნველყოფილი უფასო სამუშაო სადგურები, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ მუშაობა როგორც ჯგუფურად, ასევე ინდივიდუალურად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიბლიოთეკა, მატერიალური, საინფორმაციო და ციფრული რესურსები და მათი საკუთრების/ლიცენზიის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ტექნიკური აღჭურვილობა და მისი თანაფარდობა სტუდენტთა რაოდენობასთან;
- საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებზე წვდომის დამადასტურებელი დოკუმენტი;

- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ საბაზისო ლიტერატურასთან;
- საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებზე წვდომის ინდიკატორები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- გასაუბრებისს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება (ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი მაგისტრატურა)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 4 საჯარო მმართველობა (ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 5 ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაცია (მაგისტრატურა)	☑	☐	☐	☐

პროგრამა 6 ბიზნეს ანალიტიკა (ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 7 ბიზნეს ანალიტიკა (ინგლისურენოვანი ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 8 მეწარმეობა და ინოვაცია (ინგლისურენოვანი მაგისტრატურა)	☑	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება სკოლის ერთიან ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და ხარჯების კატეგორიების მიხედვით. პროგრამისთვის საბიუჯეტო ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. ბიუჯეტი მოიცავს პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროებს, რეგულარული პერიოდულობისა და საჭიროებების საფუძველზე.

კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტისას მიღებული ინფორმაციის მიხედვით, საქართველოს უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამებს ფინანსურად უჭერს მხარს უნივერსიტეტისა და სკოლის ბიუჯეტით, რაც გულისხმობს:

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას;
- საბიბლიოთეკო და ელექტრონული საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესებას;
- კვლევითი და განვითარების აქტივობების ეფექტურად წარმართვას;
- ინფრასტრუქტურის განახლებას;
- უნივერსიტეტის თანამშრომელთა ხელფასების რეგულირებას და სხვ.

ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ასევე მოიცავს მოკლევადიან ხარჯებს, როგორიცაა: აკადემიური კონფერენციების და სხვა აკადემიური ღონისძიებების ორგანიზება, სკოლის აკადემიური გრანტები, მასპინძლობისა და ბიზნესის ხარჯები, საოფისე აღჭურვილობა, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის ფონდები და სტუდენტური სტიპენდიები/გრანტები, სტუდენტური დღეების და სხვა აქტივობების ორგანიზება, პერსონალის განვითარებისა და მატერიალური დახმარების, ასევე სკოლის სხვა ხარჯები.

ინტერვიუები პროგრამის დირექტორებთან, აკადემიურ პერსონალთან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან მეტყველებს იმაზე, რომ პროგრამების ფინანსური მდგრადობა საფრთხეში არ არის. კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტი ანგარისდება 4 წლისათვის:

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "ბიზნესის ადმინისტრირება"

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა მდგრადია. შემუშავებული ბიუჯეტიდან ჩანს, რომ პროგრამა სრულად ფარავს ხარჯებს, ასევე აკმაყოფილებს

უნივერსიტეტის შემოსავლის პროცენტს (რომელშიც შედის უნივერსიტეტის მოგებაც). გამოანგარიშებულ 4-წლიან ბიუჯეტს აქვს 41%-იანი შემოსავლიანობის მაჩვენებელი. საბაკალავრო პროგრამის ათვლის წერტილი შეესაბამება პროგრამაზე ჩარიცხვის მოლოდინებს. ბიუჯეტი ითვალისწინებს გადასახდელი შემოსავლის პროცენტს და დეპარტამენტის მთლიან ფიქსირებულ ხარჯებს, რომელიც ემსახურება არა მხოლოდ საბაკალავრო პროგრამას ბიზნესის ადმინისტრირებაში, არამედ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს, ასევე ინგლისურენოვან სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამებსაც.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "ბიზნესის ადმინისტრირება", (ინგლისურენოვანი)

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა მდგრადია. შემუშავებული ბიუჯეტიდან ჩანს, რომ აღნიშნული პროგრამა სრულად ფარავს ხარჯებს, ასევე აკმაყოფილებს უნივერსიტეტის შემოსავლებიდან გადასახდელ პროცენტს და დაახლოებით 73% რჩება მოგების სახით (სკოლის ბიუჯეტში). პროგრამა მომგებიანია 3 სტუდენტის შემთხვევაშიც კი (იგულისხმება სკოლის რენტაბელობა უნივერსიტეტისთვის მისაცემი შემოსავლის პროცენტის შემდეგ).

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "საჯარო მმართველობა"

ბიუჯეტი ითვალისწინებს საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისგან მიღებულ შემოსავალს და პროგრამის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა ხარჯს. საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი ადასტურებს, რომ პროგრამა მდგრადია და ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "ბიზნეს ანალიტიკა"

პროგრამის ბიუჯეტი ფარავს პროგრამის ხარჯებს, ასევე აკმაყოფილებს შემოსავლიდანუნივერსიტეტისთვის გადასახდელ პროცენტს (რომელიც მოიცავს უნივერსიტეტის მოგებას). მომავალი 4 წლის ბიუჯეტი მდგრადია, სრულად ფარავს ხარჯებს და მუშაობს 25%-იანი საშუალო მოგების მარჟით. ბიუჯეტი ფიქსირებული ხარჯების გარდა მოიცავს სასკოლო გრანტებსა და სტიპენდიებს, საოფისე, მარკეტინგის, პერსონალის განვითარების, კვლევის (ხელფასის ჩათვლით), გამოქვეყნების, კონფერენციის, სასწავლო რესურსებისა და მასალების, პრაქტიკულ კომპონენტებს და სხვა ხარჯებს.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "ბიზნეს ანალიტიკა" (ინგლისურენოვანი)

პროგრამის ბიუჯეტი ფარავს პროგრამის ხარჯებს, ასევე აკმაყოფილებს უნივერსიტეტისთვის გადასახდელ პროცენტს შემოსავლიდან (რომელიც მოიცავს უნივერსიტეტის მოგებას). მომავალი 4 წლის ბიუჯეტი მდგრადია, სრულად ფარავს ხარჯებს და მუშაობს 25%-იანი საშუალო მოგების მარჟით. ბიუჯეტი ფიქსირებული ხარჯების გარდა მოიცავს სასკოლო გრანტებსა და სტიპენდიებს, საოფისე, მარკეტინგის, პერსონალის განვითარების, კვლევის (ხელფასის ჩათვლით), გამოქვეყნების, კონფერენციის, სასწავლო რესურსებისა და მასალების, პრაქტიკულ კომპონენტებს და სხვა ხარჯებს.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "ბიზნესის ადმინისტრირება", (ინგლისურენოვანი).

სამაგისტრო პროგრამა მდგრადია. ბიუჯეტი სრულად ფარავს ხარჯებს და ასევე აკმაყოფილებს შემოსავლიდან უნივერსიტეტისთვის გადასახდელ პროცენტს. ჯამში, 86% რჩება მოგების სახით (სკოლის ბიუჯეტში). პროგრამა მომგებიანია 3 სტუდენტის შემთხვევაშიც კი (იგულისხმება სკოლის რენტაბელობა უნივერსიტეტისთვის მისაცემი შემოსავლის პროცენტის შემდეგ).

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "ადამიანური კაპიტალი და ციფრული ტრანსფორმაცია"

სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი ფარავს ხარჯებს და ასევე აკმაყოფილებს შემოსავლიდან უნივერსიტეტისათვის გადასახდელ პროცენტს (რომელიც მოიცავს უნივერსიტეტის მოგებას). სასწავლო წლის ბიუჯეტი მდგრადია, აკმაყოფილებს უნივერსიტეტის გადასახდელ პროცენტს, სრულად ფარავს დეპარტამენტის ფიქსირებულ ხარჯებს და მუშაობს საშუალო 24%-იანი მოგების მარჟით.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "მეწარმეობა და ინოვაცია" (ინგლისურენოვანი)

სტუდენტების აქტიური ჩარიცხვისა და პროგრამის შესახებ ცნობადობის ამაღლების პარალელურად სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი მდგრადია. არსებული მონაცემებისა და ფინანსური გამოთვლების ანალიზის საფუძველზე (მათ შორის გაუთვალისწინებელი ხარჯების შემთხვევები), პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს სტუდენტებისგან გამომუშავებულ შემოსავალს და სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა ხარჯს. მომავალში პროგრამა შეძლებს დაფაროს ხარჯები და გადაიხადოს შემოსავლებიდან პროცენტი უნივერსიტეტისათვის (რომელიც ასევე მოიცავს უნივერსიტეტის მოგებას).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების წყაროები;
- უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- კლასტერად დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.
-

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამების განხორციელებისთვის და განვითარებისთვის განსაზღვრული საჭირო ხარჯები დაიყოს საჭიროებების მიხედვით

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება (ბაკალავრიატი)	☐	☑	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი ბაკალავრიატი)	☐	☑	☐	☐
პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი მაგისტრატურა)	☐	☑	☐	☐
პროგრამა 4 საჯარო მმართველობა (ბაკალავრიატი)	☐	☑	☐	☐
პროგრამა 5 ადამიანური კაპიტალი და ციფრული ტრანსფორმაცია (მაგისტრატურა)	☐	☑	☐	☐
პროგრამა 6 ბიზნეს ანალიტიკა (ბაკალავრიატი)	☐	☑	☐	☐
პროგრამა 7 ბიზნეს ანალიტიკა (ინგლისურენოვანი ბაკალავრიატი)	☐	☑	☐	☐
პროგრამა 8 მეწარმეობა და ინოვაცია (ინგლისურენოვანი მაგისტრატურა)	☐	☑	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება (ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი მაგისტრატურა)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 4 საჯარო მმართველობა (ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 5 ადამიანური კაპიტალი და ციფრული ტრანსფორმაცია (მაგისტრატურა)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 6 ბიზნეს ანალიტიკა (ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 7 ბიზნეს ანალიტიკა (ინგლისურენოვანი ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 8 მეწარმეობა და ინოვაციები (ინგლისურენოვანი მაგისტრატურა)	☑	☐	☐	☐

5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების და შეფასების პროცესის განხორციელებისას პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა დეპარტამენტ(ებ)თან/პერსონალთან. და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს უნივერსიტეტში. სამსახურის ძირითადი ფუნქციებია უნივერსიტეტში როგორც საგანმანათლებლო, ისე სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შეფასება, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატიური შეფასება და სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფა. გარდა ამისა, იგი პასუხისმგებელია საგანმანათლებლო და სამეცნიერო მუშაობის სტანდარტების ქვეყნისა და ბოლონიის პროცესის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგზე და ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მიზნებისათვის საუნივერსიტეტო დოკუმენტაციის ორგანიზებაზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მხარს უჭერს უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესს. მონიტორინგისა და შეფასების პროცედურის მიზანია ინფორმაციის მოძიება და შეგროვება, დამუშავება, ანალიზი და შედეგების საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების ჩამოყალიბება. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან თანამშრომლობით ახორციელებს პროგრამის მონიტორინგს სხვადასხვა აქტივობებით.

უნივერსიტეტს ჩამოყალიბებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის პროცესი (როგორც ეს მოცემულია რექტორის საბჭოს ოქმის მე-3 თავში). ეს პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- საგანმანათლებლო პროგრამის ინიციირება
- საორგანიზაციო ჯგუფის შეკრება და მუშაობის ინიციირება;
- პროექტის რეგისტრაცია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში;
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება სკოლის საბჭოს მიერ;
- პროგრამის წარდგენა აკრედიტაციის საბჭოსთვის;
- პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს დადებითი დასკვნის შემდეგ, პროგრამის წარდგენა შესაბამის ორგანოში აკრედიტაციისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირება შესაძლებელია სკოლის დირექტორის, დეპარტამენტის ხელმძღვანელის ან ნებისმიერი დაინტერესებული პირის/პირთა ჯგუფის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის საინიციატივო პროექტი უნდა შეიცავდეს: (ა) პროგრამის კვალიფიკაციას, (ბ) სასწავლო გეგმის ზოგად მონახაზს, (გ) პროგრამაზე მოთხოვნის ანალიზს, (დ) შემოთავაზებულ სწავლის საფასურს, (ე) მისაღებ კონტიგენტს, (ვ) აუცილებელ მატერიალურ/ლაბორატორიულ რესურსებს, (ზ) საჭირო განმახორციელებელ პერსონალს/აკადემიურ რესურსებს და (თ) პროგრამის მიზანშეწონილობას.

მოწოდებული მტკიცებულებები და ადგილზე ვიზიტის გასაუბრებები ადასტურებს, რომ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განახლებას ზედამხედველობს პროგრამის ხელმძღვანელი ან პროგრამის აკადემიური დეკანი. სკოლის საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს პროგრამის შემუშავების შესახებ, ხოლო დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს პროგრამის განახლების შესახებ.

საქართველოს უნივერსიტეტს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცედურა, რომელიც მოიცავს:

- შრომის ბაზრის კვლევას;
- საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის პოტენციურ დამსაქმებელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის დამყარებას;
- ანალოგიური დასავლური პროგრამების შესწავლას;
- პოტენციური აკადემიური პერსონალის შეხედულებების შემოწმებას;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატუსისა და დამოკიდებულების შესწავლას;
- პროგრამის კვალიფიკაციის, მიზნებისა და სწავლის შედეგების დადგენას; პროგრამის სასწავლო გეგმის სტრუქტურის ფორმირებას;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსების შემუშავებას, რომელიც დაკავშირებულია კურსის წინაპირობებთან, სწავლების მეთოდებთან, შეფასების მეთოდებსა და ფორმებთან, კურსის შინაარსიდან გამომდინარე სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის მონაცემებთან.

როგორც გაასუბრებიდან გამოვლინდა, საქართველოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებით პერიოდულად ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს. ჯგუფმა აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, არსებობს ცალკე სტრუქტურული ერთეული, რომელიც პასუხისმგებელია უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. სკოლის თითოეულმა აკადემიურმა პერსონალმა გაიარა ტრენინგი სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდებში.

საგანმანათლებლო პროგრამას კოლეგიურად აფასებს პროგრამის განვითარების საბჭო. ამ მიზნით უნივერსიტეტი იყენებს შედეგების შეფასების პირდაპირ და არაპირდაპირ მექანიზმებს. პირდაპირი მექანიზმებით პროგრამის შედეგების შეფასება ხდება წელიწადში ერთხელ მაინც, არაპირდაპირი მექანიზმებით კი 3 წელიწადში ერთხელ მაინც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის აკრედიტაციის საბჭო არის დამოუკიდებელი საბჭო და სტრუქტურული ერთეული, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს პროგრამის მოდიფიცირების ან განვითარების შესახებ. პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს წევრები არიან:

- ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფა,
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფა,
- განსახილველი პროგრამის ხელმძღვანელი

თუ საბჭო თვლის, რომ პროგრამას აქვს მნიშვნელოვანი პრობლემები და სჭირდება სპეციალური ცოდნა პროგრამის დასახვეწად, მათ შეუძლიათ მოიწვიონ ექსპერტები. ეს ექსპერტები შეიძლება იყვნენ უნივერსიტეტის შიგნიდან ან გარედან. უნივერსიტეტს აქვს მეთოდური რეკომენდაციები საგანმანათლებლო პროგრამებისათვის. ეს მეთოდური რეკომენდაციები მიზნად ისახავს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და ისინი ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ სტუდენტების სწავლების დაგეგმვასა და მართვაზე. ამ პროცესში ყველა დაინტერესებული მხარე უნდა იყოს ჩართული.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მექანიზმს, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პროგრამის დამტკიცების პროცედურების შესახებ. გარდა ამისა, საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესისა და ადმინისტრირების მეცნიერებათა სკოლა ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და შეფასების მექანიზმს. ამ მექანიზმის ფარგლებში სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად ტარდება პერიოდული შეფასებები. მისი მიზანია პროგრამის განვიტარება, უწყვეტი გაუმჯობესების უზრუნველყოფა და კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა შრომის ბაზარზე.

სტუდენტების შეფასების ანალიზი და მისი შედარება პროგრამის შედეგებთან (შუალედური და საბოლოო შეფასების შედეგების შესწავლის ჩათვლით) ცალკე განსახილველი საკითხია. სისტემა ასევე მოიცავს კურსის კურატორების დასკვნებს კურსის მასალის გააზრებასთან, სამუშაო დატვირთვასთან, კურსის სირთულესთან, სწავლების მეთოდებთან და სხვა გამოწვევებთან დაკავშირებით. ამ საკითხებთან დაკავშირებით, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის ყოველი სემესტრის ბოლოს ტარდება სტუდენტების გამოკითხვები და კმაყოფილების კვლევები.

ამ კონტექსტში, მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა ასახოს, თუ როგორ აღმოფხვრა (ან გეგმავს გამოასწოროს) თვითშეფასების პროცესში გამოვლენილი ხარვეზები. წესის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფა უნდა ეფუძნებოდეს პრინციპს – „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, იმოქმედე“, რაც აჩვენებს მის უწყვეტ ერთგულებას პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიმართ. ამ შემთხვევაში, აშკარაა, რომ ხარისხის სამსახური ცდილობს ამ პრინციპების გათვალისწინებას. თუმცა ამ 8 განსახილველი პროგრამის ფარგლებში დადგინდა, რომ პროგრამების სიმრავლის გამო შესაძლოა შეუნიშნავი ყოფილიყო გარკვეული გარემოებები. მართლაც, ხარისხის უზრუნველყოფის პერსპექტივიდან „შეამოწმე და იმოქმედე" ეტაპები უფრო ეფექტურად უნდა გააქტიურდეს. ეს დასტურდება პირველ და მეორე სტანდარტებში მოცემული რეკომენდაციებით (იხ. კომპონენტები 1.2, 1.4, 2.3).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამებში შემავალი **კურსების სილაბუსები;**
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუების შედეგები;
- საქართველოს უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის N338/19 ბრძანება (F-PD-01K-სამუშაოს აღწერილობა);
- ვებ გვერდი: https://www.ug.edu.ge/ ;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან და პროგრამის ლიდერებთან გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამების განვითარების მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს პროგრამების "შემოწმების" და "დახვეწის" ეტაპებს (5,1)

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება (ბაკალავრიატი)	☐	☑	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი ბაკალავრიატი)	☐	☑	☐	☐
პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი მაგისტრატურა)	☐	☑	☐	☐
პროგრამა 4 საჯარო მმართველობა (ბაკალავრიატი)	☐	☑	☐	☐
პროგრამა 5 ადამიანური კაპიტალი და ციფრული ტრანსფორმაცია (მაგისტრატურა)	☐	☑	☐	☐
პროგრამა 6 ბიზნეს ანალიტიკა (ბაკალავრიატი)	☐	☑	☐	☐
პროგრამა 7 ბიზნეს ანალიტიკა (ინგლისურენოვანი ბაკალავრიატი)	☐	☑	☐	☐
პროგრამა 8 მეწარმეობა და ინოვაციები (ინგლისურენოვანი მაგისტრატურა)	☐	☑	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტი იყენებს როგორც შიდა, ისე გარე ხარისხის შეფასების მექანიზმებს. შიდა შეფასებაზე პასუხისმგებელია პროგრამის განვითარების საბჭო. გარე შეფასება მოიცავს შრომის ბაზრის კვლევას, კურსდამთავრებულთა გამოკითხვებს და გამოხმაურებას აკრედიტაციის ან შუალედური ანგარიშებიდან.

შრომის ბაზრის კვლევისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის შედეგები მისაღებია შრომის ბაზრისათვის. თუმცა, შრომის ბაზარი მიიჩნევს, რომ პროექტის მენეჯმენტი და Excel-ის კურსები შეტანილი უნდა იყოს ძირითადი საგნების ბლოკში. ასევე აღსანიშნავია, რომ საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ფარგლებში ზოგადი ტენდენცია დადებითია და აჩვენებს, რომ დარგის სპეციფიკური და ტრანსფერული კომპეტენციები, რომლებსაც პროგრამა ავითარებს მათში, არის შესაბამისი და მოთხოვნადი შრომის ბაზარზე და ასევე სწავლის შემდეგ საფეხურზე გასაგრძელებლად. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი შიდა და გარე შეფასების შედეგების ანალიზის ამსახველი დოკუმენტი ცხადყოფს, რომ გამოკითხულთა 92% დასაქმებულია როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, რომ პროგრამა მრავალფეროვანი და საინტერესოა, მაგრამ ერთ-ერთ რეკომენდაციად მოხსენიებულია „საერთო“ ხასიათისა და პრაქტიკული კომპონენტების გაძლიერება. ეს ასევე, ჯგუფის აზრიცაა, რომ ეს უკეთ მოამზადებს კურსდამთავრებულებს შრომის ბაზრისათვის.

გასაუბრების დროს დამსაქმებლებმა ზოგადად განიხილეს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები. მხოლოდ ზოგიერთმა აღნიშნა, რომ მათ დაასაქმეს საქართველოს უნივერსიტეტის 1-2 კურსდამთავრებული, სხვებმა კი აღნიშნა, რომ მათ საერთოდ არ დაუსაქმებიათ საქართველოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. დამსაქმებლებმა განაცხადეს, რომ მომავალში გეგმავენ უნივერსიტეტთან უფრო ინტენსიურ თანამშრომლობას.

პროგრამა 6 – ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

აღსანიშნავია, რომ გარე შეფასება ჩაუტარდა ორ საგანმანათლებლო პროგრამას. კერძოდ, 2022 წლის მაისში შპს „Softgen"-ის გენერალურმა დირექტორმა ჩაატარა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნეს ანალიტიკის" გარე შეფასება. მან მიიჩნია, რომ „ბიზნეს ანალიტიკის" საბაკალავრო პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, მიღწევადი და ორიენტირებულია შრომის ბაზარზე არსებული კომპეტენციების ვაკუუმის შევსებაზე. ამ შეფასების მიხედვით, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შეესაბამება თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს. თუმცა, მომგებიანი იქნებოდა, თუ გარე შეფასება ასევე ასახავდა რამდენიმე კონკრეტულ რჩევას პროგრამის განსავითარებლად. გარე შეფასებას ზოგადი ხასიათი აქვს, მაშინ როცა პროგრამის ძლიერი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი სფეროების მოკლე დახასიათება უფრო მეტ ინფორმაციას მოგვცემდა.

2022 წლის 27 დეკემბერს აკრედიტაციის საბჭომ გასცა რეკომენდაციები „ბიზნეს ანალიტიკის" საბაკალავრო პროგრამაზე. მათ შორის იყო:

- სწავლის შედეგების აღწერა სასწავლო დონის შესაბამისი ფრაზებისა და აქტიური ზმნების გამოყენებით;
- პროგრამის მიზნებსა და შედეგებს შორის თავსებადობის რუკის წარმოდგენა;
- რეაგირების მექანიზმების განსაზღვრა, თუ მიზნობრივი ნიშნულები არ არის მიღწეული;
- „აკადემიური წერის" შეთავაზება სავალდებულო კურსის სახით;
- ზოგიერთი კურსის სილაბუსში სწავლების მეთოდების კორექტირება შინაარსის შესატყვისად და სხვ..

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ რეკომენდაციების უმეტესობა გათვალისწინებულია. თუმცა, ორი საკითხი პრობლემატური რჩება: (ა) პროგრამის მიზნებსა და შედეგებს შორის თავსებადობის რუკა; ბ) სწავლების მეთოდების კორექტირება „ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროექტის" სილაბუსში. ამ საკითხებმა შეიძლება გამოიწვიოს პრობლემები პრაქტიკულ გამოყენებაში. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ამ საკითხების მოსაგვარებლად უფრო საფუძვლიანი მუშაობაა საჭირო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სწავლების მეთოდები დაეხმარონ დასახული მიზნების მიღწევას. ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, რომ საბაკალავრო პროექტის სილაბუსი შეიცავდეს დამატებით ინფორმაციას (დაწვრილებით იხილეთ სტანდარტი 2.3).

პროგრამა 8 – სამაგისტრო პროგრამა მეწარმეობა და ინოვაციები

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „მეწარმეობა და ინოვაციები“ ჩატარებულია გარე შეფასება. მისი გარე შეფასება განახორციელა კალიფორნიის უნივერსიტეტის სუტარჯას მეწარმეობისა და ტექნოლოგიების ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა და ევროპის, აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების 500 გლობალური სტარტაპ პროგრამების მენეჯერმა. გარე შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია თანამედროვე გამოწვევებზე და სტრუქტურულად გამართულია. ამავე შეფასებაში აღნიშნულია, რომ ამჟამად საქართველოში არცერთ უნივერსიტეტს არ აქვს მეწარმეობის პროგრამა და ამ პროგრამის შექმნა ხელს შეუწყობს ქვეყანაში სამეწარმეო განათლებაზე მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის პერსპექტივიდან გამომდინარე, პროგრამის განვითარების მიზნით არსებობს გარე შეფასების ანგარიშში გარკვეული რჩევების ჩართვის საჭიროება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო პროგრამა;
- საბაკალავრო პროგრამა „ბიზნეს ანალიტიკა“;
- სამაგისტრო პროგრამა „მეწარმეობა და ინოვაციები“;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ხარისხის პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების ინსტრუქცია ბიზნესისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლისათვის;
- ვებ საიტი: https://www.ug.edu.ge/ ;
- კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები;
- პროგრამის ხელმძღვანელებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან გაასუბრების შედეგები;
- დამსაქმებლებთან ინტერვიუების შედეგები;
- შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგების ანალიზის ამსახველი დოკუმენტი;
- უნივერსიტეტის რექტორის საბჭოს 2020 წლის 24 ნოემბრის No51/20 გადაწყვეტილება „საგანმანათლებლო პროგრამების რეგულირების შესახებ“ ამავე საბჭოს 2021 წლის 25 მარტის No12/21 და 2023 წლის 16 ოქტომბრის No31/23 ცვლილებებით;
- ბერკლის უნივერსიტეტის, კალიფორნია, სუტარჯას მეწარმეობისა და ტექნოლოგიების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის მიერ ჩატარებული გარე შეფასება;
- აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება „ბიზნეს ანალიტიკის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ, MES 3 22 0001665583;
- გარე შეფასება 500 გლობალური სტარტაპ პროგრამების მენეჯერის მიერ.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები:

უფრო მეტი თანამშრომლობის დამყარება დამსაქმებლებთან (5.2)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში):

პროგრამა 6 („ბიზნეს ანალიტიკა“)

რეკომენდაციები:

რჩევები:
რეკომენდებულია, გარე შეფასება ასახავდეს პროფესიული მნიშვნელობის კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომლებიც ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას (5.2).

პროგრამა 8 („მეწარმეობა და ინოვაციები“)

რეკომენდაციები:

რჩევები:
- სასურველია, გარე შეფასება ასახავდეს პროფესიული მნიშვნელობის კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომლებიც ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას (5.2).

შეფასება

კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება (ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი მაგისტრატურა)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 4 საჯარო მმართველობა (ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 5 ადამიანური კაპიტალი და ციფრული ტრანსფორმაცია (მაგისტრატურა)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 6 ბიზნეს ანალიტიკა (ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 7 ბიზნეს ანალიტიკა (ინგლისურენოვანი ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 8 მეწარმეობა და ინოვაციები (ინგლისურენოვანი მაგისტრატურა)	☑	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო,
მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უპირველეს ყოვლისა, საქართველოს უნივერსიტეტში პროგრამის განვითარების საბჭო იქმნება თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის ინდივიდუალურად. ეს გადამწყვეტია, რადგან საშუალებას იძლევა უშუალოდ კონკრეტულ პროგრამისათვისმოიძებნოს გადაწყვეტილებები და ჩასწორდეს არსებული პრობლემები.

პროგრამის განვითარების საბჭოს შემადგენლობაში შედიან პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, აკადემიური პერსონალი, დამსაქმებლები და სხვა. ამ საბჭოს ფუნქციაა პროგრამის შინაარსის გაანალიზება. ამ საბჭოში თითოეული ადამიანი ახორციელებს დაკისრებულ ვალდებულებას, სადაც ისინი კითხვარებსა და სხვა დოკუმენტებზე დაყრდნობით შეისწავლიან საკითხს, აანალიზებენ მას და ადგენენ მისი მოდიფიცირების გზებსა თუ საშუალებებს.

პროგრამის პერიოდული შეფასება მოიცავს სხვადასხვა ასპექტების მონიტორინგს, მათ შორის პერსონალის შეფასებას, რესურსების შეფასებას, ადმინისტრირებას, დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვებს და სწავლის შედეგების მიღწევაზე თვალყურის დევნებას. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ხელმძღვანელობს ინსტიტუციური ხარისხის განვითარებას, ხაზს უსვამს უწყვეტობას, გამჭვირვალობას, კეთილსინდისიერებასა და ანგარიშვალდებულებას. ის მიზნად ისახავს მდგრადი ხარისხის კულტურის ხელშეწყობას შეფასების ციკლებში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით.

ჯგუფმა გამოავლინა, როგორც სხვაგანაც არის აღნიშნული, რომ არსებობს პრობლემა მიზნებისა და შედეგების მიღწევის გაზომვასთან დაკავშირებით, როდესაც სამაგისტრო ნაშრომები ჯგუფურად სრულდება. რთულია ინდივიდუალური წვლილისა და შედეგების შეფასება ჯგუფური სამაგისტრო ნაშრომის პროექტში. ცხადია, რომ ხარისხის

მონიტორინგის სისტემები საჭიროებს გაძლიერებას. ეს მოიცავს დოკუმენტაციის უკეთ ორგანიზებას, კურსის სილაბუსების გაუმჯობესებას და სხვა დაკავშირებულ საკითხებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ლიდერებთან და ლექტორებთან თანამშრომლობით, უფრო აქტიურად უნდა იყოს ჩართული ხარისხის მონიტორინგის პროცესში. ეს ჩართულობა კონკრეტულად უნდა იყოს ფოკუსირებული:

1. კურსების სილაბუსების ტექნიკურ და შინაარსობრივ ორგანიზებაზე;
2. სწავლების მეთოდების დივერსიფიკაციაზე სხვადასხვა კურსებზე, განსაკუთრებით სამაგისტრო დონეზე;
3. სამაგისტრო ნაშრომებზე ჯგუფური მუშაობისას შედეგების გაზომვასა და მიზნების მიღწევადობაზე;
4. სწავლის შედეგებსა და მიზნებს შორის სწორებაზე;
5. ხარისხთან დაკავშირებულ სხვა ასპექტებზე.

გარდა ამისა, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტები, როგორიცაა კითხვარები, უნდა გაძლიერდეს, რათა როგორც სტუდენტების, ისე დამსაქმებლებისგან შეგროვდეს უფრო დეტალური გამოხმაურება მათი პროგრამების ხელმძღვანელობის ასპექტებთან დაკავშირებით. გაუმჯობესების ამ საჭიროებას მოწმობს ლექტორებთან გასაუბრება და გარკვეული კურსის სილაბუსების მიმოხილვა, რაც მიუთითებს სწავლების უფრო მრავალფეროვანი მეთოდების აუცილებლობაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პირდაპირი და არაპირდაპირი ხარისხის შეფასების ინსტრუქცია ბიზნესისა და ადმინისტრირების მეცნიერებათა სკოლისათვის
- სტუდენტთა გამოკითხვის ანგარიში
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანგარიში
- დამსაქმებლების გამოკითხვის ანგარიში
- პროგრამის შემუშავების საბჭოს ოქმი და
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება
- გასაუბრებები დაწესებულებაში ვიზიტის დროს
- თვითშეფასების ანგარიში

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაძლიერდეს მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტები, როგორიცაა კითხვარები, სტუდენტებისგან და დამსაქმებლებისგან უფრო დეტალური უკუკავშირის შეგროვების მიზნით პროგრამების ხელმძღვანელობის ასპექტებთან დაკავშირებით (5.3).

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება (ბაკალავრიატი)	☐	☑	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი ბაკალავრიატი)	☐	☑	☐	☐
პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი მაგისტრატურა)	☐	☑	☐	☐
პროგრამა 4 საჯარო მმართველობა (ბაკალავრიატი)	☐	☑	☐	☐
პროგრამა 5 ადამიანური კაპიტალი და ციფრული ტრანსფორმაცია (მაგისტრატურა)	☐	☑	☐	☐
პროგრამა 6 ბიზნეს ანალიტიკა (ბაკალავრიატი)	☐	☑	☐	☐
პროგრამა 7 ბიზნეს ანალიტიკა (ინგლისურენოვანი ბაკალავრიატი)	☐	☑	☐	☐
პროგრამა 8 მეწარმეობა და ინოვაციები (ინგლისურენოვანი მაგისტრატურა)	☐	☑	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება (ბაკალავრიატი)	☐	☑	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი ბაკალავრიატი)	☐	☑	☐	☐
პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი მაგისტრატურა)	☐	☑	☐	☐
პროგრამა 4 საჯარო მმართველობა (ბაკალავრიატი)	☐	☑	☐	☐
პროგრამა 5 ადამიანური კაპიტალი და ციფრული ტრანსფორმაცია (მაგისტრატურა)	☐	☑	☐	☐
პროგრამა 6 ბიზნეს ანალიტიკა (ბაკალავრიატი)	☐	☑	☐	☐
პროგრამა 7 ბიზნეს ანალიტიკა (ინგლისურენოვანი ბაკალავრიატი)	☐	☑	☐	☐
პროგრამა 8 მეწარმეობა და ინოვაციები (ინგლისურენოვანი მაგისტრატურა)	☐	☑	☐	☐

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს - საქართველოს უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება, საფეხურები:

ბიზნესის ადმინისტრირება (ბაკალავრიატი);

ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი ბაკალავრიატი);

ბიზნესის ადმინისტრირება (მაგისტრატურა);

საჯარო მმართველობა (ბაკალავრიატი);

ადამიანური კაპიტალი და ციფრული ტრანსფორმაცია (მაგისტრატურა);

ბიზნეს ანალიტიკა (ბაკალავრიატი);

ბიზნეს ანალიტიკა (ინგლისურენოვანი ბაკალავრიატი);

მეწარმეობა და ინოვაციები (ინგლისურენოვანი მაგისტრატურა)

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

შინაარსი / სტანდარტი	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება (ბაკალავრიატი)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი ბაკალავრიატი)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი მაგისტრატურა)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 4 საჯარო მმართველობა (ბაკალავრიატი)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 5 ადამიანური კაპიტალი და ციფრული ტრანსფორმაცია (მაგისტრატურა)	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 6 ბიზნეს ანალიტიკა (ბაკალავრიატი)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 7 ბიზნეს ანალიტიკა (ინგლისურენოვანი ბაკალავრიატი)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 8 მეწარმეობა და ინოვაციები (ინგლისურენოვანი მაგისტრატურა)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

მეთიუ კიჩინგი,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

მერაბ ხოხობაია,

დევი შონია

ზურაბ აზნაურაშვილი, ხელმოწერა

მიხეილ ბიჭია, ხელმოწერა

მარიამ მაჭავარიანი,